

სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნაწილი ეცადაშვილი

იოანე საბანისძის „წამება წმიდისა და ნეტარისა ჰაზოფის“ და  
ნოდარ წულეისკირის „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“  
ენობრივი პარალელები (დიაქრონიული ანალიზი)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ კობერიძე

გორი

2020

## ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ემყარება იოანე საბანისძისა და ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებების ენობრივი პარალელების კვლევას, რომელშიც ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალფეროვანი საილუსტრაციო მასალა დასტურდება.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მერვე და მეოცე საუკუნის ნაწარმოებების ანალიზს ენობრივი თვალსაზრისით, საილუსტრაციო ფორმების აღნუსხვას და კლასიფიცირებას.

კვლევის მეცნიერული სიახლეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ იოანე საბანისძისა და ნოდარ წულეისკირის ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ნაწარმოებების ენობრივი პარალელების კვლევა არ ჩატარებულა. ჩვენი ნაშრომი ამ ორი ნაწარმოების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური პარალელების შესწავლის ცდაა. აღწერითი მეთოდით განვახორციელეთ ენობრივი პარალელების მოძიება და კლასიფიცირება. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით შევუდარეთ ერთმანეთს ქრონოლოგიურად დაშორებული ორი ნაშრომი და დავძებნეთ მსგავსი და განსხვავებული ენობრივი მოვლენები, შეძლებისდაგვარად, წარმოვადგინეთ მათი დიაქრონიული ანალიზი ქართველ ენათმეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომების გამოყენებით.

ნაშრომი საინტერესოა ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ვფიქრობთ, რომ ნაშრომი და მასში არსებული საილუსტრაციო მასალა გარკვეულ დახმარებას გაუწევს იოანე საბანისძისა და ნოდარ წულეისკირის შემოქმედებით დაინტერესებულ პირებს.

## **Annotation**

**The presented master 's work is based on the research of writings of lingual parallels of Ioane Sabanadze and Nodar Tsuleiskiri, in which various illustrative material is confirmed.**

The following work is aimed for analysing the writings of 8<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> centuries for the lingual point of view for inventoring of illustrative forms and clasifing them. The innovative scientific research is the fact that the both writers Ioane Sabanadze and Nodar Tsuleiskiri have writter one and the same king of writings , and the research has not done yet. To make the parallels. Our work is the trying to learn the parallels phonetically, morpologicaly, syntactical and lexically of these two writings . with the descriptive method we have realized the research of lingual parallels and clasifing them . with the using of the method historical compared we have compared to each other cronologicaly separated these two writings and have found the same and the different lingual phenomenons.

We have done our best to present their diachronical anallyses with the using of works of Georgian linguists. The following work is interesting from the linguistic point of view.

We consider that work and the illustrative material that it consists of will offer the help the people who are interested with the writings of Ioane Sabanadze and Nodar Tsuleiskiri.

## შინაარსი

შესავალი -----	6
თავი I. ფონეტიკური პარალელები -----	9
1.1. ძველი ქართული ენის ბგერითი შედგენილობა -----	9
1.1.1. უმარცვლო უ -----	9
1.1.2. ძ (იოტი) ანუ ნახევარხმოვანი -----	11
1.1.3. ჳ (მერვე) -----	13
1.1. 4. ჴ (ვი) -----	15
1.1. 5. ჵ (ხარი) -----	17
1.2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები -----	19
1.2.1. დიფთონგი -----	19
1.2.2. ასიმილაცია -----	21
1.2.3. დისიმილაცია -----	22
1.2.4. მეტათეზისი -----	24
1.2.5. ბგერის დაკარგვა -----	25
1.2.6. ბგერის განვითარება -----	26
1.2.7. სუბსტიტუცია -----	27
თავი II. მორფოლოგიური პარალელები -----	27
2.1. არსებითი სახელი -----	27
2.1.1 .არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა -----	28
2.1.2. საზოგადო არსებით სახელთა ბრუნება -----	30
2.1.3. ადამიანთა საკუთარ სახელთა ბრუნება -----	35
2.1.4. გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება -----	37
2.1. 5. მავრცობი ხმოვნები -----	39
2.2. ზედსართავი სახელი -----	40
2. 2.1. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები -----	40
2.2.2. ზედსართავი სახელის ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთად -----	41
2.3. რიცხვითი სახელი -----	42

2.4. ნაცვალსახელი -----	44
2.4.1. პირის ნაცვალსახელი -----	44
2.4.2. ჩვენებითი ნაცვალსახელი -----	44
2.4.3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი -----	45
2.4.4. მიმართებითი ნაცვალსახელი -----	45
2.4.5. განუსაზღვრლობითი ნაცვალსახელი -----	45
2.4.6. კითხვითი ნაცვალსახელი -----	45
2.4.7. უარყოფითი ნაცვალსახელი -----	45
2.4.8. ნაწევარი -----	47
2.5. ზმნა -----	47
2.6. დამხმარე სიტყვები: ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული -----	50
<b>თავი III. სინტაქსური პარალელები -----</b>	<b>57</b>
3.1. მსაზღვრელ-საზღვრული წყობა -----	57
3.2. წინადადების სახეები (მარტივი, შერწყმული, რთული) -----	59
<b>თავი IV. ლექსიკური პარალელები -----</b>	<b>61</b>
4.1. სინონიმები -----	61
4.2. ანტონიმები -----	63
4.3. ხმარებიდან გასული სიტყვები -----	63
4.4. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა -----	65
4.5. პროფესიისა და წოდების აღმნიშვნელი ლექსიკა -----	67
4.6. ნასესხები ლექსიკა -----	69
<b>დასკვნა -----</b>	<b>70</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა -----</b>	<b>78</b>

## შესავალი

იოანე საბანისძის აგიოგრაფიული თხზულება მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. იგი მკვლევართა ყურადღებას იპყრობს სიუჟეტურ-არქიტექტონიკური, ზოგადჟანრობრივი თუ ნაციონალურ-კულტურული თავისებურებების თვალსაზრისით. თავად წმინდა აბოს მოწამეობრივი ღვაწლის გამოკვეთილ მნიშვნელობაზე ცალსახად მეტყველებს ის გარემოება, რომ ეს თხზულება ერთგვარი სოციალური დაკვეთაა და, გარდა ლიტერატურული დანიშნულებისა, ის მკაფიოდ გამოხატავს იმ იდეურ - იდეოლოგიურ კონცეპტს, რომლის ხაზგასმა და წარმოჩენა ავტორსაც და იმდროინდელ ქართულ ეკლესიასაც პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხად ესახებოდა (მრევლიშვილი, 2016, გვ.160).

იოანე საბანისძის „აბოს წამება“ იმ ნაწარმოებთაგანია, რომელთაც განუზომლად დიდი წვლილი შეიტანეს ქართველთა ერთიანობის, რწმენის, თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. მერვე საუკუნე ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია, ვინაიდან, არაბები შემოდიან საქართველოში და ყოველი ხერხით ცდილობენ, ამოძირკონ რწმენა, რათა მარტივად სამართავი გახდეს ქართველი ერი, რომელსაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე მარწუხად ერთვის წლების განმავლობაში.

იოანე საბანისძე, ავტორი „აბოს წამებისა“ ფრიად განსწავლული ადამიანია, რასაც ჩვენ ვიგებთ ტექსტიდან გამომდინარე. აღსანიშნავი ფაქტია, რომ იოანე საბანისძე გაურბის პასუხისმგებლობას და პირველ ეტაპზე ფიქრობს, რომ იგი ვერ შეძლებს ასეთი საპასუხისმგებლო საქმის შესრულებას, კერძოდ, ტექსტიდან ვიგებთ, რომ მას ეშინია აბოს ღვაწლის აღწერის გამო. აქვე უნდა განვმარტოთ, რომ შიშს განაპირობებს არა „მძლავრთა“ გავლენა, არამედ ის, რომ სასულიერო პირი ვერ ბედავს აღწეროს, მოწამის, წმინდა აბო თბილელის მარტვილობა. თუმცა იოანე საბანისძე საბოლოოდ მიდის იმ დასკვნამდე, რომ მისი მოვალეობაა აღწეროს მოწამის ღვაწლი თაობებისთვის და არ ეურჩოს ღმერთს, რაკი „აბოს წამების“ დაუწერლობა-უფლის სამსახურის შეუსრულებლობის ტოლფასად მიაჩნია.

საუკუნეთა შემდეგ, ნოდარ წულეისკირმა შექმნა ნაწარმოები „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“. ცხადია, სათაურიც გვაფიქრებინებს, რომ ნაწარმოებს საერთო უნდა

ჰქონდეს იოანე საბანისძის ნაწარმოებთან და მართლაც, ნოდარ წულეისკირის წიგნი დაეფუძნა „აბოს წმებას“. ჩვენთვის კი, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ენობრივი თვალსაზრისით ვადარებთ მერვე და მეოცე საუკუნის, ერთ თემაზე შექმნილ ორ ნაწარმოებს.

ნოდარ წულეისკირის „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ არ მისდევს ჰაგოგრაფიულ მახასიათებლებს და ენობრივი თვალსაზრისითაც გაცილებით მრავალფეროვანია, არ გვხვდება მხოლოდ წამებული ადამიანის ღვაწლის აღწერა - ქება, არამედ ფართოდ და ნათლად არის გაშლილი აბოს ემოციური მდგომარეობა, პიროვნული მახასიათებლები, ისტორია, დამოკიდებულებები და სხვა. გარდა ამისა, ნაწარმოებში არის ერთგვარი ჩანართები, სადაც ნათლად ჩანს ქართველთა დაუძლურება არაბობისას, ჩანს როგორ ეხოცებათ დედებს შვილები შიმშილისგან და როგორ უმოქმედობაშია საზოგადოების ნაწილი სიკვდილის შიშით.

იოანე საბანისძის „აბოს წამების“ შესახებ უამრავი რამ თქმულა და დაწერილა. ჩვენ კი ყურადღება გავამახვილეთ ნაწარმოების ენაზე და ტექსტზე, დაკვირვების საშუალებით გავანალიზეთ როგორც ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ასევე ლექსიკური ფორმები. ამასთანავე, ამგვარი დაკვირვებითა და ანალიზით განვიხილეთ ნოდარ წულეისკირის ნაწარმოები და შევადარეთ ისინი ენობრივი თვალსაზრისით. ჩვენს კვლევაში მნიშვნელოვანია ის, რომ მოვნახეთ ფორმები, რომლებიც ანალოგიურად დასტურდება ორივე ნაწარმოებში, ამ თვალსაზრისით, ნოდარ წულეისკირის ნაწარმოების ენა გავს იოანე საბანისძისას, თუმცა, მეორე მხრივ, გვაქვს ფორმები, რომლებიც დიდ განსხვავებას გვაძლევს, იმის მიუხედავად, რომ ორივე ნაწარმოები ერთ თემას ეხება.

იოანე საბანისძის ტექსტის ენა ძველი ქართულისებურია და ძირითადად მიჰყვება მის სისტემას, თუმცა გვაქვს გამონაკლისი შემთხვევებიც, რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერალი ეპოქის შესაფერისი ენით წერს, თუმცა გვაქვს გამონაკლისი ფორმებიც, სადაც ავტორი ძველი ქართულისთვის დამახასიათებელ ფორმებს იყენებს. ვფიქრობთ, კვლევა მნიშვნელოვან მასალას იძლევა ნაწარმოებების ენობრივი პარალელების თვალსაზრისით, რადგან მსჯელობა გამყარებულია ტექსტობრივი მასალით, როგორც იოანე საბანისძის, ასევე

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებიდან. ნაშრომი კი **აქტუალურია** იმდენად, რამდენადაც „აბოს წამება“ ღირსსაცნობი ნაწარმოებია თითოეული ქართველისთვის, აქტუალურად არის გაშუქებული მრავალი თვალსაზრისით, თუმცა პარალელი მეოცე საუკუნის ნაწარმოებთან საკმაოდ საინტერესოა და ვფიქრობთ, ამ კუთხით მნიშვნელოვანია ჩვენი ნაშრომი.

**ნაშრომის მიზანია** ენობრივი პარალელების კვლევა, იოანე საბანისძისა და ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებებს შორის. მიზნის შესაბამისად განისაზღვრა **ნაშრომის ამოცანა**: ამ მიმართულებით, შეძლებისდაგვარად, ტექსტების შესწავლა, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური მასალის მოძიება და დიაქრონიული ანალიზი.

**კვლევის მეთოდები**: ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები. **კვლევის მეცნიერული სიახლეს** წარმოადგენს ის, რომ აღწერითი მეთოდით განვახორციელეთ ენობრივი პარალელების მოძიება და კლასიფიცირება. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ერთმანეთს შევუდარეთ ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან დაშორებული ორი ნაშრომი და დავძებნეთ მსგავსი და განსხვავებული ენობრივი მოვლენები, შეძლებისდაგვარად, წარმოვადგინეთ მათი დიაქრონიული ანალიზი ქართველ ენათმეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომების გამოყენებით, რომელიც შესაბამისად ტექსტში გვაქვს დამოწმებული და გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებული.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა**: ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხისაგან.

**შესავალში** წარმოდგენილია განხილული ნაწარმოებების მახასიათებლები ენობრივი თვალსაზრისით, საუბარია კვლევის საგანზე, მიზნებზე, ამოცანებზე, ასევე მის აქტუალობასა და საჭიროებაზე.

**I თავში** საუბარია ძველი ქართული ენის შედგენილობაზე და განხილულია თითოეული ის ბგერა, რომელიც ძველ ქართულ ენაში გვხვდებოდა, დღეს კი აღარ ვიყენებთ, თეორიულ მსჯელობას თან ერთვის მაგალითები ტექსტებიდან. გარდა ამისა, პირველი თავი ეთმობა ფონეტიკურ პროცესებს და განხილულია თითოეული ფონეტიკური მოვლენა, რომელიც ტექსტებში გვხვდება. ქვეთემას - ძველი ქართული



ენის ბგერითი შედგენილობა- აქვს შემდეგი ქვეთემები უმარცვლო უ, ა (იოტი) ანუ ნახევარხმოვანი, ზ (მერვე), ჯ (ვი), ჯ, (ხარი). ქვეთემას -ძირითადი ფონეტიკური პროცესები - აქვს შემდეგი ქვეთემები : დიფთონგი, ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა, ბგერის განვითარება.

II თავში გაანალიზებულია მორფოლოგიური პარალელები. განხილულია არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა და დამხნარე სიტყვები. თემები იყოფა ქვეთემებად, რათა მსჯელობა იყოს დეტალური და შეძლებისდაგვარად ამომწურავი. არსებით სახელს აქვს ხუთი ქვეთემა: არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა, საზოგადო არსებით სახელთა ბრუნება, ადამიანთა საკუთარ სახელთა ბრუნება, გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება, მავრცობი ხმოვნები .

III თავში გაანალიზებულა სინტაქსური პარალელები და განხილულია ორივე ნაწარმოები სინტაქსური თვალსაზრისით. გამოყოფილია წინადადების სახეები: მარტივი, შერწყმული რთული და დასახელებულია ძველი ქართულისთვის გაბატონებული წინადადების ტიპიც, ასევე საუბარია მსაზღვრელ - საზღვრულის წყობაზე ძველსა და ახალ ქართულში.

მსჯელობა გამყარებულია ტექსტობრივი მასალით.

IV თავში გაანალიზებულია ლექსიკური ერთეულები , კერძოდ, სინონიმები, ანტონიმები, არქაული ფორმები, ნასესხები და პროფესიისა და წოდების აღმნიშვნელი სიტყვები. ამასთანავე, ტექსტებიდან ამოკრეფილია და განხილულია ის ლექსიკური ერთეულები, რომლებმც მნიშვნელობის ცვლილება განიცადეს.

დასკვნაში მოცემულია კვლევის შედეგები.

## თავი I. ფონეტიკური პარალელები

### 1.1 ძველი ქართული ენის ბგერითი შედგენილობა (უ, ა, ჯ, ზ, ჯ, ზ, )

ახალი ქართული მხედრული ანბანის გატოლება ძველ ქართულ მრგლოვან ანბანთან სათანადო ბგერითი სისტემის ზუსტად გადმოცემის თვალსაზრისით შეუძლებელია და მცდარი (დანელია, სარჯველაძე, 1997, გვ. 223).

#### 1.1.1. უმარცვლო უ

უმარცვლო უ, რომელსაც ანბანში საკუთარი ნიშანი არ გააჩნდა ანუ ისევე იწერებოდა, როგორც ჩვეულებრივი სრულხმოვანი უ. თუმცა დღეს საკმაოდ ნათელია ის, თუ რომელია სრული ხმოვანი და რომელი უმარცვლო ბგერა. იმის განსაზღვრაში, თუ რომელია უმარცვლო და რომელი მარცვლიანი, გვეხმარება თანამედროვე სალიტერატურო ენაც. კერძოდ, უმარცვლო უ წარმოდგენილია , როგორც ვ ბგერა და მისი პოზიციები ძველ ქართულში (სადინაძე, 2008, გვ. 34).

იოანე საბანისძის ნაწარმოებში უმარცვლო უ გვხვდება: ა) **სიტყვის ბოლოს, თანხმოვნების შემდეგ**: 1. „ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ მე ვარ ბუნებით სარკინოზ“ (საბანისძე, 2009, გვ. 81).

ბ) **თანხმოვნების შემდეგ და ხმოვნის წინ** : 1. „აწ გლოცავ თქუენ“ (საბანისძე, 2009, გვ. 72). 2. „მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი“ (საბანისძე, 2009, გვ. 72). 3. „ესე არს სახელით მტკუარი“ (საბანისძე, 2009, გვ. 86). 4. „ხოლო ცრუ მოძღუარნი და შემასმენელნი შევიდიან მისა“ (საბანისძე, 2009, გვ. 80). 5. „მოძღუარ ჩუნდა იქმენ, სწავლულნი უფროის გულისხმიერ-ჰყვენ“ (საბანისძე, 2009, გვ. 86). 6. „გინათუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა“ (საბანისძე, 2009, გვ. 78).

გ) **თანხმოვნებს შორის** : 1. „გარდამოავლინა უფალმა ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარჯ“ (საბანისძე, 2009, გვ. 87). 2. „აჰა ესერა ქართლისაცა მკვდრთა აქუს სარწმუნოებად“ (საბანისძე, 2009, გვ. 74). 3. „და განვლო მან კარი იგი ოვსეთისად, რომელსა დარიალან ერქუმის“ (საბანისძე, 2009, გვ. 77). 4. „შეიზრახნეს შეთქუმით წმიდასა მას ზედა და შევიდეს წინაშე მსაჯულისა მის“ (საბანისძე, 2009, გვ. 80). 5. „ვჰმონებდით გულისთქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა“ (საბანისძე, 2009, გვ. 89).

უმარცვლო უ დასტურდება ნოდარ წულესკირის ნაწარმოებში „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“. **ინხმოვნების გი გვაქვს შემდეგ პოზიციებში: თანხმოვნებს შორის, სიტყვის ბოლოს, თანხმოვნების შემდეგ, შემდეგ და ხმოვნის წინ. მაგ.:** 1. „ამისთვისაცა გარქუ თქვენ მონად და მეგობრად ქრისტესა“ (წულესკირი, 1990. გვ. 412). 2. „გმადლობთ და გაკურთხებ შენ, სამებაო წმინდაო, რადგან ღირს მყავ მიმთხუევად

ლუაწლსა წმიდათა მოწამეთა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 399). 3. „საკუმეველი აკმიეს და სანთლები აანთეს“ (წულეისკირი, 1990, გვ. 402).

ამრიგად, უმარცვლო უ დასტურდება: სიტყვის ბოლოს, თანხმოვნების შემდეგ, თანხმოვნების შემდეგ და ხმოვნის წინ, თანხმოვნებს შორის. აღნიშნული მოვლენა დავაფიქსირეთ, როგორც იოანე საბანისძის ნაწარმოებში - „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბომისი“, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში - „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“. ჩვენ მიერ მოძიებული ფორმები კი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უმარცვლო უ ძველი ქართული ენის მოვლენა იყო, თუმცა იგი დასტურდება მე-20 საუკუნის ნაწარმოებშიც.

### 1.1.2 დ (იოტი) ანუ ნახევარხმოვანი

**იოტი (დ)** წარმოითქმის ენის მაგარ სასასთან მიახლოების შედეგად. ჩვეულებრივ ი-სთან შედარებით იგი ნაკლებ ღია და სუსტია. შეიძლება ითქვას, რომ ა, ე, ო, უ ხმოვნების შემდეგ სრულხმოვანი ი სუსტდება და გადაიქცევა იოტად. ა, ე, ო, უ ხმოვნებთან დ ქმნიდა დამავალ დიფთონგებს: ად, ედ, ოდ, უდ, დ. დ არ შედიოდა სიტყვის ძირში. იგი ან აფიქსი იყო, ან მისი შემადგენელი ელემენტი ( სალინაძე, 2008, გვ. 35).

ისევე როგორც უმარცვლო უ-ს გამოყენებას გააჩნდა რამდენიმე პირობა, დ-ის ხმარების დროსაც გვაქვს შემდეგი შემთხვევები, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობდნენ ძველ ქართულ ენაში და ამავე პრინციპით გვხვდება ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებებშიც .

ა) **ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელებთან (აგრეთვე გეოგრაფიულ სახელებთან) სახელობითი ბრუნვის ნიშნად:** 1. „აჰა ესერა ქართლისაცა მკჳდრთა აქუს სარწმუნოებაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ. 74). 2. „საწადელი ესე მარტვლობაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთაჲ“ ( საბანისძე, 2009, გვ. 72). 3. „გამოჩნდა ახოვნად წმიდაჲ ესე მოწამჲ“ (საბანისძე, 2009, გვ. 73). 4. **უცხოჲ** უცხოთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა შეემეცნა“ (საბანისძე, 2009, გვ. 73). 5. „**მამაჲ** მისი და **დედაჲ** მისი, და ძმანი, და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას“ (საბანისძე, 2009, გვ. 76). 6. „**დედაჲ**, და ცოლი, და შვილნი, და მონაგები, და ყოველნი, სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო **ქუეყანაჲ** იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა“ (საბანისძე, 2009, გვ. 77). 7. „**სმენაჲ** წმიდისა მოწამისა და ქრისტჳს მოღუაწისაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ. 80). 8.

„დაუტევე სიცოფისა ეგე **განზრახვად**“ (საბანისძე, 2009, გვ.82). **9.** „უკუეთუ გნებავს ცნობად **სიტკბოება** მისი“ (საბანისძე, 2009, გვ. 84). **10.** მოიღეს **შეშად** და **თივად** და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას **ზედა**“ (საბანისძე, 2009, გვ.86). **11.** „**ოქრო** და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად თავისა შენისა“ (საბანისძე, 2009, გვ.82).

**ბ) ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელებთან, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში:** **1.** „და წარსცა ყოველთა მათ **ეკლესიასა** ქალაქისათა“ (საბანისძე, 2009, გვ.86). **2.** „რამეთუ ჟამსა ამას ოდენ მეუფებისა **ისმაიტელთა**მსა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჳ ქრისტჳსთჳს აღირჩიე“ (საბანისძე, 2009, გვ.89). **3.** „უკუეთუ გნებავს ცნობად **სიტკბოება** მისი, შენცა გრწმენინ ქრისტჳ ხდა ნათელ -ილე“ (საბანისძე, 2009, გვ. 85). **4.** „ვითარმედ შიშითა **სიკუდილისა**ათა განაშორონ იგი ქრისტესა“ (საბანისძე, 2009, გვ.85). **5.** „და გამოიყვანეს იგი ეგრწთვე ბორკილითა ფერჯთა და **კელთა**ათა“ (საბანისძე, 2009, გვ. 84). **6.** „მაშინ უბრძანა მსაჯულმან მან კელით და ფერჯით შეკრვად მისი ბორკილითა **რკინისა**ათა და ეგრწთ შთააგდეს იგი საჰყრობილესა“ (საბანისძე, 2009, გვ. 82). **7.** „დაღათუ ბევრეული **ოქრო**მსა და ვეცხლისა და მომცენ მე“ (საბანისძე, 2009, გვ. 78).

**გ) ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან, სხვადასხვა ბრუნვაში (სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში):** **1.** „მარტვლობად წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა **ჰაბომისი** ქალაქსა ტფილისს იყო ესრე სახედ “ (საბანისძე, 2009, გვ.80). **2.** „რომელთამე თვთ აქა მკვდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვთა მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე **იესუმს** მიერ“ (საბანისძე, 2009, გვ.74). **3.** „მოწოდებულ იქმნა ამირა მუმნისა **აბდილა**მსაგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს“ (საბანისძე, 2009, გვ.75). **4.** „ვიდრემდის ბრძანებითა **ღმრთისა**ათა მოკუდა“ (საბანისძე, 2009, გვ.75). **5.** „სანატრელისა მოწამისა ამის **ჰაბომს**თჳს რაათა გაუწყო“ (საბანისძე, 2009, გვ.75). **6.** „რამეთუ სხუად მსაჯული **ამირა**დ შემოსულ იყო ქალაქსა ტფილისს“ (საბანისძე, 2009, გვ.80).

**დ) ნანათესაობითარ სახელებთან სახელობით ბრუნვაში :** **1.** „გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ, უკანადაცხენელი ესე მუშაკი მაცხოვრისა **ჩუენისა**დ მეათერთმეტისა ჟამისა მდღევრთა მათ თანა აღმსთობილთა მიეწიფე“ (საბანისძე, 2009, გვ. 89). **2.** „ნათესავსა **საწუთრო**მსა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნოსა

მისა ღმრთისასა“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 3. „ვითარცა უსასონი ქრისტესგან და დამვიწყებელნი საუკუნოდსა ცხორებისანი“ (საბანისძე, 2009, გვ.89).

ამრიგად, იოტი გვხვდება იოანე საბანისძის ნაწარმოებში, შემდეგ პოზიციებში: ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელებთან, საზოგადო სახელებთან, რომლებიც არ იკვეცებიან, ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან, სხვადასხვა ბრუნვაში და ნანათესაობითარ სახელებთან სახელობით ბრუნვაში. ამ კუთხითვე შევისწავლეთ ნოდარ წულეისკირის ნაწარმოები, სადაც იოტი არ დასტურდება. აღნიშნული ფაქტი ჩვენთვის საინტერესოა, ვინაიდან ნაწარმოების ენა ძველი და ახალი ქართულია ერთობლივად. უფრო ზუსტად კი, ნოდარ წულეისკირს გამოყენებული აქვს, როგორც თანამედროვე სალიტერატურო ენის ფორმები, ასევე ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი ფორმებიც.

„დავით აღმაშენებლის“ ენის ძირითად ფონეტიკურ თავისებურებას წარმოადგენს **ღ** (იოტის) ხმარება. როგორც ცნობილია, თავისი თეორიული შეხედულებებით და პრაქტიკული მოღვაწეობით კ. გამსახურდიამ სცადა აღედგინა სალიტერატურო ენაში ეს გრაფემა (ლემონჯავა, 1981, გვ. 26).

### 1.1.3. ჴ (მერვე)

ღ იგივე მერვე ე მიიღებოდა ორი კომპონენტის შეერთებით: **ღ+ე** (ეღ). ამ კომპონენტთაგან მხოლოდ ე-ს შეედლო მარცვლის წარმოება, რაკი **ღ** -ს ეს შესაძლებლობა არ გააჩნია. ბგერამ ანბანში რიგის მიხედვით მიიღო სახელი ( მერვე ე), რაკი იგი რიგით მერვე იყო (საღინაძე, 2008, გვ. 35-36).

ძველი ქართული ენის ჴ მერვე იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ გამოიყენებოდა შემდეგი კანონზომიერების დაცვით:

ა) ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელებთან, სახელობით ბრუნვაში:

1. „სახელით ნერსე, **ღ** ადარნესე კურაპალატისა და ერისმთავრისა“ (საბანისძე, 2009, გვ.74). 2. „იხილა მან ქუეყანაჲ იგი **სავსღ** სარწმუნოებითა“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 3. „და დაადგრა **მდგომარღ** ზედა ფერჯთა თჳსთა, ვიდრე განთიადმდე“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 4. „ არა დაგიტევებიეს **სიცოფღ** იგი და უგუნურებაჲ შენი“ (საბანისძე, 2009, გვ.84). 5. „**კბოდღ**, **კლდღ** მდინარისა მიდ დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი“ (საბანისძე, 2009, გვ.86). 6. „ვითარცა შემწუხრდა **დღ** იგი



და იყო ჟამი პირველი ღამისად მის, გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკულავი **მოტყინარწ**, ვითარცა ღამპარი ცეცხლისად“ (საბანისძე, 2009, გვ.87). 7. „**კლდწ** იგი და კბოდენი და კიდი იგი, **ზწთგან** ვიდრე ქუედმდე“ (საბანისძე, 2009, გვ. 87). 8. „რამეთუ ქრისტწს **მოწამწ** არს“ (საბანისძე, 2009, გვ.87). 9. „შენ ნეფსით **სიმდაბლწ** ქრისტწსთვს აღირჩიე“ (საბანისძე, 2009, გვ. 89).

**ბ) ე ხმოვანფუმიან საკუთარ სახელებთან (სახელობითსა და ნათესაობითში):**

1. „ამან ინება წარმოსლვაჲ თვსი აჟა ერისმთავრისა მის **ნერსწს** თანა და შეეყო იგი მსახურად მისა“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 2. „ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის **ნერსწსისა** ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაჲთა სტეფანოზ, ძწ გურგენ ერისთვისაჲ, დისწული **ნერსწსი**“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 3. „და გამოვიდა იგი **ნერსწს** თანა და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტიანედ“ (საბანისძე, 2009, გვ.79). 4. „რომელნი ხართ **ქრისტწს** მოყუარენი და მარტვლთ მოყუარენი, მიიღეთ ჩემგან სანატრელი ესე სმენაჲ წმიდისა მოწამისა და **ქრისტწს** მოღუაწისაჲ, რომელი სიმწნით და დიდებითა გვრგვნოსნებასან იქმნა **ქრისტწს** მიერ“ (საბანისძე, 2009, გვ.80). 5. „დაუტევა და შეიყუარა **ქრისტწ** ყოვლითა გულითა“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 6. „და მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაჲ **ქრისტწსი** ჰაბო“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 7. „აწ მოვედით, **ქრისტწს** მორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ ჳსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხად ჩუენდა **ქრისტემან** მოგუანიჴა“ (საბანისძე, 2009, გვ. 88,89). 8. „**ქრისტწს** მორწმუნენი ჳნატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას მოღუაწებასა“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 9. „და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით **ქრისტწსმიერითა** სიყუარულითა შემიყუარე მე“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 10. „მნებავს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო **ქრისტწს** მოწამეო“ (საბანისძე, 2009, გვ. 89). 11. „დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლწ **ქრისტწსთვს** აღირჩიე“ (საბანისძე, 2009, გვ. 89).

გ) შემდეგ ზმნიზედებში : **ეგრწთ და ესრწთ**. მაგ.: 1. „და გამოიყვანეს იგი **ეგრწთვე** ბორკილითა ფერწთა და ჳელთაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ. 84). 2. „ქრისტწს მბრძოლთა მათ **ესრწთ** ყვეს“ (საბანისძე, 2009, გვ.86). 3. „და **ესრწთ** ღუაწლი კეთილი მოიღუაწა ნეტარმან მან“ (საბანისძე, 2009, გვ.86).

დ) **წ ( მერვე ) ე გამოიყენებოდა ასევე უფროობითი ხარისხის საწარმოებლად ძველი**

**ქართულის ფორმაში: 1.** „ხოლო კუალად მეორესე ღამესა უმეტეს-ღა წყალთა გამოსცეს განსაკვრველი ნათელი“ (საბანისძე, 2009, გვ.87).

ჩვენ მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე საბანისძის ნაწარმოებში ზ (მერვე) შეგვხვდა შემდეგ პოზიციებში: ხმოვანზე ფუძედაბოლოებული საზოგადო სახელებთან, ე ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან (სახელობითსა და ნათესაობითში), ზმნიზედებში: ეგრწთ და ესრწთ და უფროობითი ხარისხის ფორმის საწარმოებლად (უმეტეს-ღა), ე.ი ყველა იმ პოზიციაში, სადაც ძველ ქართულ ენაში გვხვდებოდა.

ჩვენ შევისწავლეთ ნოდარ წულეისკირის „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ ბგერითი შედგენილობის თვალსაზრისით, რადგან ტექსტში არქაული ფორმებიც მოგვეპოვება, თუმცა ზ(მერვე) არ დასტურდება. ავტორი ტექსტის ისტორიულ წარსულში გადასატანად იყენებს ძველი ქართულისთვის დამახასიათებელ ლექსიკურ-გრამატიკულ ფორმებს, თუმცა თავს არიდებს ხმარებიდან გასული ბგერების გამოყენებას. ცხადია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავტორს სურვილი ჰქონდა ერთგვარად გაემარტივებინა ჰაგიოგრაფიული ტექსტი, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. ამასთანავე, როგორც ვიცით, ნოდარ წულეისკირის შთაგონების წყარო და უპირველესი ლიტერატურული საყრდენი გახლდათ, სწორედ იოანე საბანისძის ნაწარმოები. ხოლო, თუ ავტორი ზედმიწევნით გაიმეორებდა ძველი ქართულისთვის დამახასიათებელ ყველა ნიუანსს, ცხადია, ის დაკარგავდა თვითმყოფადობას. ამიტომ, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ არის ეპოქას მორგებული მხატვრული ტექსტი, რომელშიც ავტორმა მოხსნა ჰაგიოგრაფიის მკაცრი ჩარჩო და თავი აარიდა, შემოღებისდაგვარად, ხმარებიდან გასულ ბგერებს.

#### **1.1.4.    ჴ (ვი)**

ჴ (ვი) მიიღება ორი კომპონენტის შეერთებით, უ+ი. ჴ წარმოითქმის, როგორც ვი. ჴ ძველ ქართულში გვხვდება შემდეგ პოზიციებში: სახელობით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში (საღინაძე, 2008, გვ. 36).

ჴ-ს იოანე საბანისძე იყენებს შემდეგ პოზიციებში :

ა) **უმარცვლო უ- ზე დაბოლოებულ საზოგადო სახელებთან:**

1.„ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრ-ძვრად ზღვეულნი“

(საბანისძე, 2009, გვ.73). 2. „უეჭველი სარწმუნოება საუნჯე არს **მორწმუნეთათჳს**“ (საბანისძე, 2009, გვ.74). 3. „აჲა ესერა ქართლისაჲცა **მკვდრთა** აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე უცხოთა და **სხვთ** მოსრულთა ჩუენ შორის“ (საბანისძე, 2009, გვ.74). 4. „და გამოიყვანა იგი კუალად ერისმთავრობით აჲა, ქუეყანადჲე **თჳსა**“ (საბანისძე, 2009, გვ.75). 5. „მნებაჲს აწ, ქრისტჳს მოყუარენო, ამიერითგან წმიდისა და სანატრელისა მოწამისა ამის **ჰაბოძსთჳს**“ (საბანისძე, 2009, გვ.75). 6. „ამან ინება წარმოსლვაჲ **თჳსი** აჲა ერისმთავრისა მის ნერსჳს თანა“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 7. „და **თჳსითა** სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 8. „არამედ ვერ განაცხადებდა თავსა **თჳსსა** სრულად ქრისტიანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ“ (საბანისძე, 2009, გვ. 76). 9. „და რაჟამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფესა მის ხაზართაჲსა, შეიწყნარა იგი **უცხოებისათჳს და სივლტოლისათჳს**“ (საბანისძე, 2009, გვ.77). 10. „ვითარცა იხილა ნერსე დედოფალი, დედაჲ **თჳსი**, და ცოლი და ძენი **თჳსნი**, სიხარულით ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და **მშჳდლობით** შეკრებისა **მათისათჳს**“ (საბანისძე, 2009, გვ.77). 11. „მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა **ჰაბოძსთჳს**“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 12. „არავინ ურწმუნოთაგანი **მკვდრად** იპოვების საზღვართა მათთა“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 13. „მეშინის მე **შენთჳს**, ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტჳსისა“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 14. „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე **კჳმირსა**, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან“ (საბანისძე, 2009, გვ.79). 15. „და აწ მე **რადსათჳს** დავფარო ჭემმარიტი ესე ნათელი“ (საბანისძე, 2009, გვ.79). 16. „რომელნიმე **მშჳდობისა** სიტყვთა შეაჯერებდეს“ (საბანისძე, 2009, გვ.79). 17. „დიდებითა **გვრგვნოსნებასან** იქმნა ქრისტჳს მიერ“ (საბანისძე, 2009, გვ.80). 18. „ქრისტჳს **აღსაარებისათჳს** შეაყენეს იგი საპყრობილესა“ (საბანისძე, 2009, გვ.80). 19. „მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ **ქრისტჳსთჳს**, არამედ სიკუდიდცა“ (საბანისძე, 2009, გვ.81). 20. „და აწ ქრისტიანე ვარ **თჳნიერ** ყოვლისა ცილობისა“ (საბანისძე, 2009, გვ.81). 21. „ანუ ვინ გიჴსნეს შენ ჳელთაგან ჩუენთა, რამეთუ ცეცხლი და სატანჯველი აწვე **განგჳმზადებიეს შენთჳს**“ (საბანისძე, 2009, გვ.82). 22. „და ვითარცა ვერ შეძრეს მართალი იგი, გამოვიდეს მიერ **სირცხვლეილნი**“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 23. „და ესე იყო ყრმა, ჳაბუკ ვითარ ათრვამეტ წლის, გინა უკნინჳს, **აჴვდმეტის წლის**“ (საბანისძე, 2009,



გვ.76). 24. „შენთვის ფრიად დამიკვრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჟამსა ამას ოდენ მეუფებისა ისმაიტელთაჲსა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჳ ქრისტჳსთვის აღირჩიე“ (საბანისძე, 2009, გვ.89).

ბ) ნათესაობითსა და მოქმედებითში -უა,უე-ზე დაბოლოებულ სახელებთან:

1. „რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშვდობისა სიტყვთა შეაჯერებდეს“ (საბანისძე, 2009, გვ.79). 2. „ხოლო მან ღამის თევასა მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი ჳელთა თვსთა“ (საბანისძე, 2009, გვ.84).

მაგალითებიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ჳ (ვი) გვხვდება შემდეგ პოზიციებში: ხმოვანზე ფუძედაბოლოებული საზოგადო სახელებთან, სახელობითში , ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში -უა, უე-ზე დაბოლოებულ სახელებთან. ჳ (მერვეს) მსგავსად, ვინის გამოყენების შემთხვევები არ გვხვდება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში, რაკი ავტორი ამჯერადაც თავს არიდებს ხმარებიდან გასული ბგერის გამოყენებას.

### 1.1.5 . ჳ (ხარი)

მთის დიალექტებს დაცული აქვთ უძველესი ფონეტიკური სისტემა , ჳ წარმოდგენილია ხუთივე დიალექტში (ჯორბენაძე, 1989, გვ. 223).

იოანე საბანისძის ნაწარმოებში მართლაც მრავლად ვხვდებით ხარის გამოყენების შემთხვევებს და ცხადია, ეს პროცესი აიხსნება იმით, რომ ნაწარმოები ძველი ქართულის პერიოდისაა (V-XI სს). იოანე საბანისძის ნაწარმოებში ჳ გვხვდება შემდეგ პოზიციებში:

ა) სიტყვის თავში, პირველ კომპონენტად : 1. „და მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნესცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს ჳორცნი იგი წმიდისა მოწამისანი ადგილსა მას“ (საბანისძე, 2009, გვ.86). 2. „და გამოიყვანეს იგი ეგრჳთვე ბორკილითა ფერჳთა და ჳელთაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ. 84). 3. „მაშინ უბრძანა მსაჯულმან მან ჳელით და ფერჳით შეკრვაჲ მისი ბორკილითა რკინისაჲთა და ეგრჳთ შთააგდეს იგი საპყრობილესა“ (საბანისძე, 2009, გვ. 82). 4. „და განათებულ იყო გარემოდს კიდეთა მის მდინარისათა კლდჳ იგი და კბოდენი და ჳიდი იგი“ (საბანისძე, 2009, გვ. 87).

5. „შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა და ზრახვისა **კსნილად**“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 6. „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე **კვმირსა**“ (საბანისძე, 2009, გვ.79). 7. „და უფალმან დაიცვა იგი **კელთაგან** მათთა“ (საბანისძე, 2009, გვ.77). 8. „და ითხოვა **კელმწიფეთაგან** , ამირათა ამათ ქუეყანისათა, რადთა უშიშ-ყონ იგი ბოროტისაგან და გამოვიდეს **კსნილად** ყოვლით ერით მისითურთ“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 9. „ხვალე განსვლაჲ არს ჩემი **კორცთაგან** და მისლვაჲ უფლისა ჩემისა ღმრთისა იესუ ქრისტეს თანა“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 10. „ხოლო მან ღამის თევასა მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი **კელითა** თვსთა“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 11. „აღასრულნა ფსალმუნნი და სანთელნი დაიწუნეს **კელთა** შინა მისთა, რკინითა შეჭედილითა ზედა ქედსა მისსა“ (საბანისძე, 2009, გვ.84). 12. „და განჰქსნეს იგი **კელით**“ (საბანისძე, 2009, გვ.85).

**ბ) კ (ხარი) გვხვდება სიტყვის შუაში:** 1. „**სიმეწნითა** და დიდებითა გვრგვნოსან იქმნა ქრისტეს მიერ“ (საბანისძე, 2009, გვ. 80). 2. „მაშინ უბრძანა მსაჯულმან მან **კელით** და **ფერკით** შეკრვაჲ მისი ბორკილითა რკინისაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ. 82). 3. „დაადგრა მდგომარჲ ზედა **ფერკთა** თვსთა, ვიდრე განთიადმდე“ (საბანისძე, 2009, გვ.83).

**კარი გვხვდება** იოანე საბანისძის ნაწარმოებში, სიტყვის თავში, შუაში და გადაჰყვება ნაწარმოებ სიტყვებსაც. ნოდარ წულუისკირის ნაწარმოებში არ გვხვდება ხარის გამოყენების შემთხვევები.

**ჟ (ჰოი),** იგი დგას წოდებითში დასმული სახელის წინ და არ შედის სიტყვის ძირში. ძველ წერილობით ძეგლებში განცალკევებით დგას და გაცილებით ადრე დაიკარგა, ვიდრე სხვა ზგერები (სალინაძე, 2008, გვ.37).

„**ჟ** ძველის - ძველად იყო დახურული ო დიფთონგისებრი ხასიათისა, შემდგომში მას კითხულობდნენ ასე: ოჲ. ძველის-ძველად ო შეეფერებოდა ბერძნულ ომიკრონს, მაშინ, როდესაც **ჟ** იყო ბერძნული ომეგის ბადალი“ (შანიძე, 1980, გვ.17).

**ჟ (ჰოი)** არ გვხვდება არც იოანე საბანისძის და არც ნოდარ წულუისკირის ნაწარმოებში.

ენა ერის მეობის ყველაზე არსებითი ნიშანია. ენას ხალხი ქმნის, სამწერლო ენას-  
მწერლობა, სამწერლო ენის ძეგლები ენის ნაკვალევს ტოვებს ისტორიაში (ზვიადაძე,  
2009, გვ. 5).

მართლაც, იოანე საბანისძის დიდებულმა ძეგლმა თავისი კვალი დატოვა ისტორიაში, არა მხოლოდ ლიტერატურული, ისტორიული, არამედ ენობრივი თვალსაზრისითც. საფიქრებელია, რომ ნოდარ წულეისკირმა გაითვალისწინა ის დიდი რეფორმა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გაატარა ქართულ სალიტერატურო ენასთან დაკავშირებით, კერძოდ, მან ამოიღო ენიდან ის ბგერები, რომლებიც ენას ამ ეტაპისთვის აღარ სჭირდებოდა, რაკი მათი სრულად შემცვლელი ბგერები ქართულ ენას ყოველთვის მოეპოვებოდა. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ძველი ქართულის, როგორც სირთულე, ასევე სილამაზეც სწორედ ამ ბგერების პოვნირებით აიხსნება. ჩვენ განვიხილეთ თითოეული ბგერის ადგილი ძველ ქართულ ენაში და მიღებული კანონზომიერების დაცვით შეგვხვდა იგი იოანე საბანისძის ნაწარმოებშიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორი განსწავლული პიროვნებაა და მან კარგად იცის სალიტერატურო ენის ნორმები.

„იოანე საბანიძის ნაწარმოები შესანიშნავია მხატვრული თვალსაზრისით. იოანემ თავი დააღწია მშრალ აგიოგრაფიზმს. ნაწარმოებში მოცემულია მოწამის ცხოვრების არა მშრალი სქემა, არამედ სარწმუნოებრივი იდეისათვის თავდადებული გმირის მხატვრული სახე“ (ბარამიძე, ჯაკობია, 1986, გვ. 39).

## 1.2. ძირითადი ფონეტიკური პროცესები

### 1.2.1. დიფთონგი

დიფთონგი, როგორც ვიცით ორი სახისაა: აღმავალი და დამავალი. ა,ე, ი ხმოვნებთან შეერთებით უ აღმავალ დიფთონგს ქმნის. უმარცვლო უ არის აღმავალი დიფთონგის პირველკომპონენტი, ე.ი პირველი ნაწილი. იგი არ გვხვდება დიფთონგის მეორე ნაწილის პოზიციაში. აღმავალი დიფთონგი შედარებით იშვიათად გვხვდება ძველი ქართული ენის შემთხვევაში. დიფთონგის პირველი ნაწილი სრული ხმოვანია და მარცვალს ქმნის, მეორე კი -ნახევარხმოვანი (ა ), რომელიც ამ უნარს მოკლებულია (სადინაძე, 2008 წ. გვ. 38).

დამავალი დიფთონგის საწარმოებლად, ა შენარჩუნებულია თითქმის ყველა ხანმოკლე და ჰაემოტ ტექსტში. გამონაკლისების პოვნისთვის კი მოწმობს იმაზე, რომ ამ დროისათვის დაწყებული იყო დამავალი დიფთონგის რღვევა. აღნიშნული რღვევა კიდევ უფრო მასშტაბურია მე-9- მე -10 საუკუნეებში...დამავალი დიფთონგის მოშლა წარიმართა ორი გზით: 1) დ- ის დაკარგვით, 2) დ-ის სრულ ი ხმოვნად ქცევით, ანუ გასრულხმოვნებით (სალინაძე, 2008 წ. გვ. 38).

ჩვენ დეტალურად განვიხილეთ ნ. წულეისკირის „ღვაწლი და წამება აბოს და იოანესი“ და იოანე საბანისძის „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბომისი“. აღმოჩნდა, რომ დიფთონგის მაგალითები გვაქვს, არა მხოლოდ მერვე, არამედ მეოცე საუკუნის ნაწარმოებშიც კი. იოანე საბანისძის ნაწარმოებში გვხვდება შემდეგი მაგალითები: 1. „რამეთუ რომელნი-ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა“(საბანისძე, 2009, გვ.73). 2. „ქრისტიანეთა სარწმუნოებაჲ დიდ მოძულურება არს“(საბანისძე, 2009, გვ.74). 3. „ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისაითა მოკუდა აბდილა ამირა მუმნი და დაჯდა მის წილ ძჳ მისი მაჰდი“(საბანისძე, 2009, გვ.75). 4. „ შეიყუარა ქრისტჳ ყოვლითა გულითა “ (საბანისძე, 2009, გვ.76). 5. „და იყო დღეთა მათ შინა კუალად განრისკებაჲ კელმწიფეთა მათ“(საბანისძე, 2009. 77). 6. „და ვითარცა წარმოემრთნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით“ (საბანისძე, 2009, გვ.78).

როგორც ვნახეთ, იოანე საბანისძის ნაწარმოებში მრავლად არის უმარცვლო უ-ს ხმარების შემთხვევები, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ მერვე საუკუნეში, მაშინ, როდესაც ავტორი ქმნიდა თავის გენიალურ ტექსტს, ჯერ კიდევ არ არის დიფთონგის რღვევა აქტუალური მოვლენა. სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას ის, რომ მთლიან ტექსტში გაბნეულია ისეთი სიტყვა-გამოთქმები, რომლებშიც გვხვდება უმარცვლო უ. ძველი ქართული ენა საკმაოდ საინტერესოა ფონეტიკური პროცესების თვალსაზრისითაც. მრავალფეროვნება, რომელსაც ძველ ქართულში ვხვდებით ძალიან ბუნებრივი და დახვეწილია, იმდენად ჰარმონიული, რომ გვეხმარება ნაწარმოების ექსპრესიულად აღქმაშიც კი.

რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, აქაც გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, სადაც ავტორს უმარცვლო უ აქვს გამოყენებული. ცხადია, ეს ძალიან საინტერესო მოვლენაა და დასაფიქრებელიც.

რატომ? იოანე საბანისძის ნაწარმოები მერვე საუკუნეს განეკუთვნება და სულაც არ არის გასაკვირი დიფთონგის არსებობა ტექსტში, ნ. წულეისკირის ნაწარმოები კი მეოცე საუკუნეშია შექმნილი და როგორც წესი, ავტორი თავს უნდა არიდებდეს არქაულ ფორმებს, რადგან ძირითადი ტექსტის მასაზრდოებელი სწორედ რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენაა. მიზეზი, რომლითაც დიფთონგის გამოყენება შეიძლება ავხსნათ არის ის, რომ ავტორს სურდა გაეცოცხლებინა წარსული, უფრო ნათლად წარმოეჩინა პერსონაჟების განცდები, ისტორიული ფონი, მეტყველება და სხვ.

ნ. წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით შემდეგ მაგალითებს: 1. „ღმრთის მსახურთა და მარტვილთ - მოყუარეთა კრებულისათვის“ (წულეისკირი, 1990, გვ. 412). 2. „ამისთვისცა გარქუ თქვენ მონად და მეგობრად“ (წულეისკირი, 1990, გვ. 412). 3. „პატიოსნითა სისხლითა მისითა სყიდულ ხართ თქვენ“ (წულეისკირი, 1990, გვ. 412). 4. „სანთელი, კერეონები და საკუმეველი მიყიდეთ“ (წულეისკირი, 1990, გვ. 363). 5. „საკუმეველი გადასცა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 77). 6. „დაიწინდვის მონა ღუთისა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 79).

ის ფაქტი, რომ მაგალითები მრავლად არ დასტურდება, სულაც არ არის გასაკვირი, რადგანაც ნოდარ წულეისკირის ნაწარმოები არის ერთგვარი თანამედროვე გადაწერა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებისა. მწერლის მხრიდან ეს იყო დიდი ექსპერიმენტი, რაკი ძალზედ რთულია ასეთი ფაქიზი ტექსტის თანამედროვე ვარიანტის შექმნა, ენობრივი თვალსზრისით. ჩვენი კვლევა კი პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ძალიან იშვიათია ტექსტის ამგვარი ფერისცვალება, გადააზრება.

ძველი ქართული სალიტერატურო ენა ემყარება მტკიცედ ჩამოყალიბებულ ნორმათა სისტემას. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში თავს იჩენს ცოცხალ მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები (სარჯველაძე, 1984, გვ. 110).

### 1.2.2 . ასიმილაცია

ასიმილაცია ფონეტიკური მოვლენაა, რომელიც მე-5- მე-11 საუკუნეების წერილობით ძეგლებში აქტიურად დასტურდება. ზოგჯერ ერთი ბგერა მეორის

გავლენით შეიცვლება ხოლმე ისე, რომ მას დაემსგავსება. ამას ასიმილაციას ვეძახით. ასიმილაცია შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი (შანიძე, 1980, გვ.22).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ დასტურდება ასიმილაციის შემდეგი შემთხვევები:

1. „განდგომილთა ქრისტესაგან მრავალნი შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა“ (საბანისძე, 2009, გვ.73).

შეაცდუნეს ცთ-ცდ მეათე საუკუნემდე მგლებში დასტურდება, წარმოადგენს პროგრესული კონტაქტური ასიმილაციური გამჟღერების შემთხვევას (სარჯველძე, 1984, გვ.308).

1. „არა თუ პირველთაგანვე ჩუენგანი იყო, არამედ უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა, უცხოჲ უცხოჲთა შჯულითა მოვიდა“ (საბანისძე, 2009, გვ.73). 2. „შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდათა მადლითა ნათლისღებისაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ.73). 3. „და აწ დაუტევებიეს შჯული ესე ჩუენი“ (საბანისძე, 2009, გვ.81). 4. „ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩუენისაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ.81). 5. „აწ განემზადე და ილოცე შჯულითა მით“ (საბანისძე, 2009, გვ.81). 6. „განსწავლულ ვიყავ შჯულითა მით“ (საბანისძე, 2009, გვ.81).

რჯულითა შჯ-რჯ, საწარმოთქმო ორგანოთა ადგილის მიხედვით თანხმოვანთა რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია (შჯული-სჯული-რჯული) (სარჯველძე, 1997, გვ.19).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით ასიმილაციის შემდეგ შემთხვევას:

1. „შვილო, სარკინოზთა სჯულისკანონი სჯულის უარმყოფელს სიკვდილს მიუსჯის“ (წულეისკირი, 1990, გვ.317).

რჯულითა შჯ-რჯ, საწარმოთქმო ორგანოთა ადგილის მიხედვით თანხმოვანთა რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია (შჯული-სჯული-რჯული) (სარჯველძე, 1997, გვ. 19).

### 1.2.3 დისიმილაცია

თუ ერთ სიტყვაში ორი ერთნაირი ბგერაა მოსალოდნელი, შეიძლება, რომ ერთი მათგანი გადასხვაფერდეს, სხვა ბგერად იქცეს. ეს იქნება დისიმილაცია (გადასხვაფერება, გაარმსგავსება) (შანიძე, 1980, გვ.23).



ორი ერთმანეთის მსგავსი ბგერიდან სიტყვაში ერთი იცვლება და ამით მატულობს განსხვავება მათ შორის; ამის შედეგად შესაძლოა დაიკარგოს ცვლილი ბგერა.

დისიმილაცია არის ასიმილაციის საწინააღმდეგო მოვლენა: თუ ასიმილაციაში ერთმანეთს ემსგავსებიან განსხვავებული ბგერები, დისიმილაციაში, პირიქით, მსგავსი ან ერთგვარი ბგერები ერთმანეთს განემსგავსებიან (ახვლედიანი, 1999, გვ.203).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით დისიმილაციის შემდეგ მაგალითებს:

1. „და გამოვიდა იგი ნერსჴს თანა ქუეყანად ქართლად და შემოვიდა ქალაქსა **ტფილისს**“ (საბანისძე, 2009, გვ.79). 2. „შეიპყრეს ნეტარი ესე მოწამჴ ქრისტჴსი და მიიყვანეს იგი მსაჯულისა მის, რომელი იყო ამირად ქალაქსა **ტფილისს**“ (საბანისძე, 2009, გვ. 80). 3. „რამეთუ სხვაჲ მსაჯული ამირაჲ შემოსრულ იყო ქალაქსა **ტფილისს**“ (საბანისძე, 2009, გვ.80).

ნოდარ წულუისკირის ნაწარმოებში, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ ვხვდებით დისიმილაციის შემდეგ მაგალითებს: 1. „**ტფილისში**, სადაც მრავალი ერი ჩამოასახლეთ ჩვენდა წასალეკად“ (წულუისკირი, 1990, გვ.441). 2. „მთელ ქართლს, **ტფილისსა** და მის შემოგარენს რაზმებად მოედვნენ, ამირასა და ერისმთავრის კაცები“ (წულუისკირი, 1990, გვ.432). 3. „**ტფილის-ქალაქს** ორ დღესა და ღამეს არ ეძინა“ (წულუისკირი, 1990, გვ.432). 4. „**ტფილისის** ახლომახლო მცხოვრებთ, ყველა **ტფილისელთ** ებრძანათ აკლებული სახლ-კარის მიტოვება და მოედანზე შეკრება“ (წულუისკირი, 1990, გვ.433). 5. „**ტფილისი** და ახლომახლო დაბები მოითარეშეს“ (წულუისკირი, 1990, გვ.433).

განალიზებული მაგალითები გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ ორივე მწერალთან ასიმილაციისა (შეაცთუნეს, შჯულდებულ, შჯულითა, სჯულისკანონი, სჯულის) და დისიმილაციის (**ტფილისს**, **ტფილისში**, **ტფილისსა**, **ტფილის-ქალაქს**, **ტფილისელთა**) მსგავსი მაგალითები გვხვდება.

პროგრესული დისიმილაცია ძველ ქართულში იშვიათია: პროგრესული კონტაქტური განმსგავსების ერთ-ერთი ძალზე საყურადღებო სახეობაა დისიმილაციური გამჟღერება. XI-XIII საუკუნეთა ტექსტებში რამდენჯერმე გვხვდება

თფილისი > ტფილისი (ასიმილაცია); თფ კომპლექსის მეორე წევრი დისიმილაციით მქლერდება თბ. ( სარჯველაძე, 1984, გვ. 320).

#### 1.2.4. მეტათეზისი

მეტათეზისის შემთხვევებია : ათვრამეტი - ათურამეტი, ქმარი-ქრმისა, ძმარი-ძრმისა . ძველ ქართულში მეტათეზისია სიტყვაში სლა (სვლა), სადაც ს-ა საწყისის ნიშნებია(საღინაძე,2008,გვ.40).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით მეტათეზისის შემდეგ მაგალითებს:

- 1.„არამედ ქრისტჳს სიყუარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა **სლვისა**“(საბანისძე, 2009, გვ.73).
2. „ამან ინება **წარმოსლვაჲ** თჳსი აქა“ (საბანისძე, 2009, გვ. 76).
3. „მაშინ უბრძანა მსაჯულმან მან ჳელთა და ფერჳთა **შეკრვაჲ**“ (საბანისძე, 2009, გვ.82).
4. „ხვალე **განსლვაჲ** არს ჩემი ჳორცთაგან და მისლვაჲ უფლისა ჩემისა“ (საბანისძე, 2009, გვ. 83).
5. „ხოლო ადგილსა მას არავის აუფლეს **მისლვად** ქრისტიანეთაგანსა“(საბანისძე, 2009, გვ. 86).
6. „და ესე იყო ყრმა, ჳაბუკ ვითარ **ათრვამეტის** წლის, გინა უკნინჳს , **აჩვდმეტის** წლის“ (საბანისძე, 2009, გვ. 76).
7. „და სულით თჳსთა მოგზაურ ქმნული თჳთ იტყოდა ფსალმუნსა ამას **ასდა-მეათრვამეტესა**“( საბანისძე, 2009, გვ. 84).

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში შეგვხვდა მეტათეზისის შემდეგი შემთხვევები , იოანე საბანისძის ნაწარმოებში : **სლვისა (სვლისა), ათრვამეტის (თვრამეტის), წარმოსლვაჲ (წამოსვლა), შეკრვაჲ (შეკვრა), განსლვაჲ (გასვლა), მისლვაჲ (მისვლა), ასდა-მეათრვამეტესა (ას მეთვრამეტეს).** ძირითადად გვხვდება ვ ბგერის გადაადგილების შემთხვევები . მაშასადამე , გვაქვს მეტათეზისის შემთხვევები იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“.

ნოდარ წულეისკირი კი თავს არიდებს მეტათეზისურ ფორმებს, ამ საკითხის არგუმენტირებისათვის შეგვიძლია დავეყრდნოთ მის მოთხრობათა კრებულს ქართული პროზის საგანძურში (წულეისკირი, 2011 , გვ. 3-100).

#### 1.2.5 ბგერის დაკარგვა

ბგერის დაკარგვა ჰქვია ისეთ მოვლენას, როცა მოსალოდნელი ბგერა სრულებით



აღარ მოიპოვება, არც თავის ადგილას, არც სხვა ადგილას გადასმული და არც სხვა ბევრით შენაცვლებული. მაგალითად, უნდა გვექონდეს - „მამის-და“, მაგრამ გვაქვს მამიდა, სადაც დაკარგულია ბგერა ს (შანიძე, 1980, გვ.24).

**იოანე საბანისძის ნაწარმოებში, „აბოს წამება“, ვხვდებით ბგერის დაკარგვის შემდეგ შემთხვევებს:** 1. „აწ გლოცავ თქვენ, ქრისტეს მიმართ სურვიელითა გულითა“ (საბანისძე, 2009, გვ.72). 2. „და არა თუ ხოლო ჩემდა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტვლობად წმიდისა ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ.72). 3. „არამედ ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა“ (საბანისძე, 2009, გვ.73). 4. „და წარმოვიდა აქა ნერსეს თანა მგზავრ ქრისტეს სიყუარულისათჳს“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 5. „ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა , მთავარმან მან ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე“ (საბანისძე, 2009, გვ. 77). 6. „ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ მე ვარ ბუნებით სარკინოზ“ (საბანისძე, 2009, გვ.81). 7. „დაადგრა მდგომარჳ ზესა ფერჯთა თჳსთა, ვიდრე განთიადმდე, ყოვლადვე დაუჯდომელად“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 8. „სახელისა შენისა მითხრობად ყოველთა ქადაგ ვიქმენით“ (საბანისძე, 2009, გვ.90). 9. „ვადიდებთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ (საბანისძე, 2009, გვ.90).

**ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით ბგერის დაკარგვის განსხვავებულ მაგალითებს:** 1. „-გამარჯობა, რასა იქთ, კაცნო!“ (წულეისკირი, 1990, გვ .257). 2. „მოზვერი კიდეწა ახალდაკოდილი გვეყავ“ (წულეისკირი, 1990, გვ. 257). 3. „ვერ წამოვალთ ლაშქარშია, ვერა! - მიახალა უცებ იოანეს- ხვარბალი დასათესი გვაქ“ (წულეისკირი, 1990, გვ.258).

ბგერა იკარგვის, როგორც ძველ ჰაგიოგრაფიულ ტექსტში („აბოს წამება“), ასევე, მე-20 საუკუნის ნაწარმოებშიც („ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“). თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბგერის დაკარგვის გაცილებით ნაკლები შემთხვევა გვაქვს ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში, იოანე საბანისძის ნაწარმოებთან შედარებით. ბგერა იკარგვის განსხვავებულ შემთხვევებში.

#### 1.2.6. ბგერის განვითარება

ბგერათა დაკარგვის საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული ჩართვა. ე.ი ისეთი ბგერის გაჩენა, რომელიც სხვა ფორმების მიხედვით მოსალოდნელი არ არის (შანიძე, 1980, გვ.28).

ჩვენ გვხვდება ბგერის განვითარების სხვადასხვა შემთხვევა, ორი სხვადასხვა დროის ნაწარმოებში. ჩვენ აღვწუსეთ მაგალითები, რომლებშიც ესა თუ ის ბგერა არ იყო მოსალოდნელი და კონკრეტულ მაგალითებში მაინც დასტურდებოდა. ყურადღება გავამახვილეთ ფუძეში ჩართულ ბგერებზე.

ბგერის განვითარება არის ფონეტიკური მოვლენა, რომლის დროსაც სიტყვის ფუძეში ხდება ამა თუ იმ ბგერის განვითარება (გაფრინდაშვილი, თვალთვაძე, 2015, გვ. 7).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით ბგერის განვითარების შემდეგ მაგალითებს: 1. „სახელისა შენისა მითხრობად ყოველნი ქადაგ ვიქმნენით“ (საბანისძე, 2009, გვ.90). 2. „რამეთუ შენ უკანადაცხელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ მეთერთმეტისა ჟამისაჲ “ (საბანისძე, 2009, გვ. 89). 3. „განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმენით სიტყუათა ამათ ჩემთა“ (საბანისძე, 2009, გვ.72).

ნოდარ წულუისკირის ნაწარმოებში, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, ვხვდებით ბგერის განვითარების შემდეგ მაგალითებს: 1. „ხარი მამიკვდა, ბატონო, მა ვია დავადგა უღელი, ჩემი ძმა არის, განა სხვა ვინმეა, მინდა უღელს დავადგამ, მინდა უნაგირს, ენგრე, ხან ეგ ეწევა, ხანაც მენა, ენგრე“ (წულუისკირი, 1990, გვ. 257). 2. „სარკინოზს კიდენა ჩვენ ვერ მოვერევით, ენგრე,- ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა აბოჟირებული“ (წულუისკირი, 1990, გვ.258). 3. „დავიღალეთ, მოგვბეზრდა ფუჰად ხმლის ქნევა, ენგრე“ (წულუისკირი, 1990, გვ.258). 4. „ენგრე უთხარით იმათა, ბატონებსა, ენგრე“ (წულუისკირი, 1990, გვ.258).

ამრიგად, ბგერის განვითარების შემთხვევები გვაქვს, როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულუისკირის ნაწარმოებშიც. ბგერის განვითარებას ვხვდებით, როგორც ფუძეში, ასევე ბოლოკიდურ პოზიციაშიც. ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ განვითარებულია, როგორც თანხმოვანი, ასევე ხმოვანი ბგერებიც.

### 1.2.7. სუბსტიტუცია

სუბსტიტუცია არის ფონეტიკური მოვლენა, რომლის დროსაც ერთ ბგერას ანაცვლებს მეორე ბგერა (გაფრინდაშვილი, თვალთვაძე, 2015, გვ. 7).

ძველ ქართულში უფრო ხშირია თანხმოვანთა შენაცვლება, ხოლო იშვიათია ხმოვანთა შენაცვლება (სადინაძე, 2008, გვ. 41).

სუბსტიტუციის არსებობის დასადგენად, ჩვენ განვიხილეთ იოანე საბანისძის „აბოს წამება“ და ნოდარ წულეისკირის- „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“. იოანე საბანისძის ნაწარმოებში სუბსტიტუცია დასტურდება შემდეგ მაგალითებში: 1. „და იყო იგი ხელოვან, კეთილად შემზავებელ **სულნელთა** მათ საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრობითა, სარკინოზთაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 2. „ესე ნაშობი იყო **აბრამეანი**, ძეთაგან ისმაელისათა, ტომისაგან სარკინოზთაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ.75). 3. „არამედ ვერ განაცხადებდათა თვსა თვსა სრულიად **ქრისტეანედ**“ (საბანისძე, 2009, გვ.76).

ნოდარ წულეისკირი კი იყენებს სუბსტიტუციის შემდეგ მაგალითებს: 1. „ვერ წამოვალთ, ვერა, მიახალა უცებ იოანეს, -**ხვარბალი** დასათესი გვაქ“ (წულეისკირი, 1990, გვ.257). 2. „სარკინოზს **კიდენა** ჩვენ ვერ მოვერევით“ (წულეისკირი, 1990, გვ.257).

სუბსტიტუცია გვხვდება, როგორც „აბოს წამებაში“, ასევე „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“-შიც. ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნოდარ წულეისკირმა სოფლის მოსახლეობის მეტყველების სრული სისავსით აღსაწერად გამოიყენა სუბსტიტუცია და ბგერის განვითარება. იოანე საბანისძის ნაწარმოები სუბსტიტუციის თვალსაზრისით უფრო მრავალფეროვანია ჩვენი დაკვირვებით, რაკი ძველ ქართულში გაცილებით მეტი ფორმა გვაქვს, რომელშიც ბგერათა ჩანაცვლება გვხვდება, დღეს რამდენიმე ფორმა სალიტერატურო ენაში შეცვლილი ვარიანტით დამკვიდრდა (ხვარბალი-ხორბალი).

## თავი II. მორფოლოგიური პარალელები

### 2.1. არსებითი სახელი

არსებითი სახელი ჰქვია სიტყვას, რომელსაც საგნობრივი წარმოდგენა ახლავს: აღნიშნავს როგორც ფიზიკურ სამყაროში რეალურად არსებულ საგანს ( ან მის ნაწილს), ისე გრამატიკული ნიშნების მიხედვით მასთან გათანაბრებულ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს რამეს, ადამიანის ფსიქიკური მოქმედების სფეროდან, ან ასახელებს

საზოგადოებრივი ცხოვრების რომელსავე მოვლენას. საგნობრიობა - აი არსებითი სახელის არსებითი ნიშანი, მისი ნიშანდობლივი მხარე, ამიტომ ვამბობთ: არსებითი სახელი არის საგნის სახელიო: კაცი, მხეცი, ქვავარსკვლავი, სიზმარი, სიფხიზლე, სიუხვე, გულწრფელობა, ვაჟკაცობა, ჩვეულება, სინდისი და სხვ. (შანიძე, 1980, გვ. 37). არსებით სახელს გააჩნია მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვი. ჩვენ განვიხილავთ, როგორც მხოლოებითი რიცხვის ფორმით მოცემულ არსებით სახელებს, ასევე მრავლობითი რიცხვის ფორმით მოცემულ არსებით სახელებსაც. რიცხვის საკითხი ძველ ქართულში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. თავისთავად ცხადია, რომ იოანე საბანისძე იყენებს, როგორც მხოლოებითი რიცხვის, ასევე მრავლობითი რიცხვის სახელებსაც.

### 2.1.1. არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით მხოლოებითი რიცხვის ფორმით შემდეგ არსებით სახელებს: 1. „და არა თუ ხოლო ჩემდა მარტომსა სამიებელ არს სმენად საწადელი ესე **მარტვლობაჲ** წმიდისა ამის მოწამისაჲ,“ (საბანისძე, 2009, გვ.72). 2. „ესევითარსა **ჟამსა** შინა გამოჩნდა ახოვნად წმიდაჲ ესე **მოწამჲ**“ (საბანისძე, 2009, გვ. 73). 3. „რამეთუ პირველადვე წარგზავნეს **დედაჲ**, და **ცოლი**, და **შვილნი**, და **მონაგები**, და **ყოველნი**, **სახლისა** მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო **ქუეყანაჲ** იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა“ (საბანისძე, 2009, გვ.77). 4. „რომელნი ხართ **ქრისტჳს** მოყუარენი და მარტვლთ მოყუარენი, მიიღეთჩემგან სანატრელი ესე **სმენაჲ** წმიდისა მოწამისა და **ქრისტჳს** მოღუაწისაჲ, რომელი სიმჴნითა და დიდებითა გვრგვნოსან იქმნა **ქრისტჳს** მიერ“ (საბანისძე, 2009, გვ. 80). 5. „დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვაჲ და უკუეთუ ნაკლულევანებისა შენისათჳს შედგომილ ხარ ქრისტეანეთა, მე უფროდსლა **ნიჴი** და **პატივი** აწვე მიგცე შენ“ (საბანისძე, 2009, გვ.82). 6. „უკუეთუ გნებავს ცნობად **სიტკბოებაჲ** მისი, შენცა გრწმენინ **ქრისტჳს** და ნათელ- იღე მისა მიმართ და მაშინლა ღირს იქმნე ცნობად **სიტკბოებისა** მისისა“ (საბანისძე, 2009, გვ. 84). 7. „რომელნი ხართ **ქრისტჳს** მოყუარენი და მარტვლთ მოყუარენი, მიიღეთჩემგან სანატრელი ესე **სმენაჲ** წმიდისა **მოწამისა** და **ქრისტჳს** მოღუაწისაჲ, რომელი სიმჴნითა და დიდებითა გვრგვნოსან იქმნა **ქრისტჳს** მიერ“ (საბანისძე, 2009, გვ. 80). 9. „მაშინ უბრძანა **მსაჯულმან** მან **კელით** და

ფერკით შეკრვად მისი ბორკილითა რკინისადთა და ეგრწთ შთააგდეს იგი საპყრობილესა“ (საბანისძე, 2009, გვ. 82).

ბ) „აბოს წამებაში“ ვხვდებით ნართანიათი მრავლობითის ფორმებს : 1. „ქრისტიანეთა სარწმუნოებად დიდ მოძულურება არს“ (საბანისძე, 2009, გვ.74). 2. „და იყო დღეთა მათ შინა კულად განრისკებად კელმწიფეთა მათ“ (საბანისძე, 2009, გვ. 77). 3. „ ანუ ვინ გიგსნეს შენ კელთაგან ჩუენთა“ (საბანისძე, 2009, გვ.82). 4. „ჟამსა ამას ოდენ მეუფებისა ისმაიტელთაჲსა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჳ ქრისტჳსთვის აღირჩიე“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 5. „ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმალლდა ქებაჲ სათნოებათა შენთაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 6. „ და გამოიყვანეს იგი ეგრწთვე ბორკილითა ფერკითა და კელთაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ.84). 7. „მნებაჲს აწ, ქრისტჳს მოყუარენო, ამიერიტგან წმიდისა და სანატრელისა მოწამისა ამის ჰაბოჲსთჳს რაჲთა გაუწყო“ (საბანისძე, 2009, გვ.75).

ნოდარ წულუისკირის ნაწარმოებში „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ ვხვდებით მხოლობითი რიცხვის ფორმით მოცემულ შემდეგ არსებით სახელებს : 1. „აბოს არ ეგონა თუ იმ საშინელ საკნიდან გამოაღწევდა“ (წულუისკირი, 1990, გვ.231). 2. „როცა სასო სულ მთლად წარეკვეთა, სწორედ მაშინ გაუღეს კარი და ახლა სულ ერთი იყო ვინ რას ჰკითხავდა“ (წულუისკირი, 1990, გვ.231). 3. „სიმართლე უნდა ეთქვა, მხოლოდ სიმართლე და დაე, სიმართლისთვის დასჯილიყო“ (წულუისკირი, 1990, გვ.231). 4. „მურუქლი შუქი კვლავ ჩამოდგა წყვდიადში“ (წულუისკირი, 1990, გვ.230). 5. „თითქოს მეხი გავარდა“ (წულუისკირი, 1990, გვ.230).

ნოდარ წულუისკირის ნაწარმოებში „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ ვხვდებით მრავლობითი რიცხვის ფორმით მოცემულ შემდეგ არსებით სახელებს : 1. „აბომ შურტმთავარს კეთილი თვალები მიაპყრო“ (წულუისკირი, 1990, გვ.231). 2. „საგლახაკეში ყმაწვილები არ ჰყავდათ, ყმაწვილებისთვის არ იყო განკუთვნილი“ (წულუისკირი, 1990, გვ.230). 3. „დედაკაცივით თავს დასტრიალებდა სხვის შვილებს“ (წულუისკირი, 1990, გვ.230). 4. „პურის კვერები ამოალაგა“ (წულუისკირი, 1990, გვ.230). 5. „ხელის კანკალით დატეხა ხმიადები, ბავშვებს ხელისგულისოდენები ჩამოურიგა და დანარჩენი შეინახა“ (წულუისკირი, 1990, გვ.230). 6. „თანდათან ბავშვების თვალებში ნაკვერცხლები გაღვივდა, სწრაფად გამოფხიზლდნენ და



გამომკვირცხლდნენ“(წულისკირი, 1990, გვ.230). 7. „**ობლები** მიატოვოს და ლუკმაპური არ გამოუგზავნოს“(წულისკირი, 1990, გვ.230). 8. „**მხლებლები** ერისმთავარს გარეთ ელოდებოდნენ“(წულისკირი, 1990, გვ.251).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით მრავალფეროვნებას, არსებითი სახელის თვალსაზრისით. ნაწარმოებში გვაქვს, როგორც კონკრეტული არსებითი სახელები (**მოწამე, მამა, დედა, ქუყანა და ა.შ.**), ასევე აბსტრაქტული არსებითი სახელებიც (**სიტკბოება, ნიჭი, პატივი და ა.შ.**). არსებითი სახელის რიცხვის თვალსაზრისით კი, საინტერესოა, რომ გვაქვს, როგორც ნარიანი (**მოდღარნი, შემასმენელნი, მოყუარენი და სხვ.**), ასევე თანიანი (**დღეთა, კელმწიფეთა, ისმაიტელთაჲსა, ფერჯთა, მბრძოლთა და სხვ.**) მრავლობითის ფორმები და არ მოგვეპოვება ებ-იანი მრავლობითის ფორმა, ძველი ქართულის სპეციფიკიდან გამომდინარე. რაც შეეხება **ნოდარ წულისკირის ნაწარმოებს „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“**, აქაც ვხვდებით, როგორც კონკრეტულ (**კარი, დედა, შვილი და სხვ.**), ასევე აბსტრაქტულ არსებით სახელებს (**ამბავი, შუქი, სიმართლე და სხვ.**). რიცხვის თვალსაზრისით კი აღსანიშნავია, რომ **ნოდარ წულისკირის ნაწარმოებში** მრავლობითის გამოსახატავად გაბატონებულია ებ-იანი მრავლობითის ფორმა (**მხლებლები, ობლები, ნაკვერცხლები, ბავშვები და სხვ.**).

### **2.1.2 საზოგადო არსებით სახელთა ბრუნება**

ძველ ქართულში ბრუნვათა რაოდენობა ყველა სახელისთვის ერთნაირი არ ყოფილა: საზოგადო სახელებს ცხრა ბრუნვა ჰქონდათ, საკუთარს კი-ექვსი. ძველი ქართულის ბრუნვებია: წრფელობითი, სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მიმართულებითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი. ამათგან მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ძველი ბრუნვებია (სადინაძე, 2008, გვ.43).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელთა ბრუნვის შემდეგ მაგალითებს:

#### **ა) წრფელობითი ბრუნვა.**

ტერმინი „წრფელობითი“ არის შესატყვისი ბერძნული სიტყვისა „ოთორე“, რაც ნიშნავს პირდაპირს, სწორს, მართალს, სუფთას. ამ ბრუნვაში სახელი ფუძის სახით იყო

წარმოდგენილი: სახლ, მღდელ...წრფელობითი ბრუნვა გვხვდება უძველეს გრამატიკაში. იგი უძველესი წარმოშობისაა, იმდროინდელია, როდესაც გრამატიკული კატეგორიები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული (სალინაძე, 2008, გვ.45-46).

მაგ.: 1. “და იყო იგი **ხელოვან**, კეთილად **შემზავებელ** სულნელთა მათ საცხებელთა და **სწავლულ** იყო მწიგნობრობითა, სარკინოზთადათა”(საბანისძე, 2009, გვ.76). 2. „და თვსთა სათნოებითა იქმნა იგი **საყუარელ** ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა და ზრახვისა კსნილად“ (საბანისძე, 2009, გვ.76).

#### **ბ) სახელობითი ბრუნვა.**

ტერმინი „სახელობითი“ არის ბერძნული „ნომინანტივის“ შესატყვისი. სახელობითი ბრუნვის ნიშანია -ი. -ი წარმოდგენილი უნდა იყოს „იგი“ განსაზღვრული ნაწევრისაგან. ძველ ქართულში თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან სხელობითში -ი ნიშანი გვაქვს, ხმოვანფუძიანებთან -ე, რომელიც ი-ს დასუსტების შედეგადაა მიღებული, მისი ფონეტიკური ალომორფია (სალინაძე, 2008, გვ.46).

მაგ.: 1. „უფროდს გონებისა ჩემისა აღმაღლდა **ქებაჲ** სათნოებათა შენთაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 2. „მიიღეთ ჩემგან **სანატრელი** ესე სმენაჲ წმიდისა მოწამისა და ქრისტეს მოღუაწისაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ. 80). 3. „საძიებელ არს სმენად **საწადელი** ესე მარტვილობაჲ, წმიდისა ამის მოწამისაჲ (საბანისძე, 2009, გვ.72).

**გ) მოთხრობითი ბრუნვა.** მოთხრობითი ბრუნვა ანტონ კათალიკოსმა დაამკვიდრა ქართულ გრამატიკაში. მისი ნიშანი ძველ ქართულში არის -მან, განურჩევლად იმისა თუ რით ბოლოვდება სახელი. -მან ნიშნის გამარტივების შედეგად არის მიღებული დღევანდელი -მა თანხმოვანფუძიანებთან და -მ ხმოვანფუძიანებთან. -მან წარმოშობით დამოუკიდებელი სიტყვაა, ნაცვალსახელია (სალინაძე, 2008, გვ.46).

1. „ და ვითარცა წარმოემრთნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ჰაბოს მიუწოდა **მთავარმან** მან აფხაზეთისამან...“ (საბანისძე, 2009, გვ.78).

**დ) მიცემითი ბრუნვა.** ტერმინი „მიცემითი“ არის ბერძნული „დოტიკეს“, ლათინური „დატივუსისა“-ს შესატყვისი. მისი ნიშანი ძველ ქართულშიც და ახლაც არის -ს, როგორც თანხმოვანფუძიან, ასევე ხმოვანფუძიან სახელებთან. იგი გავრცობილი იყო ა ხმოვნით (სალინაძე, 2008, გვ. 47).

1. „ვერ განმაშორონ მე **სიყუარულსა** უფლისა ჩემისასა“ (საბანისძე, 2009, გვ. 78).

**ე) ნათესაობითი ბრუნვა.**

ძველ ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი საზოგადო თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცად სახელებთან არის -ის, ხოლო უკვეცელებთან -ის, რასაც ემატება ა ხმოვანი(სადინამე, 2008,გვ.46).

1.„დაღათუ ბევრეული **ოქრომსა** და **ვეცხლისაჲ** მომცენ მე, გინათუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე“ (საბანისძე, 2009, გვ. 78). 2. „რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი **ქართლისაჲ**,სახელით ნერსე, ძმადარნესე **კურაპალატისა** და ერისმთავრისა, მოწოდებულ იქმნა ამირა მუმნისა **აბდდილამსაგან**.“(საბანისძე, 2009, გვ.74).

**ვ) მიმართულებითი ბრუნვა.**

თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცად სახელებთან მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი არის -ისა, ხოლო უკვეცელ სახელებთან -ისა. ეს ბრუნვა ფორმით ემთხვევა გავრცობილ ნათესაობითს. მაგრამ საკუთარ სახელებში იგი განსხვავებული იყო მისგან ა-ს დართვით. მიმართულებითი გვაქვს მესამე პირის ნაცვალსახელებშიც: მიავლინა მისა, მიავლინა მათა (სადინამე, 2008, გვ.47).

1. „ჩვეულებისაებრ **მამულისა** სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებთან **მხოლოდშობილსა** ძესა **ღმრთისასა**“ (საბანისძე, 2009, გვ.73).

**ზ) მოქმედებითი ბრუნვა.**

ტერმინი მოქმედებითი მომდნარეობს ლათინურიდან. მისი ნიშანი ძელ ქართულში თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცად სახელებთან იყო - ით, უკვეცელ სახელებთან კი -ით, რასაც ემატებოდა ა ხმოვანი, მხოლოდ საზოგადო არსებით სახელებთან. ამ ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილიც (თ) ნივთის კლასისი ნიშანი უნდა ყოფილყო თავდაპირველად (სადინამე, 2008, გვ.48).

1. „რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი **ქართლისაჲ**,**სახელით** ნერსე, ადარნესე **კურაპალატისა** და ერისმთავრისა, მოწოდებულ იქმნა ამირა მუმნისა **აბდდილამსაგან**.“(საბანისძე, 2009, გვ.74).

**თ) ვითარებითი ბრუნვა.**

მეხუთე- მეთერთმეტე საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით ვითარებითი ბრუნვის ნიშანია -ად, -დ და -ა. -ად არის თანხმოვანფუძიანებთან -დ



ხმოვანფუძიანებთან. -ა კი სადიდებელა, საქებელა ტიპისა და -ეთ სუფიქსიან სახელებთან: ჯოჯოხეთა. ახალი ქართულისაგან განსხვავებით -დ ნიშანი დასტურდება ძველი ქართულის ზოგიერთ თანხმოვანფუძიან სახელთანაც, კერძოდ, -ილ სუფიქსიან სახელებთან, სადაც ლ შეიძლება დაიკარგოს (სადინაძე, 2008, გვ. 48)

1. „შესძინა **სწავლად** ქართულისა მწიგნობრობისა და ზრახვისა **კსნილად**“ (საბანისძე, 2009, გვ.76).

ი) **წოდებითი ბრუნვის** ნიშანია -ო, განურჩევლად იმისა თუ რით ბოლოვდება სახელი. -ვ სუფიქსი მოგვიანებით, მეათე საუკუნეში გაჩნდა. რამდენიმე საზოგადო არსებითი სახელი წოდებითში არ დაირთავს ნიშანს : ხუცეს, მოძღუარ, ეპისკოპოს , მეფე (სადინაძე, 2008, გვ.49).

1. „ყოვლად ქებულო ქრისტეს **მოწამეო**“ (საბანისძე, 2009, გვ. 89).

**ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“**, ვხვდებით თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნვის შემდეგ მაგალითებს: 1. „ქართველმა ხალხმა დიდი **მსხვერპლი** გაიღო იმისთვის, რომ შეეძინა ჭეშმარიტი **მფარველი**“ (წულეისკირი, 1990, გვ.242). 2. „თქვენი **ბერები** მისულან შურტმთავართნ და უთქვამთ, თითქოს ნერსეს დავალებით წამობრძანდით ხაზარეთს ახალი ამბოხების მოსაწყობად“ (წულეისკირი, 1990, გვ.240). 3. „თავი და თავი **დღევანდელი** ქართველობის ჭირისა, ხომ იცით ვინც არის“ (წულეისკირი, 1990, გვ. 241). 4. „**სტეფანოზმა** მღელვარედ და ხაზგასმით წარმოთქვა „იოანე გადავარჩინო“ (წულეისკირი, 1990, გვ.243). 5. „ბაბაქი კი ამირასა და **ერისმთავარს** ელოდებოდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.289). 6. „კათალიკოსი ლაპარაკობდა **ერისა და ღვთის** სახელით, ერისმთავარი კი მხოლოდ თავისი **სახელით**“ (წულეისკირი, 1990, გვ.195). 7. „სწორედ **ჯვრის** მონასტერში, ბერები შეიპყრეს და შიგ თავლა გამართეს“ (წულეისკირი, 1990, გვ.235). 8. „ლეონ მეორესაც წინაპართა **ნაკვალევით** უნდა ევლო“ (წულეისკირი, 1990, გვ.237). 9. „სხვაგვარ წიგნს **აფხაზეთიდან** არ მოელოდნენ“ (წულეისკირი, 1990, გვ.236).

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება ძველი ქართულისეურია. გვაქვს ბრუნვათა ფორმები, რომლებიც ძველ ქართულში გვქონდა, ახალმა ქართულმა კი აღარ იმეძვიდრა. ასეთია, მაგალითად, წრფელობითი

ბრუნვა (ხელოვან, შემზავებელ, საძიებელ...). ძველი ქართულისებურია ისიც, რომ სახელობით ბრუნვაში, თანხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს -ი (**ჟამი, ერისმთავარი, საწადელი...**), ხმოვანფუძიანებთან კი -მ. რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევაში თანხმოვანფუძიანი სახელი იბრუნვის ისე, როგორც თანამედროვე სალიტერატურო ენაშია მიღებული. რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევის გარდა, თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნვის ნიშნები სრულად არის წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში, აქედან გამომდინარე კი, შეიძლება ითქვას, რომ ნოდარ წულეისკირი ეყრდნობა ბრუნვათა თანამედროვე სისტემას.

### **ხმოვანფუძიან არსებით სახელთა ბრუნვა**

ხმოვანფუძიანი სახელები იყოფა სამ ჯგუფად: **უკვეცელი, კვეცადი და კუმშვად** კვეცადი. უკვეცელია სახელი, რომლის ფუძეც უცვლელია ბრუნებისას, ხოლო კვეცადია სახელი, რომლის ბრუნების დროს იკარგება ფუძის ბოლო ხმოვანი. ისეთ სახელებს, რომელთა ბრუნებისას ფუძეში ერთდროულად კუმშვაც ხდება და კვეცაც, კუმშვად კვეცადი ჰქვია(საღინაძე, 2008, გვ.57).

ძველ ქართულში უკვეცელია ო-სა და უ-ზე დაბოლოებული სახელები, უკვეცელია მარცვლიან უ-ზე დაბოლოებული სახელები. ძველ ქართულში მეტწილად იკვეცება, მაგრამ იშვიათად შეუკვეცლადაა წარმოდგენილი ე-ზე დაბოლოებული საზოგადო არსებითი სახელები: იქედნე, ყურე, არე... (საღინაძე, 2008, გვ.59).

**იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების შემდეგ მაგალითებს:** 1. „აჰა ესერა ქართლისაცა მკვდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს **დედად** წმიდათა, რომელთამე უცხოთა და სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად- ჟამად **მოწამედ** გამოჩინებითა ქრისტე **იესუმს** მიერ“ (საბანისძე, 2009, გვ.74). 2. „გამოჩინებითა ქრისტე **იესუმს** მიერ“ (საბანისძე, 2009, გვ.74). 3. „ხოლო მან **ღამის** თევასა მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი კელითა თვსთა და დადგა იგი შორის **საპყრობილესა**; და დაადგრა მდგომარჴ ზედა ფერვთა თვსთა, ვიდრე განთიადმდე“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 4. „ჰნატრიან შენსა მას **დიდებულებასა**, შენსა მას მოღუაწებასა, შენსა მას **სიმეწესა**, შენსა მას **მარტვლობასა**, შენსა მას **გვრგვინოსნებასა**“ (საბანისძე, 2009, გვ.89).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“- ვხვდებით ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების შემდეგ მაგალითებს: 1) „როგორც ერისმთავარი, მოვითხოვ ჩემი საკუთარი საყდრის აღდგენას და დამნაშავეს დასჯას“ (წულეისკირი, 1990, გვ.194). 2) „ყურანის ენაზე მოლაპარაკე კათალიკოსის მოსმენას მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე სტეფანოზის ხვეწნა-მუდარას“ (წულეისკირი, 1990, გვ.194). 3) „რის აღდგენას ვიწყებთო, რა უნდათ, რატომ არ ისვენებენ“ (წულეისკირი, 1990, გვ. 187). 4) „მიქაელის ცხენი ერთი-ორჯერ მაინც ააცურა მდინარემ“ (წულეისკირი, 1990, გვ.185).

### 2.1.3 ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნება

ბრუნვის თვალსაზრისით ადამიანის (პირის) სახელები ანუ ანთროპონიმები ძველ ქართულში განსხვავდება საზოგადოებრივ, რაც ბრუნების უძველეს ტიპზე უნდა მიგვანიშნებდეს. სავარაუდოა, რომ ძალიან ადრე საზოგადო და სკუთარი არსებითი სახელები ერთნაირად ბრუნებოდა, ფუძე გაუფორმებელი იყო. შემდეგ საზოგადო სახელებმა სუფიქსები და დეტერმინანტი დაირთო (სალინაძე, 2008, გვ. 62).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნების შემდეგ მაგალითებს: 1) „ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსფისა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაჲთა სტეფანოზ, ძე გურგენ ერისთვისაჲ, დისწული ნერსფსი, ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლისასა“ (საბანისძე, 2009, გვ. 78). 2) „და გამოვიდა იგი ნერსფს თანა“ (საბანისძე, 2009, გვ.79). 3) „სახელით ნერსე, ძე ადარნსე კურაპალატისა და ერისმთავრისა, მოწოდებულ იქმნა ამირა მუმნისა აბდილაჲსაგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს“ (საბანისძე, 2009, გვ.75). 4) „ჰაბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან...“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 5) „და წამოვიდა აქა ნერსფს თანა მგზავრ ქრისტეს სიყუარულისათჳს“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 86) „რამეთუ ჭეშმარიტად იესუ ქრისტეს, ძისა ღმრთისა, მარტვლ არს“ (საბანისძე, 2009, გვ. 87).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით ადამიანთა სახელთა ბრუნების შემდეგ მაგალითებს: 1) „მცხეთის მამასახლისი იოანეს შვილს ქალს ვერ გაატანდა, უბრალო ქართველმა მოხელემ ძლივს ამირას ყურადღება დაიმსახურა, უფროსი ვაჟი, გუარამი დაუწინაურა“ (წულეისკირი, 1990, გვ.183). 2) „მიქაელი გუარამს კარგად

იცნობდა, ისიც მამამისთან სწავლობდა მარიამწმიდაში“ (წულეისკირი, 1990, გვ.183). 3) „**გრიგოლს** არ მოსწონდა არც **გუარამის** დაწინაურება ამირას კარზედა არც მიქაელის ამჩატება სიყვარულის გამო“ (წულეისკირი, 1990, გვ.183). 4) „**მიქაელს** ენა წაერთვა, გონება დაებინდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.184). 5) „**სტეფანოზი** მე ამირას სასახლეში მპირდება გადაყვანას, ჩემს ადგილას შენს თავს მივალებინებ“ (წულეისკირი, 1990, გვ.187). 6) „**ჰაჯიჯ იბნ იუსუფის** ჩაომავალია, ვინც ლოდტყორცნებით დაანგრია ქაბის ტაძარი“ (წულეისკირი, 1990, გვ.193). 7) „შურტათმთავარი **ჰაჯიჯ იბნ-ალ ბაბაქი** ქართველი ერის დაუძინებელი მტერია“ (წულეისკირი, 1990, გვ.193). 8)მ, არა, თქვა **სამოელმა** , - მე არავის დასჯას არ ვაპირებ“ (წულეისკირი, 1990, გვ.194). 9)„ამირას გულზე მოხვდა სწორედ მისი ნამჭევრი და არა **სტეფანოზისა**“ (წულეისკირი, 1990, გვ.194). 10) „**მამა ონოფორემ** მღვდელმთავარი და ერისმთავარი რომ დაინახა, ორივეს ფეხებში ჩაუვარდა“(წულეისკირი, 1990, გვ.197). 11) „ერთი კვირაა **იოანე** თვალთ არ მინახავს, -თქვა **მამა ონოფორემ**“(წულეისკირი, 1990, გვ.197). 12) „გაუელვა **აბოს**“(წულეისკირი, 1990, გვ.203). 13) „პირველად **ნერსეს** მოჰკვეთენ თავს შენს მფარველსა და პატრონს“(წულეისკირი, 1990, გვ.2004). 14) „ხალხთან ერთად მიდიოდა ვინმე კაცი, სახელით **სვიმონ**“ (წულეისკირი, 1990, გვ.221). 15) „**ლეონ** მეორესაც წინაპართა ნაკვალევით უნდა ევლო “(წულეისკირი, 1990, გვ.237). 16) „**აშოტ** ერისთავი უფრო შორს იყურებოდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.237). 17) „**კეწეწა!** დაუძახა იოანემ-მოდო აქ!“ (წულეისკირი, 1990, გვ.252). 18) „**მელანო**, ახლა როგორა ხართ?“ (წულეისკირი, 1990, გვ.252). 19) „დიახ, შეჰღალადა სიბნელები **კარიჭ** კარიჭის ძემ“ (წულეისკირი, 1990, გვ.309).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით საკუთარ სახელთა ბრუნების სხვადასხვა შემთხვევებს. აღსანიშნავია, რომ იოანე საბანისძის ტექსტში საკუთარი სახელების ბრუნვათა ფორმა ძველი ქართულისებურია. სახელობით ბრუნვაში ადამიანთა სახელები გვაქვს ბრუნვის ნიშნის გარეშე წარმოდგენილი (**სტეფანოზ,ნერსე**). მოთხრობით ბრუნვაში გვაქვს -მან სართი (**ამირა მუმნმან**), ნათესაობით ბრუნვაშიც გვაქვს -ს,-სა (**ნერსეს**), ნათესაობითში - ის, -ისა, -**მსა** (**აბდილაჰსაგან**). რაც შეეხება მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებს, როგორც ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი, უჭირს საკუთარ სახელს ამ ორი ბრუნვის წარმოება და შესაბამისად,

არ გვხვდება ნაწარმოებში. განხილული მაგალითებიდან გამომდინარე კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „აბოს წამებაში“ საკუთარ სახელთა ბრუნება ძველი ქართულისებურია. გამონაკლისს წარმოადგენს ა და ი მავრცობი ხმოვნების გამოყენება (ნერსწისი, მუმნისა) ადამიანთა საკუთარ სახელებთან.

რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, აქ ვხვდებით საკუთარ სახელთა ბრუნების არა ძველქართულის, არამედ თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ბრუნების მაგალითებს. მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე პერსონაჟებზეც აქვთ საუბარი ნოდარ წულეისკირს და იოანე საბანისძეს, სახელთა ბრუნების თვალსაზრისით მათი სამწერლობო მანერა განსხვავებულია. მსგავსება ის არის, რომ ორივე მწერალი იყენებს მავრცობ ხმოვნად ი-ს (აბოსი, იოანესი).

#### **2.1.4. გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება**

გეოგრაფიული სახელები იბრუნვის ნაწილობრივ საზოგადო, ნაწილობრივ ადამიანის (პირის) სახელთა მსგავსად: მათ არ უჭირთ არც ერთი ბრუნვის წარმოება, ყველა ბრუნვაში დაირთავენ ნიშანს, იკუმშებიან და იკვეცებიან, არა აქვთ მრავლობითი რიცხვი, წოდებითში უნიშნოდ, ფუძის სახით არიან, თუმცა ო ნიშნითაც შეიძლება შეგვხვდეს. გეოგრაფიული სახელები სავრცობს ხან დაირთავენ, ხან არა, იმის მიხედვით თუ რა შინაარსი აქვთ (სადინაძე, 2008, გვ.65-66).

ს-ა დაბოლოება დაერთვის მსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელს ან თანდებულიან გეოგრაფიულ სახელს (იორდანესა შინა) (სარჯველაძე, 1997, გვ.34).

„ჭილ-ეტრატის იადგარში“ საკუთარი და საზოგადო სახელების ემფატიკურხმოვნიანი და არაემფატიკურხმოვნიანი ფორმების ერთმანეთის პარალელურად არსებობა მიგვანიშნებს მათი გათანაბრების ტენდენციასა და სალიტერატურო ენაში სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ნორმების შეჭრა-დამკვიდრებაზე (კობერიძე, 2013 (1). გვ. 2013).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით გეოგრაფიულ სახელთა ბრუნების შემდეგ ფორმებს: 1) „აჰა ესერა ქართლისაცა მკვდრთა აქუს სარწმუნოებაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ.74). 2) „და უფალმან დაიცვა იგი ჴელთაგან მათთა, და განვლო მან კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის“ (საბანისძე, 2009, გვ.77). 3) „მარტვლობაჲ



წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა ჰაზოდის ქალაქსა **ტფილისს** იყო ესრე სახედ:“ (საბანისძე, 2009, გვ.80). 4) „მამად მისი და დედად მისი, და ძმანი, და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა **ბაღდადს ბაბილოვნისასა**“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 5) „რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი **ქართლისაჲ**, სახელით ნერსე, ძჳ ადარნსე კურაპალატისა და ერისმთავრისა, მოწოდებულ იქმნა ამირა მუმნისა აბდილაძესაგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა **ბაღდადს**“ (საბანისძე, 2009, გვ.75).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით გეოგრაფიულ სახელთა ბრუნების შემდეგ შემთხვევებს: 1) „მართალია, იოანე რაც ბერად შედგა, მთელი **საქართველო** შემოიარა, **ტაო-კლარჯეთშიც** იყო, **კახეთ-კუხეთშიც**, **შავშეთსაც**, **ჰერეთშიც**“ (წულეისკირი, 1990, გვ.191). 2) „ის, რაც ჯერ მურვან ყრუმ დაატეხა თავს **აფხაზეთს**, ჯერ კი არ დავიწყნოდა **ციხეგოჯსა** და **კლისურას**“ (წულეისკირი, 1990, გვ.236). 3) „**აფხაზეთის** მტერი, მტერია ქართლოსიანთა“ (წულეისკირი, 1990, გვ.236). 4) „თუ ყოველი ქართველი აისხამდა იარაღს, თუ **ქართლი**, **კახეთ-კუხეთი**, **ჰერეთი**, **წანარეთი**, **აფხაზეთი**, **ლაზეთი**, **არგუეთი**, **ტაო-კლარჯეთი** ერთად აღსდგებოდა სარკინოზთა წინააღმდეგ, საუკუნო მონობას უსათუოდ მოედებოდა ბოლო“ (წულეისკირი, 1990, გვ.237). 5) „უფლისა ჩვენისა შობის დღეს გეახლებით **მცხეთას** და თქვენთან ერთად ვეამბორები ღვთისმშობლის წილხვდომილ მიწას“ (წულეისკირი, 1990, გვ.236). 6) „**აფხაზეთი**, **ლაზეთი**, **აფშილეთი**, **სანიგეთი**, **არგუეთი**, მთელი ძველი **კოლხეთი**, მარად მხარში ედგა **იბერიას** და დღესაც მზად არის სისხლი დაღვაროს“ (წულეისკირი, 1990, გვ.236). 7) „**აფხაზეთი კოლხეთისა და იბერიის** განუყოფელი ნაწილია“ (წულეისკირი, 1990, გვ.236). 8) „მაშ, **ხაზარეთს** აღარ ბრძანებულხარ?“ (წულეისკირი, 1990, გვ.239). 9) „**ქართლს** ქართველობის ერთგულება და მორჩილება თუ დაიცავდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.247).

იოანე საბანისძის ნაწარმოებში გეოგრაფიული სახელები იბრუნვიან ძველი ქართულისებრი ფორმით. თანხმოდანფუძიან გეოგრაფიულ სახელებთან გვაქვს შემდეგი ბრუნვის ნიშნები: **0**, **-ი**, **მან**, **-ს(ა)**, **-ის(ა)**, **-ით**, **-ად(-დ)**, **ო**. ხმოდანფუძიან გეოგრაფიულ სახელებთან გვაქვს შემდეგი ბრუნვის ნიშნები: **0**, **-ჲ**, **-მან**, **-ს(ა)**, **-მს-ა**, **-მო**, **-დ**, **-ო**. „აბოს წამებაში“ გეოგრაფიული სახელები დაირთავენ სავრცობსაც (**ქართლისასა, ქართლისაჲ**). დასტურდება სავრცობი ხმოვნების გამოყენების პარარელული შემთხვევები. რაც

შეეხება **ნოდარ წულუისკირის** ნაწარმოებს, მასში გეოგრაფიული სხეულები თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით არის წარმოდგენილი. ძირითადად შეგვხვდა სახელობითი ბრუნვის ფორმით გადმოცემული გეოგრაფიული სახელები.

#### 2.1.5. მავრცობი ხმოვნები

მეხუთე- მეთერთმეტე საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით არსებით სახელს სამ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში და მოქმედებითსა დაერთვოდა ა ხმოვანი. ახალი ქართულისაგან განსხვავებით ის არ დაერთვოდა ვითარებით ბრუნვას და ჰქონდა უფრო სისტემური ხასიათი. ა სავრცობი ძველ ქართულში დასტურდება მრავლობით რიცხვშიც, კერძოდ, თანაჲნ მრავლობითსა და ებიანის აღნიშნულ სამ ბრუნვაში (მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი) (სალინაძე, 2008, გვ.49).

მეათე საუკუნის სასულიერო პოეზიაში ემფატიკურ ა-ს ხმარებას საზოგადო სახელებთან მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით ბრუნვებში და თანაჲნ მრავლობითში სისტემური ხასიათი ჰქონდა, იგი დაულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართული ენის ნორმები მოითხოვს. შეინიშნება ადამიანთა საკუთარი სახელების სავრცობიანი ფორმების გამოყენების შემთხვევები: ქრისტსა, ქრისტეჴსა, აჰრონისსა.. (კობერიძე, 2013 2013 (2). გვ.10).

**იოანე საბანისძის „აზოს წამებაში“** ვხვდებით შემდეგ გავრცობილ ფორმებს:

1) „რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე **მშვდობისა** სიტყვთა შეაჯერებდეს“ (საბანისძე, 2009, გვ.79). 2) „რამეთუ **ჟამსა** ამას ოდენ **მეუფებისა** **ისმაიტელთაჲსა** **დიდებასა** შენ ნეფსით სიმდაბლჴ ქრისტჴსთვის აღირჩიე და **მახვილითა** პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჰემმარიტი იგი აღიარე და **ჯუარცუმულსა** მას თავყან-ეც უფლად და ღმრთად“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 3) „ამან ინება წარმოსლვად თჳსი აჟა **ერისმთავრისა** მის ნერსჴს თანა და შეეყო იგი მსახურად **მისა**“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 4) „ხვალე განსვლად არს ჩემი ჳორცთაგან და მისლვად უფლისა ჩემისა **ღმრთისა** იესუ ქრისტჴს თანა“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 5) „ხოლო მან ღამის **თევასა** მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი **ჳელითა** თჳსთა და დადგა იგი შორის **საპყრობილესა**; და დაადგრა მდგომარჴ ზედა **ფერჳთა** თჳსთა , ვიდრე განთიადმდე“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 6) „აღასრულნა ფსალმუნნი და სანთელნი დაიწუნეს **ჳელთა** შინა მისთა, **რკინითა** **შეჳედილითა** ზედა **ქედსა** მისსა“ (საბანისძე, 2009, გვ.84). 7) „და განჴჳსნეს იგი **ჳელით** და **ფერჳით**

საკრველითა მათგან რკინისათა“ (საბანისძე, 2009, გვ.85). 9) „ხოლო ადგილსა მას არავის აუფლეს მისლვად ქრისტიანეთაგანსა, ვიდრემდის აღასრულეს დაწუად იგი ჯორცთა მათ წმიდისა მოწამისათაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ.86).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით შემდეგ სავრცობდართულ ფორმებს:

- 1) „მწუხარებასა და უბედურებას ქალი მიწასთან გაესწორებინა“ (წულეისკირი, 1990, გვ.254).
- 2) „ბაბაქი კი ამირასა და ერისმთავრის ნებართვას ელოდებოდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.298).
- 3) „უფრო სხვების ბედი აწუხებდა, ვიდრე კარიჭისძისა“ (წულეისკირი, 1990, გვ.316).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ გაცილებით მეტი მაგალითი გვხვდება, სავრცობის (ა, ი) გამოყენების (შეჭედილითა, ქედსა, მისსა, ქუეყანისათა, ჯუარცმულსა, ქუეყანისასა, კელითა, რკინითა, ადგილსა...), ვიდრე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში, თუმცა, აღსანიშნავია, ისიც, რომ სავრცობიანი ფორმები აქაც მოგვეპოვება (მწუხარებასა, ამირასა, კარიჭისძისა). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სავრცობი გაცილებით ხშირად შეგვხვდა ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში, როგორც იოანე საბანისძის, ასევე, ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც.

## 2.2 ზედსართავი სახელი

### 2.2.1 ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმებია: დადებითი, ოდნაობითი და უფროობითი. დადებითი ნეიტრალურია, ამოსავალია დანარჩენი ფორმებისთვის. ოდნაობითი საგნის ამა თუ იმ თვისებას აჩვენებს დადებითზე ნაკლები ოდენობით. იგი იწარმოება დადებითის ფუძეზე მო-ე კონფიქსის დართვით. მო-ე კონფიქსი მთლად უცხო არ არის ქართულისთვის, თუმცა იშვიათია. რაც შეეხება უფროობით ხარისხს, იგი საგნის ნიშან-თვისებას აჩვენებს დადებითთან შედარებით მეტი ოდენობით. ძველ ქართულში უფროობით ხარისხს აწარმოებს: უ-ემს, უ-ომს (სადინაძე, 2008, გვ.74-75).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“, ვხვდებით ზედსართავი სახელის შემდეგ ხარისხის ფორმებს:



**დადებითი ხარისხის ფორმები:** 1) „საწადელი ესე მარტულობად“ (საბანისძე, 2009, გვ.72). 2) „გამოჩნდა ახოვნად წმიდა ესე მოწამე“ (საბანისძე, 2009, გვ. 73). 3) „უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა, უცხო უცხოთა შჯულითა მოვიდა“ (საბანისძე, 2009, გვ.73). 4) „გარდამოავლინა უფალმა ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარ“ (საბანისძე, 2009, გვ. 87). 5) „უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოება მისი, შენცა გრწმენინ ქრისტე“ (საბანისძე, 2009, გვ. 85). 6) „ნეფსით სიმდაბლჳ ქრისტესთჳს აღირჩიე“ (საბანისძე, 2009, გვ. 89). 7) „მიიღეთ ჩემგან სანატრელი ესე სმენა წმიდისა მოწამისა“ (საბანისძე, 2009, გვ.80). 8) „ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყვდ რომელნიმე რეცა სიტყუჯთა ლიქნისაითა“ (საბანისძე, 2009, გვ.82).

**უფროებითი ხარისხის ფორმები:** 1. „მოძღუარ ჩუნდა იქმენ, სწავლულნი უფროს გულისხმიერ-ჰყვენ“ (საბანისძე, 2009, გვ. 86). 2. „არამედ ვერ ვიკადრე, რამეთუ უფროს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქება სათნოებათა შენთა“ (საბანისძე, 2009, გვ.89).

**ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, ვხვდებით ზედსართავი სახელის ხარისხის შემდეგ ფორმებს:** 1. „იოანე საბანისძე, ბრალდებული, ჩვენი დიდი სამშობლოს, მთელი ხალიფატის ღალატში“ (წულეისკირი, 1990, გვ.444). 2. „დასჭექა ვიღაცამ ბოხი ხმით და მოულოდნელად სამსჯავროზე აიჭრა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 444).

## 2.2.2. ზედსართავის ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთად

**იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით არსებითთან ერთად მყოფ ზედსართავთა ბრუნების შემდეგ მაგალითებს:** 1. „გარდამოავლინა უფალმა ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარ“ (საბანისძე, 2009, გვ. 87). 2. „წოდებულ არს დედად წმიდათა“ (საბანისძე, 2009, გვ.74). 3. „საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტვილობად, წმიდისა ამის მოწამისა“ ჩემთა“ (საბანისძე, 2009, გვ.72). 4. „ესევიტარსა ჟამსა შინა გამოჩნდა ახოვნად წმიდა ესე მოწამე“ (საბანისძე, 2009, გვ.73).

**ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით, არსებითთან ერთად მყოფ შემდეგ ზედსართავ სახელებს :** 1. „გულის პირგასისხლიანებული ჭაბუკი პირადმა ესვენა ურემზე“ (წულეისკირი, 1990, გვ. 426). 2. „დაეჭვებული მელო ხალხში შევარდა, ალქაჯივით აქეთ ეცა, იქით ეცა, და სისხლით შეღებილ საკუთარ შვილს თავზე წაადგა“

(წულეისკირი, 1990, გვ.425). 3. „დიდხანს ქვითინებდა და გულში იკრავდა **უსულო შვილს**“ (წულეისკირი, 1990, გვ. 425). 4. „მკვდარზე **გულდამხოვილ დედას** წამოყენება დაუპირეს“ (წულეისკირი, 1990, გვ. 425). 5. „ჩვენს თავს რა ამბავიაო, ღერღეტ-ინდაური მიატოვა და **გაფართოებული თვალებით** შვილს გამოუდგა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 424). 6. „**სამარისებური სიჩუმე** ჩამოვარდა აივანზე“ (წულეისკირი, 1990, გვ.161). 7. „**საგონებელში ჩავარდნილ სტეფანოზს** ეტლი მტკვრის გადაღმა მიაქროლებდა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 154). 8. „წელში წყდომითა და ნემსის ყუნწში ძრომით შეარიგა **დიდგულა ბიძა** და ზედამდგომელნი“ (წულეისკირი, 1990, გვ. 154).

იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულ ტექსტში, ასევე **ნოდარ წულეისკირის** ნაწარმოებშიც ვხვდებით არსებითთან ერთად მყოფ ზედსართავ სახელს სხვადასხვა ბრუნვის ფორმაში. საინტერესოა ის, რომ იოანე საბანისძის ნაწარმოებში გაცილებით აქტუალურია ზედსართავის სახელობითი ბრუნვის ფორმით გამოყენება (**ვარსკულავი მოტყინარჯ**“, **საწადელი მარტვილობა...**). იოანე საბანისძეს დაცული აქვს მსაზღვრელ-საზღვრულის ძველი ქართულისებრი წესი. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მსგავსი ვითარება აღმოჩნდა ნოდარ წულეისკირის ნაწარმოების ანალიზის შემთხვევაშიც (**გაფართოებული თვალებით, დაეჭვებული მელო, გულისპირგასისხლიანებული ჭაბუკი...**), თუმცა გვაქვს სხვა ბრუნვის ფორმით გადმოცემული ზედსართავებიც.

## 2.3. რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს. იგი სამგვარია, რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი. რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას, იგი შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივია, რომელიც ერთი ფუძისგან შედგება: ერთი, ათი, ოცი... რთულია, რომელიც შეიცავს ორ ან მეტ ფუძეს (სადინაძე, 2008, გვ.79).

რაოდენობითი რიცხვითი სახელები არის განსაზღვრული და განუსაზღვრელი (იმნაიშვილი, 1957, გვ.466).

იოანე საბანისძის „**აბოს წამებაში**“ ვხვდებით შემდეგ რიცხვით სახელებს:

რაოდენობით რიცხვით სახელს, რომელიც საგნის რიგს აღნიშნავს და იგი იწარმოება რაოდენობითისაგან **მე -ე** კონფიქსით; 1. „**გიხაროდენ** , **სანატრელო მოწამეო**, უფლისა მიერ! რამეთუ შენ, უკანადაცხელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ

მეათერთმეტისა ჟამისად მდღევრთა მათ თანა აღმსობილთა მიეწიფე“ (საბანისძე, 2009, გვ. 89).

ვხვდებით რიგობით რიცხვით სახელს: 1. „ვითარცა შემწუხრდა დღე იგი და იყო ჟამი პირველი ღამისად მის“ (საბანისძე, 2009, გვ. 87).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ დასტურდება რიცხვითი სახელი ნართანიანი მრავლობითის ფორმით. -ებ -იანი მრავლობითის ფორმები კი არ გვხვდება. „აბოს წამებაში“ ვხვდებით ასევე, ნარიანი მრავლობითის ფორმით გადმოცემულ რიცხვით სახელს. მაგ.: 1. „ მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი კელითა თვსთა“ (საბანისძე, 2009, გვ.83).

გვხვდება რთული რიცხვითი სახელები, რომლებიც შეიცავენ ორ ფუძეს: 1. „და ესე იყო ყრმა, ჭაბუკ ვითარ ათრვამეტ წლის , გინა უკნინჴს , აჩვდმეტის წლის“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 2. „რომელნი ხუთასის წლისა ჟამითა და უწინარეს-და შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდათა მადლითა“ (საბანისძე, 2009, გვ. 73).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით შემდეგ რიცხვით სახელებს : 1.„ბოლოს ურდულებით ჩარაზულ ერთ კარს მიადგა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 292). 2.„ერთი ეს მიბრძანეთ ერისმთავარო და დისწულო ჩემო“ (წულეისკირი, 1990, გვ.240) 3.„თორმეტი ურდული გამოადრო, აანთო სანთელი და უკუნითში შთაინთქა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 292). 4. „ ვენახებიდან და წისქვლებიდან ამოღებულია ორასი დირჴემი, შარშან ავკრიფეთ ასი“ (წულეისკირი, 1990, გვ. 174). 5. „საერთო შემოსავალია ათი მულონი, სამიც წლის ბოლოს გვექნება“ (წულეისკირი, 1990, გვ.174). 6. „მრწამს ერთი ღმერთი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 160).

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით სხვადასხვა სახის რიცხვით სახელს: რაოდენობით რიცხვით სახელს (მეათერთმეტი, ხუთასი), რიგობით რიცხვით სახელს (პირველი), ნარიანი მრავლობითით გადმოცემულ რიცხვით სახელს (ორნი). იოანე საბანისძისაგან განსხვავებით, ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში რიცხვითი სახელის წარმოება ახალქართულისებურია და გვხვდება, როგორც მარტივი ფუძით, ასევე რთული ფუძით გადმოცემული რიცხვითი სახელები (ერთი,სამი ასი, ათი მილიონი...).

## 2.4 ნაცვალსახელი.

ნაცვალსახელი ეკვივალენტია წინადადებაში რომელიმე სახელისა. შინაარსის მიხედვით იგი სხვადასხვაგვარია. ძველ ქართულში გამოიყოფა ნაცვალსახელის რამდენიმე ჯგუფი. ნაცვალსახელებთან დასტურდება და ელემენტი (ჩუენდა) (საბანაძე, 2008, გვ. 82).

იოანე საბანისძის „აზოს წამებაში“ გამოყვავით ნაცვალსახელთა შემდეგი ჯგუფები:

**2.1.1 პირის ნაცვალსახელები:** 1. „ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ მე ვარ ბუნებით სარკინოზ“ (საბანისძე, 2009, გვ.81). 2. „აწ გლოცავ თქუენ“ (საბანისძე, 2009, გვ. 72). 3. „მოდლუარ ჩუენდა იქმენ, სწავლულნი უფროის გულისხმიერ-ჰყვენ“ (საბანისძე, 2009, გვ. 86). 4. „დაღათუ ბევრეული ოქროსა და ვეცხლისაჲ მომცენ მე, გინათუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა“ (საბანისძე, 2009, გვ. 78). 5. „შენთვის ფრიად დამიკვრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჟამსა ამას ოდენ მეუფებისა ისმაიტელთაჲსა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჳ ქრისტჳსთჳს აღირჩიე“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 6. „მეშინის მე შენთჳს, ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტჳსისა“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 7. „და აწ მე რაჲსათჳს დავფარო ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან“ (საბანისძე, 2009, გვ.79).

### 2.1.2 ჩვენებითი ნაცვალსახელები :

1. „მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი“ (საბანისძე, 2009, გვ. 72). 2. „რომელი განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი“ (საბანისძე, 2009, გვ. 72). 3. „ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ მე ვარ ბუნებით სარკინოზ“ (საბანისძე, 2009, გვ.81).

**2.1.3 კუთვნილებითი ნაცვალსახელები:** 1. „ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა“ (საბანისძე, 2009, გვ. 78). 2. „ვჰმონებდით გულისთქუმასა გულთა ჩუენტასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტჳსგან და დამვიწყებელნი საუკუნოჲსა ცხორებისანი“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 3. „მარტვლობაჲ წმიდისა და

ნეტარისა ამის მოწამისა ჰაზოდსი ქალაქსა ტფილისს იყო ესრე სახედ:“ (საბანისძე, 2009, გვ.80). **4.** „უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნიითი, უკუნისამდე, ამენ“ (საბანისძე, 2009, გვ.74). **5.** „მამინ უბრძანა მსაჯულმან მან კელით და ფერკით შეკრვაჲ მისი ბორკილითა რკინისაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ. 82). **6.** „არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრად იპოვების საზღვართა მათთა“ (საბანისძე, 2009, გვ.78). **7.** „რადთა აღანთონ ღამესა მას წმიდისა მის დღესასწაულისასა“ (საბანისძე, 2009, გვ.86). **8.** „უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაჲ მისი“ (საბანისძე, 2009, გვ. 85).

**2.4.4. მიმართებითი ნაცვალსახელები:** „რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს“ (საბანისძე, 2009, გვ.75).

**2.4.5. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები:** **1.** „რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს“ (საბანისძე, 2009, გვ.75). **2.** „რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშვდობისა სიტყვთა შეაჯერებდეს“ (საბანისძე, 2009, გვ.79).

#### **2.4.6 კითხვითი ნაცვალსახელი:**

**1.** „ანუ ვინ გიჰსნეს შენ კელთაგან ჩუენთა“ (საბანისძე, 2009, გვ.82).

**2.4.7. უარყოფითი ნაცვალსახელები:** **1.** „არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრად იპოვების საზღვართა მათთა“ (საბანისძე, 2009, გვ.78).

**ნოდარ წულუისკირი იყენებს შემდეგ ნაცვალსახელებს:**

**პირის ნაცვალსახელები:** **1.** „მე თქვენ გეკითხებით, ყმაწვილო,- გიყვართ თუ არა სამშობლო, მოგვიგეთ ან ჰო ან არა“ (წულუისკირი, 1990, გვ.240). **2.** „თქვენ ეს გჯერათ?- ჰკითხა იოანემ სტეფანოზს“ (წულუისკირი, 1990, გვ.240). **3.** „ჩვენ გვდებენ ბრალს სწორედ ამაში“ (წულუისკირი, 1990, გვ.241). **4.** „ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ, გეთაყვა, მიზეზი სხვა რამ გვგონია“ (წულუისკირი, 1990, გვ.241). **5.** „გაიხსენე, მე არ მეჩქარება, უთხრა დუმილის შემდეგ ბაბაქმა“ (წულუისკირი, 1990, გვ.232).

**თ) ჩვენებითი ნაცვალსახელები:** **1.** „ერთი ეს მბრძანეთ, ერისმთავარო და დისწულო, ჩემო“ (წულუისკირი, 1990, გვ.240). **2.** „ყველაფერი ეს იმ თავნება და თავკერძა ყმაწვილმა მოგვიტანა“ (წულუისკირი, 1990, გვ.241). **3.** „გვითხარი, მამაუფალო, აგვიხსენი, სახარებაში ეს გვიწერია“ (წულუისკირი, 1990, გვ.241).



ი) კუთვნილებითი ნაცვალსახელები: 1. „თქვენი ბერები მისულან შურტათმთავრებთან და უთქვამთ, თითქოს ნერსეს დავალებით წაბრძანდით ხაზარეთს ახალი ამბების მოსაწყობად“ (წულეისკირი, 1990, გვ.240). 2. „ჩვენს მღვდლებსა და ბერებს ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვით“ (წულეისკირი, 1990, გვ.241).

კ) განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: 1. „თავი და თავი მიზეზი დღევანდელი ქართლის ჭირისა ხომ იცი ვინც არის“ (წულეისკირი, 1990, გვ.241) . 2. „ის, რაც მურვან ყრუმ დაატეხა თავს აფხაზეთს ჯერ არ დავიწყნოდა ციხეგოჯსა და კლისურას“ (წულეისკირი, 1990, გვ. 236).

ლ) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: 1. „შურტებითა და მოლაშქრეებით აივსო ქალაქი, ვიღაცას ყოველდღე იბარებენ“ (წულეისკირი, 1990, გვ.241). 2. „რომელი შეთქმულების შესახებ, ბატონო, მე არაფერი ვიცი“ (წულეისკირი, 1990, გვ. 232).

მ) უარყოფითი ნაცვალსახელები: 1. „სხვაგვარ წიგნს აფხაზეთიდან არც მოელოდნენ“ (წულეისკირი, 1990, გვ.236).

ნ) კითხვითი ნაცვალსახელები: 1. „ვინ ჩამოვთვალო, ვერ გავიგე, ბატონო“ (წულეისკირი, 1990, გვ.232).

ჩვენ მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე საბანისძის ნაწარმოებში ნაცვალსახელის წარმოება ძველქართულისებურია. ამასთანავე, საინტერესოა, რომ გვხვდება შემდეგი სახის ნაცვალსახელები: პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, მიმართებითი, კითხვითი, უარყოფითი და განუსაზღვრელობითი. აქედან გამომდინარე კი, გამოგვაქვს დასკვნა, რომ იოანე საბანისძის ტექსტი ნაცვალსახელის გამოყენების თვალსაზრისით, საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც ავტორის შემოქმედებითი უნარის დამსახურებაა.

რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, აქაც უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ავტორი საკმაოდ აქტიურად იყენებს ნაცვალსახელთა სხვადასხვა სახეს: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, უარყოფითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, მიმართებითი. ის ნაცვალსახელთა საწარმოებლად იყენებს თანამედროვე სალიტერატურო ენას და არ ებამება ავტორს, რომლის ნაწარმოებიც მისი შთაგონების წყარო გახლდათ. ენობრივი თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა მერვე და მეოცე საუკუნის ტექსტების შედარება, მაშინ, როდესაც ორივე ტექსტი ერთსა და იმავე ამბავს,



ერთსა და იმავე მოწამეზე მოვითხოვს. განსხვავება კი განპირობებულია იმით, რომ ნოდარ წულეისკირმა ჰაგიოგრაფიული ტექსტი განავრცო და შეეცადა თანამედროვე მკითხველთათვის ენობრივი ბარიერი გაემარტივებინა.

#### 2.4.8 ნაწევარი

ნაწევარი არის სიტყვა, რომელიც დაერთვის არსებით სახელს და განსაზღვრავს მის რაიმე თვისებას. ნაწევარი ძველ ქართულში მეტყველების ნაწილია (საღინაძე, 2008, გვ.91).

განსაზღვრული ნაწევრებია: ესე, ეგე, იგი, ისი. „აბოს წამებაში“ ვხვდებით ნაწევრის გამოყენების შემდეგ მაგალითებს: 1. „მაშინ უდებ-უო შჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისაჲ დაუტევა და შეიყუარა ქრისტჳ ყოვლითა გულითა“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 2. „და გამოიღეს წმიდაჲ იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა“ (საბანისძე, 2009, გვ.85). 3. „რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ, სახელით ნერსე, ძჳ ადარნსე კურაპალატისა და ერისმთავრისა“ (საბანისძე, 2009, გვ.75). 4. „ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდნან მისა და ეტყუდ რომელნიმე რეცა სიტყუჯთა ლიქნისაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ.82).

#### 2.5 ზმნა

ქართულ სალიტერატურო ენის ისტორიაში არის არაერთი შემთხვევა, როცა საყოველთაოდ დამკვიდრებული ნორმა იცვლება ახლით, ამის კლასიკური მაგალითი არის ხანმეტობის ჰაემეტობით, ხოლო ჰაემეტობის სანწარევი ფორმებით შეცვლა. მნელია დღეს იმის თქმა თუ რა ტიპის ცვლილება იყო ეს, უფრო სწორად რამ გამოიწვია ეს ცვლილება, ფაქტი ერთია: ენის განვითარების ერთი ეტაპის ნორმა იცვლება მეორით (გოგოლაშვილი, 2013, გვ.169).

ენა მუდმივად განიცდის ცვლილებას, იცვლება თითქმის ყველამეტყველების ნაწილი, მათ შორის ზმნური ფორმებიც.

ზმნა არის მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც იცვლება გრამატიკული კატეგორიების მიხედვით. ძველ ქართულში უღლების კატეგორიებია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, აქტი, გზისობა, თანამდევრობა და მწკრივი (საღინაძე, 2008, გვ.114).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით შემდეგ ზმნებს: 1. „და ნეტარი ჰაბო უფროდსა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანად იგი სავსე სარწმუნოებითა“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 2. „და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ჰაბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან...“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 3. „არამედ ვერ განაცხადებდა თავსა თვსსა სრულად ქრისტიანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტეს მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადაცა მოიღო ნათელი ქრისტესი, რამეთუ ეშინოდა სოფლისა მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგან“ (საბანისძე, 2009, გვ. 76). 4. „არა თუ პირველთაგანვე ჩუენგანი იყო, არამედ უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა, უცხოე უცხოთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა შეემეცნა“ (საბანისძე, 2009, გვ.73). 5. „მამად მისი და დედად მისი, და მმანი, და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 6. „ანუ ვინ გიკსნეს შენ ჰელთაგან ჩუენთა, რამეთუ ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგვზადებდეს შენთვს, არა თუ მოიქცე ჩუენდავე“ (საბანისძე, 2009, გვ.82).

ძველ ქართულში ობიექტთა პირველ და მეორე პირთა კომბინაციებში უფრო მისაღებია გაუდიფერენცირებელნაცვალსახელიანი ფორმები, რომლებშიც ობიექტურ პირთა რიცხვისა და რომლობის გდმოცემა ევალეზოდა მათ მსაზღვრელად გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებს (უთურგაიძე, 2013, გვ.63).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ გვაქვს შემდეგი ზმნები: ჰმადლობდა, იხილა, მოიღო, ეშინოდა, იყო, მოვიდა, შეემეცნა, იყვნეს, მოიქცე და სხვა. ამრიგად, გვაქვს, როგორც ერთპირიანი (იყო, მოიქცე), ორპირიანი (შეემეცნა) და სამპირიანი (მიუწოდა) ზმნებიც. გვაქვს „იყვნეს“ ტიპის ზმნები, რომლებსაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ჰქონდათ -ეს ბოლოსართი ძველ ქართულში, დღეს კი გვაქვს -ნენ ბოლოსართი „იყვნეს“ ტიპის ზმნებთან. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე საბანისძის ნაწარმოებში მრავლად ვხვდებით ზმნებს, რომელთა წარმოებაც ძველი ქართულისეზურია.

რაც შეეხება საწყისს, ძველ ქართულში საკმაოდ ხშირია და ისე იბრუნვიან, როგორც სათანადო არსებითი სახელები (ი. იმნაიშვილი, ვ.იმნაიშვილი, II, 1996, გვ. 577).

მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის აღნიშვნის მიხედვით ძველ ქართულში რამდენადმე განსხვავებული ვიტარება არის დაცული, ვიდრე ახალ ქართულში. მესამე სუბიექტური პირი მხოლოდობითა და მრავლობითშიც წარმოდგენილ არის რამდენიმე აფიქსით, რომელთაგან ზოგიერთი ახალ ქართულში აღარ გამოსულა, დაიკარგა (ბარამიძე, 2013, გვ. 100).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, გვხვდება შემდეგი სახის ზმნები: 1. „ქრისტეს მიერ საყვარელო, შვილო ჩემო, -შეევედრა მოწაფეს, გეძიებენ შეპყრობად“ (წულეისკირი, 1990, გვ. 304). 2. „იოანე ხვდებოდა, რომ აბო განგებ არ შეიპყრეს, მათ არ უნდოდათ აბოს სიკვდილით დასჯა“ (წულეისკირი, 1990, გვ.304). 3. „უთხრა იოანეს აბომ“ (წულეისკირი, 1990, გვ.304). 4. „სვეტიცხოვლის ტაძარში კვლავ ზღვა ხალხი ზიმზიმებდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.304). 5. „ზიარებას, ერი, ვით ღვთის წყალობას ისე მიელტვოდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.304). 6. „მე უკვე აღარაფერი შემძლია...რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთ!...“ (წულეისკირი, 1990, გვ.304). 7. „გულდაგულ მოამზადა აბოს შემასმენელნი, ათასი დავალება მისცა თითოეულ მათგანს, ამირასთან შევიდა მოთხოვნით“ (წულეისკირი, 1990, გვ.299). 7. „შობის დღეებს ქართლში თოვლი და ყინვა მოჰყვა“ (წულეისკირი, 1990, გვ.294). 8. „შემოსვლის შემდეგ კათალიკოსს ჯვარი მიართვეს“ (წულეისკირი, 1990, გვ. (წულეისკირი, 1990, გვ.294). 9. „სვეტიცხოვლის ტაძარში თვითონ მამაუფალი სამოელი სწირავდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.294). 10. „ქართლი მარტოკა შეეგება საუფლო დღესასწაულს“ (წულეისკირი, 1990, გვ.294). 11. „ქართველთა მთავარი სალოცავისაკენ წინა დღისითვე მრავალი ხალხი დაიდრა“ (წულეისკირი, 1990, გვ.294). 12. „კათალიკოსმა ხელები მაღლა აღმართა და დიაკონმა წამოიწყო დიდი, მშვიდობიანი „შეგვიწყალენი“ (წულეისკირი, 1990, გვ.295). 13. „ვისაც ერთხელ უწამებია,კერ დაუტევებს“ (წულეისკირი, 1990, გვ.292). 14. „მონაზონს ახალი საზრუნავი გაუჩნდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.292). 15. „ყმაწვილმა მოიხედა, მოძღვარს მაღლობის თვალებ მიაპყრო და გაკვირვებულმა ჰკითხა- სად ვარ“ (წულეისკირი, 1990, გვ.292). 16. „რომ არ გამოეშვათ, დილეგში მოკვდებოდა, ვერავინ გაიგებდა მის სიკვდილს“ (წულეისკირი, 1990, გვ.292). 17. „აბო საწოლში იწვა ფერგამქრალი, მონასტრის ჭერს შესცქეროდა შთაგონებული“ (წულეისკირი, 1990, გვ.293). 18. „იოანეს გული სიამაყით აევსო“ (წულეისკირი, 1990,

გვ.293). 19. ნერსე ერისთავის დაღუპვამ ქართულ სამთავროებს შორის კავშირი საბოლოოდ **ჩაფუშა**“ (წულეისკირი, 1990, გვ.293).

რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, აქაც უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ზმნათა წარმოება „ძირითადად, ახალი ქართული ენის ნორმებს ექვემდებარება, თუმცა გვაქვს „გეძიებენ“ (გეძებენ) ტიპის ფორმები, რომლებიც თანამედროვე ქართულში ნაკლებად გამოიყენება.

ახალი ქართული ენის ზმნები ძველისაგან თითქმის ყველა ძირითადი კატეგორიის მიხედვით განსხვავდება. ეს განსხვავებები ყველაზე უფრო ნათლად ჩანს პირის, რიცხვის, დროის, კილოს, მწკრივის წარმოებაში (ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, II, 1996, გვ.5).

## **1.6. დამხმარე სიტყვები: ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული**

### **ა) ზმნიზედა.**

ზმნიზედა ერთ-ერთი მეტყველების ნაწილია, რომელიც თითქმის ყველა ტექსტში გვხვდება, ვინაიდან ხშირად მიგვითითებს თუ როგორ მოხდა მოქმედება, რა ზომით, ოდენობით და ა.შ.

იოანე საბანისძის „**აბოს წამებაში**“ ვხვდებით შემდეგ ფორმებს: 1. „ჩუენ შორის ჟამად- ჟამად მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუმს მიერ“ (საბანისძე, 2009, გვ.74). 2. „შენთვის **ფრიად** დამიკვრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო“ (საბანისძე, 2009, გვ.89).

**ნოდარ წულეისკირი იყენებს შემდეგ ზმნიზედებს:** 1. „**ჩუმად!** გააფრთხილა მედილეგეთუფროსმა“ (წულეისკირი, 1990, გვ.362). 2. „**დლეგში** პერობილს **ადამიანურად** აღვიძებდა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 362). 3. „ნათლისღების ღამეს ამანთებინონ კერეონები და **წესისამებრ** მალოცვინონ“ (წულეისკირი, 1990, გვ. 363). 4. „აბო კიდეც **უფრო** განცვიფრდა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 363). 5. „ქრთამი **ჯოჯოხეთსაც** ჭრის, - უთხრა **ჩურჩულით**“ (წულეისკირი, 1990, გვ. 363).

როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც გვხვდება ზმნიზედები. აღსანიშნავია, რომ ორივე მწერალი, ძირითადად გამოყენებულია ვითარების ზმნიზედა.

### **ბ) თანდებული.**

თანდებულის გამოყენების თვალსაზრსით, ძალიან საინტერესოა, როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებიც. „აბოს წამთანდებულისა ბრუნვებია: წრფელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მიმართულებითი, მოქმედებითი და ვითარებითი. თანდებული მეტწილად უკუდებულია, თუმცა ძველ ქართულში შეიძლება იყოს წინდებულიც (საბანისძე, 2008, გვ.177).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით შემდეგი ბრუნვის თანდებულებს:

**მიცემითი ბრუნვა:** 1. „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე კვმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რადთა ჰნათობდეს ყოველთა, ეგრე ბრწყინვდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“ (საბანისძე, 2009, გვ.79).

**ნათესაობითი ბრუნვა:** 1. „რამეთუ ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგვიმზადებდეს შენთჳს“ (საბანისძე, 2009, გვ.82). 2. „მისლვაჲ უფლისა ჩემისა ღმრთისა იესუ ქრისტჳს თანა“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 3. „ხოლო მან ღამის თევასა მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი კელითა თჳსთა და დადგა იგი შორის საპყრობილესა; და დაადგრა მდგომარჳ ზედა ფერჳთა თჳსთა, ვიდრე განთიადმდე“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 4. „მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუმს მიერ“ (საბანისძე, 2009, გვ.74).

**მიმართულებითი ბრუნვა :** 1. „დაადგრა მდგომარჳ ზედა ფერჳთა თჳსთა, ვიდრე განთიადმდე“ (საბანისძე, 2009, გვ.83).

**ვითარებითი ბრუნვა:** 1. „ხოლო მან ღამის თევასა მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი კელითა თჳსთა და დადგა იგი შორის საპყრობილესა; და დაადგრა მდგომარჳ ზედა ფერჳთა თჳსთა, ვიდრე განთიადმდე“ (საბანისძე, 2009, გვ.83).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში კი ვხვდებით შემდეგ თანდებულებს: 1. „ნერსე ერისთავი ცხენიდან ჩამოვარდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.282). 2. „ძირს ჩამოვარდნილ მეთაურთან ყალყზე შემდგარი ცხენი მიაგდო სარკინოზმა, უკნიდან სხვა მიეპარა და ზურგში მახვილი აძგერა“ (წულეისკირი, 1990, გვ.282). 3. „სარკინოზები ყიჟინით მისცვივდნენ ბრძოლის ველზე მარტოდმარტო დარჩენილ ერისმთავარს“ (წულეისკირი, 1990, გვ.283). 4. „აშოტ ერისთავის სპა-მხედრობამ თითქმის შეაღწია ციხე-ქალაქში“ (წულეისკირი, 1990, გვ.283). 5. „აშოტ ერისთავი კლდეკარიდან გამარჯვებულ ნერსეს სპა-მხედრობას მოელოდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.283). 6.



„სიბნელეში ისროდნენ უმიზნოდ, ისართა წუილ-წუილი შორი-ახლოს გაისმოდა“ (წულისკირი, 1990, გვ.281). 7. „შუბი ხალათში მაინც არ დაიმალა“ (წულისკირი, 1990, გვ. 285). 8. „წყალი- წრიალებს დილეგში აბო“ (წულისკირი, 1990, გვ. 325). 9. „ჟამიდან ჟამად ბორკილი ჟღარუნობს, ხელის თითები კი გამალებით დაეძებენ წყლს“ (წულისკირი, 1990, გვ. 325). 10. „იოანე კარდია დილეგში დატოვეს, იქნებ მოეგუნებოს და გამოვიდესო“ (წულისკირი, 1990, გვ. 324).

ვხვდებით სხვადასხვა სახის თანდებულს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ კიდევ ერთხელ ჩანს მწერლის ოსტატობა. ალბათ, საყურადღებო და გასათვალისწინებელი ის არის, რომ ჯერ კიდევ მერვე-მეცხრე საუკუნეებში ქართული ლიტერატურა არც თუ ისე მრავალფეროვანია თემატიკის თვალსაზრისით, ვინაიდან, ამ დროს ძირითადად ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს ქმნიდნენ ავტორები, თუმცა ამის მიუხედავად იოანე საბანისძე არ არის სიტყვამუნწი და ეპოქის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ მჭერმეტყველიცაა. ამას არ გვაფიქრებინებს მხოლოდ ის, რომ ავტორს გამოყენებული აქვს ძველ ქართულში გავრცელებული თითქმის ყველა თანდებული, არამედ ისიც, რომ იოანე საბანისძე თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს აქტიურად მოიხმარს და წარმოგვიდგენს სრულყოფილ ჰაგიოგრაფიულ ტექსტს.

ვფიქრობ, არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ ავტორი ფარულად ან შიშის ფონზე ქმნის ნაწარმოებს, რაკი არაბები მას არ აპატიებდნენ აბოს გამართლებას, მითუმეტეს კი მასზე ჰიმნოგრაფიული ტექსტის შექმნას და რაკი ავტორმა ასეთ კრიტიკულ სიტუაციაშიც კი შეძლო და შექმნა უკვდავი ტექსტი, რომელიც არ კარგავს და არ დაკარგავს აქტუალობასა და ღირსებას, ცხადია, ვფიქრობთ, რომ იგი სტაბილურ პირობებში დიდებულ მწერლად მოგვევლინებოდა. გარდა ამისა, ვფიქრობთ, აღსანიშნავია ისიც, რომ ტექსტი რამდენჯერმე გადაწერილია, რაც გვამბევს საბაბს, ვიეჭვოთ, რომ მასში შესაძლებელია გარკვეული ადგილები გადასხვაფერებული ან სულაც ამოღებული იყოს.

რაც შეეხება მეორე და, ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო და საყურადღებო ნაწარმოებს, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, აქაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მწერალი დიდ ოსტატობას იჩენს, რათა მიზანს მიაღწიოს და, მართლაც, ნოდარ წულისკირის ნაწარმოები არის ერთადერთი თანამედროვე ვარიანტი „აბოს წამებისა“.



ისევე, როგორც „აბოს წამებაში“, ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც ვხვდებით სხვადასხვა სახის თანდებულს, იმის მიხედვით, თუ როგორი შინაარსისა და სტილის წინადადების აგება სურდა ავტორს. შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ „აბოს წამებაში“ თანდებულები გამოყენებულია ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი ფორმებით, ხოლო, ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში კი, თანდებულებს გამოყენებას ვხვდებით თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

#### გ) კავშირი.

შერწყმული თუ რთული წინადადების შემადგენელ ნაწილთა საკავშირებელი საშუალებების შესწავლას ქართულში ჯეროვანი ყურადღება ექცევა. საკავშირებელ სიტყვათა ფუნქციებს, სემანტიკას თუ მორფოლოგიურ შედგენილობას მეტ-ნაკლებად ეხება სინტაქსის საკითხებზე დაწერილი თითქმის ყველა ნაშრომი (ბარამიძე, 2008, გვ. 260).

როგორც ცნობილია, კავშირი ორი სახისაა: მაერთებელი და მაქვემდებარებელი.

**მაერთებელი კავშირებია:** მაჯგუფებელი: და, არცა...არცა, ნუ, ნუცა. მაცალკევებელი: ანუ, ანუ თუ, გინა, გინა თუ, გარნა, გარნა თუ. მაპირისპირებელი: ხოლო, არამედ. მაქვემდებარებელი კავშირებია: ადგილის, დროის, მიზნის, პრობის.

მეათე საუკუნის სასულიერო პოეზიაში გამოყენებული ზოგი კავშირი სხვადასხვა სემანტიკით დასტურდება. საფიქრებელია, მათი პოლისემიურობა მწერლის სტილისტური საჭიროებით იყოს გამოწვეული (კობერიძე, 2014, გვ. 57).

**იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“** გვხვდება მაერთებელკავშირიანი წინადადებების შემდეგი მაგალითები: 1. „და გამოვიდა იგი ნერსცს თანა ქუეყანად ქართლად და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტიანედ (საბანისძე, 2009, გვ.79). 2. „მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა შეემეცნა“ (საბანისძე, 2009, გვ.73).

3. „მამაჲ მისი და დედაჲ მისი, და მმანი, და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 4. „არამედ ვერ განაცხადებადა თავსა თვსა სრულიად ქრისტიანედ“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 5. „ხოლო მან ღამის თევასა მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი ჴელითა თვსთა“ (საბანისძე, 2009, გვ.83).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ გვხვდება მაქვემდებარებელკავშირიანი წინადადებების შემდეგი მაგალითები: 1. „**რადთა** გაუწყო, ვითარ ანუ რაბამ იყო, ანუ ვინაჲ მოიწია აქა“ (საბანისძე, 2009, გვ.75). 2. „**რამეთუ** პირველადვე წარგზავნეს დედაჲ, და ცოლი, და შვილნი, და მონაგები, და ყოველნი, სახლისა მისისანი, **რამეთუ** კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა“ (საბანისძე, 2009, გვ.77). 3. „ჰმადლობდა ღმერთსა, **რამეთუ** იხილა მან ქუეყანაჲ იგი სავსე სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრად იპოვების საზღვართა მათთა“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 4. „**რამეთუ** ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგვიმზადებდეს შენთჳს, არა თუ მოიქცე ჩუენდავე“ (საბანისძე, 2009, გვ.82).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში -- „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ ვხვდებით კავშირიანი წინადადებების შემდეგ მაგალითებს: 1. „ექვმა შეიპყრო, **რომ** ვერ დაიოკა ხორციელი სურვილი და გატყდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.330). 2. „**რომ** მოკვდე, უარესია ჩემთვის, ჩაიბრუზღუნა მედილეგემ“ (წულეისკირი, 1990, გვ.332). 3. „იწყო ნელი სვლა სიბნელეში, წინ და უკან“ (წულეისკირი, 1990, გვ.326). 4. „როგორც ნაღვერდალი თივაში, უცებ გაღვივდა და კოცონივით აბრიალდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.327). 5. „რკინის მჟღერას მიუგდო გულისყური და წყვდიადში ჩქრიალით მომავალ წყლის ნაკადს თვალი მოსწყვიტა“ (წულეისკირი, 1990, გვ.326). 6. „უწყლოდ კი, როგორც ნაპირზე ამოგდებულ თევზს, ამ საღმოს თუ არა ხვალ გაძვრებოდა სული“ (წულეისკირი, 1990, გვ. 329). 7. „ახლა კი ჟამი გაგრძელდა, გაიწელა“ (წულეისკირი, 1990, გვ.330). 8. „აბო კი, როგორც სიზმარში, ადგილზე გრბოდა წინ, წყლის ნაკადამდე, **მაგრამ** ვერ მიჰქონდა გაწამებული სხეული“ (წულეისკირი, 1990, გვ. 329). 9. „გარეთ ალბათ ცივა, **მაგრამ** აბოს გარდა წყურვილისა, არაფერი აწუხებს, წყურვილმა სძლია“ (წულეისკირი, 1990, გვ.326). 10. „ამირას უჭირდა გამოსავლის პოვნა, **მაგრამ** მტკიცედ სწამდა: თუ იოანეს თვს მოკვეთდნენ, ხალხი მას წმინდანად შერაცხავდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.333). 11. „თუ ამ საღამოს ერთ ყლუპ წყალს დაღევდა ხვალ უკეთ შეებრძოლებოდა ბაბაქს“ (წულეისკირი, 1990, გვ.329). 12. „თუ ამირა საიდასთან ბაბაქს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა, ალი ჰასანმა თვით აიღო ხელში ეს უფლებები“ (წულეისკირი, 1990, გვ.334). 13. „ჰაჯიბ-იბნ-ალ-ბაბაქი ცოფშეყრილი დარბოდა წინ და უკან, **ხან** შეპყრობის ბრძანება გასცა, **ხანაც** ადგილზე მოკვლისა, **ხანაც** საჯაროდ

წამებისა, მაგრამ ამირას სასტური ვერ მიიღო“ (წულეისკირი, 1990, გვ.333). 14. „ან ვინ გაიგებდა, ამ ღამით რა დაჰკრეს თავში ხოსრო აბუუსუფს“ (წულეისკირი, 1990, გვ.361).

ამრიგად, იოანე საბანისძის ნაწარმოებში ვხვდებით სხვადასხვა სახის კავშირის ფორმებს და ნათლად ჩანს, რომ ავტორი არ არის შეზღუდული კავშირთა გამოყენების თვალსაზრისით. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება „და“ კავშირი, თუმცა მის პარალელურად გვხვდება სხვა კავშირებიც. წინადადებაში გვხვდება რამდენიმე კავშირის გამოყენების შემთხვევებიც. მსგავსი ვითარება გვაქვს ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც, ავტორი მრავალფეროვნებას იჩენს კავშირთა გამოყენებისას და ძირითადად იყენებს კავშირიან წინადადებებს. შესაბამისად, შედარებით იშვიათია უკავშირო წინადადებები. აქაც ყველაზე ხშირად გამოყენებული არის „და“ კავშირი.

#### დ) ნაწილაკი

ძველ ქართულში ნაწილაკის რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: კითხვითი: ა, მე, მუა, ნუ, ნუუკუე. -ა დაერთვის ზმნის პირიან ფორმას, აგრეთვე ახლავს სახელსაც. -მე ნაწილაკი ზმნის გარდა სხვა სიტყვებსაც დაერთვის. ზოგჯერ წინადადებაში ერთდროულადაა წარმოდგენილი -ა და -მე სხვადასხვა სიტყვასთან. ერთსა და იმავე ფორმასთან დასტურდება -მეა მრჩობელი (წყვილი) ნაწილაკი (სადინაძე, 2008, გვ. 179).

დადასტურებითი: ჰე; უარყოფითი: არა, არა თუ, ვერ, ნუ; მიმართებითი: ცა, ესე, ეგე, იგი, ცა -ესე, ცა-ეგე, ცა-იგი; განუსაზღვრელობითი: მე(ვინმე, რაიმე, რომელიმე); სხვათა სიტყვის : -ო, მეტქი, თქუა. **იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“** ვხვდებით ნაწილაკიან წინადადებათა შემდეგ მაგალითებს: 1. „ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყვდ რომელნიმე რეცა სიტყუჯთა ლიქნისაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ.82). 2. „მნებაჲს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტეს მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 3. „არამედ ვერ განაცხადებდა თავსა თჳსსა სრულად ქრისტიანედ“ (საბანისძე, 2009, გვ. 76).

**ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“** კი, ვხვდებით ნაწილაკიანი წინადადებების შემდეგ მაგალითებს: 1. „ტკივილი ხომ არ ჩამიცხრა, -ღრმად დააკვირდა თავის თავს“ (წულეისკირი, 1990, გვ. 339). 2. „რა უნდა იყოს?- მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი“ (წულეისკირი, 1990, გვ.341). 3. „არ ეგონა თუ ნაბიჯს გადადგამდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.343). 4. „გურჯების ხალიფას პირად

მსახურს საჭმელ-სასმელი არ მოაკლდება“ (წულეისკირი, 1990, გვ.345). 5. „რამდენიმე წამში მამა თვალს მიეფარებოდა, და საბოლოოდ გაწყდებოდა კავშირი არა მარტო მშობელ მამასთან, მშობლიურ ბუდესთან“ (წულეისკირი, 1990, გვ. 347). 7. „მავთულის ღობურს მტკივან ხელებს ვერ ჰკიდებდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.347). 9. „თვალსაც კი ვერ უსწორებდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.357). 10. „ვერც აწევა შეძლო, ვერც გადადგმა“ (წულეისკირი, 1990, გვ.347). 11. „ჰო, ბაღდადიდან ისე წამომიყვანეს, შენი შეპყრობის ამბავი არ ვიცოდი“ (წულეისკირი, 1990, გვ.346). 12. „ჰო, თქვა მედილეგემ და ბორკილები ააჟღარუნა“( წულეისკირი, 1990, გვ. 357). 13. „ამის უფლება არა გაქვთ-მეთქი“ (წულეისკირი, 1990, გვ.346). 14. „ჩამაყუდეს -მეთქი, ვთქვი და გადავჭერი“ (წულეისკირი, 1990, გვ.357). 15. „მოღალატე შვილი არ უნდა გაეზარდაო“ (წულეისკირი, 1990, გვ.346). 16. „დღეს იქნება თუ ხვალ, ჩემი შვილი კეთილ გზას დაადგება, მაგრამ მეშინია გვიანი არ იყოს“ (წულეისკირი, 1990, გვ.356).

ნაწილაკთა გამოყენების თვალსაზრისით შედარებით მწირი მასალა გვაქვს „აბოს წამებაში“, ვინაიდან ავტორი ძირითადად იყენებს უარყოფით ნაწილაკებს. ამ ფაქტს გარკვეულწილად ახსნაც მოეპოვება : ჰაგიოგრაფიულ ტექსტში ნაკლები დიალოგია, სადაც ავტორი გამოიყენებდა სხვათა სიტყვის, მიგებით ან დადასტურებით ნაწილაკებს. ამ შემთხვევაში კი, იოანე საბანისძე თავად არის მთხრობელი აბოს წამების ისტორიისა და შესაბამისად მას არ ესაჭიროება სხვადასხვა სახის ნაწილაკის აქტიური გამოყენება.

რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს- „ღვაწლი დ წამება აბოსი და იოანესი“ ამ შემთხვევაში ავტორი ძალიან ხშირად მიმართავს ნაწილაკიან ფორმებს და შესაბამისად, ნაწარმოები საკმაო მრავალფეროვნებას ამჟღავნებს ნაწილაკთა პოვნირების თვალსაზრისით. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ფაქტს ახსნა მოეპოვება : ნოდარ წულეისკირის ნაწარმოები არ არის ჰაგიოგრაფიული ტექსტი და დიალოგებიც და გაშლილი მონოლოგებიც მრავლად გვხვდება. ამ ყოველივემ კი ავტორს მისცა შესაძლებლობა, რომ მრავალფეროვანი ყოფილიყო მისი სამწერლობო ენა ნაწილაკთა გამოყენების თვალსაზრისით.

#### ე) შორისდებული

შორისდებული არის მეტყველების ნაწილი, რომელიც შეიძლება გამოხატავდეს: გრძნობას, მოუბრის ნება-სურვილს ან ფიც-ალერსის ფორმას (გაფრინდაშვილი, თვალთვაძე, 2015, გვ.108).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით შემდეგ შორისდებულს: 1. „აჰა ესერა ქართლისაცა მკვდრთა აქუს სარწმუნოებაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ.74).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, ვხვდებით შემდეგ შორისდებულებს: 1. „ეჰ, ჩვენს ყოფნასაც თუ ყოფნა ჰქვია, მაშინ არყოფნა ა რაღა არის“ (წულეისკირი, 1990, გვ.345). 2. „ვაი, დაღუპულო შვილო, ვაი, უბედურო ყმაწვილო“ (წულეისკირი, 1990, გვ.345). 3. „ნუთუ, უფალო ასეთ სატანჯველს შენ თვითონ გვიგზავნი ადამის ძეთ!“ (წულეისკირი, 1990, გვ. 350). 4. „მაშ, სხვათა ცოდვებს აზღვევინებდა ღმერთი, სხვისთვის ეწამებოდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.351). 5. „ააა, მოხველ, სისხლისმსმელო?... - გაჭირვებით ამოთქვა“ (წულეისკირი, 1990, გვ.359).

ამრიგად, იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით მხოლოდ ერთ შორისდებულს (აჰა), ხოლო ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში კი სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა დატვირთვის შორისდებულები გვხვდება. ნოდარ წულეისკირი ცდილობს, მძაფრად გადმოსცეს, როგორც მთავარი პერსონაჟის, ასევე თითოეული გმირისა თუ ანტიგმირის განცდა, გრძნობა და შეხედულება. ცხადია, მისი მიზანი იყო სწორედ ის, რომ მკითხველისთვის ეჩვენებინა აბოს განცდები, რაც არაჩვეულებრივად შეძლო კიდეც, ამაში კი მხატვრულ ლექსიკასთან ერთად, სწორედ კარგად შერჩეული შორისდებულები ეხმარება ავტორს. იოანე საბანისძე კი ცდილობს, ლაკონურად, თუმცა სიზუსტით გადმოსცეს მოწამის განცდები, რომელსაც სიკვდილი ბედნიერებად მიაჩნია, რაკი იგი უფალთან მყოფობას მიიღებს სანაცვლოდ. შესაბამისად, ავტორს აბოს განცდების გადმოსაცემად არ დასჭირვებია მწუხარების, სინანულისა და ვაების გამომხატველი შორისდებულების გამოყენება.

### თავი III. სინტაქსური პარალელები

#### 3.1 მსაზღვრელ საზღვრულის წყობა

ძველ ქართულში სახელის განსაზღვრება შეიძლება ნაწევრით, ატრიბუტული სახელით და მართული სახელით ( შანიძე, 1976, გვ. 162).



დღევანდელ ქართულ ენაში მსაზღვრელი პირველი კომპონენტია, რომელსაც მოსდევს საზღვრული წევრი. განსაზღვრება და მისგან საზღვრული წევრი სახელებით (და მათთან გათანაბრებული სხვა სიტყვებით) გადმოიცემა.სახელს კი ქართულში, საზოგადოდ, ორი გრამატიკული კატეგორია აქვს: ბრუნვა და რიცხვი. ამიტომ განსაზღვრების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების საზღვრულ წევრთან ბრუნვასა და რიცხვში ურთიერთობას გულისხმობს ( კვაჭაძე, 1977, გვ. 170).

მსაზღვრელ-საზღვრულის პოზიციის მერყეობის საუკეთესო ნიმუშს იძლევა მეათე საუკუნის სასულიერო პოეზია. მსაზღვრელის ადგილის განსაზღვრა ძნელდება. ეს კი მიუთითებს მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობის ყველა იმ არსებით მოვლენაზე, რომელიც ცოცხალ მეტყველებაში არსებობდა და გამოვლინდა ძველსა და ახალ ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით (კობერიძე, 2013, გვ. 36).

ვნახოთ, როგორი ვითარებაა იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“, ამ თვალსაზრისით. **საზღვრულს მოსდევს მსაზღვრელი წევრი: 1.**„აღმალდა ქებაჲ სათნოებათა შენთაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ.89).

მსაზღვრელს მოსდევს საზღვრული წევრი: 1. „ქრისტიანეთა სარწმუნოებაჲ დიდ მოძულურება არს“ (საბანისძე, 2009, გვ.74). „შენთჳს ფრიად დამიკვრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჟამსა ამას ოდენ მეუფებისა ისმაიტელთაჲსა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჳ ქრისტჳსთჳს აღირჩიე“ ( საბანისძე, 2009, გვ. 89).

განხილულ მაგალითებიდან პირველში ჯერ გვხვდება საზღვრული შემდეგ მსაზღვრელი. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით მსაზღვრელ-საზღვრულის შემდეგ კომბინაციებს: 1.„ზურგზე მძიმე მოწოლა იგრძნო, შმორისა და ნესტის სუნი ეცა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 200). 2.„ერთხელ გაიჟღარუნა რკინის ურდულმა და ნაბიჯების ხმაც ნელ-ნელა მიიწყდა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 200). 3.„თუ გინახავთ ბნელ ოთახში შეგდებული ფრინველი კედლებს როგორ აწყდება“ (წულეისკირი, 1990, გვ. 201). 3. „უმრწმესო ძმებო“ -უთხრა აბომ მათ და თავი მდაბლად დახარა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 202). 4. „მკვდარი ბავშვები ყველას გადაავიწყდა და კერიასთან შეჭუჭყულ ბავშვებს დაადგნენ თავზე“ (წულეისკირი, 1990, გვ. 228). 5.„მიქაელი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ხურჯინის მოსატანად“ (წულეისკირი, 199, გვ.229) 6.„ცოცხალ- მკვდარი ადამიანი იდგა ფეხზე“ (წულეისკირი, 1990, გვ.362).



ამრიგად, იოანე საბანისძე „ აბოს წამებაში“ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრული. ამასთანავე, შეინიშნება ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი შემთხვევები, როდესაც ჯერ მსაზღვრელი გვაქვს და შემდეგ საზღვრული. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში დასტურდება შემთხვევები, როდესაც მსაზღვრელ-საზღვრულს აქვს ახალი ქართულისებური პოზიცია (მსაზღვრელი, საზღვრული), თუმცა გვხვდება შემთხვევებიც, როდესაც წყობა ძველქართულისებურია, ამის მაგალითია თვითონ სათაურიც „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, რომელიც ახალი ქართული ენის წყობის მიხედვით ამგვარი იქნებოდა „ აბოს ღვაწლი და წამება“.

## 1.2 წინადადების სახეები (მარტივი, შერწყმული, რთული)

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აგებულების მიხედვით გამოყოფენ სამი სახის წინადადებას: მარტივს შერწყმულსა და რთულს (ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 56).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით შემდეგი სახის წინადადებებს:

**მარტივი წინადადება:** 1. „და წარმოვიდა აქა ნერსცს თანა მგზავრ ქრისტეს სიყუარულისათჳს“ (საბანისძე, 2009, გვ.76). 2. „არამედ ვერ განაცხადებადა თავსა თჳსა სრულიად ქრისტეანედ“ (საბანისძე, 2009, გვ.76).

**რთული წინადადება:** 1. „მნებაჲს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტეს მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმალდა ქებაჲ სათნოებათა შენთაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 2. „რამეთუ შენ უკანამსკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ მეთერთმეტისა ჟამისაჲ მდღევართა მათ თანა აღმსობილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 3. „შენთჳს ფრიად დამიკვრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჟამსა ამას ოდენ მეუფებისა ისმაიტელთაჲსა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჳ ქრისტესთვის აღირჩიე და მახვილითა პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარცუმულსა მას თავყან-ეც უფლად და ღმრთად“ (საბანისძე, 2009, გვ.89). 4. „აჲა ესერა ქართლისაჲცა მკვდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე უცხოთა და სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად- ჟამად მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუს მთავარ“ (საბანისძე, 2009, გვ.74).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით შემდეგი სახის წინადადებებს:

**მარტივი წინადადება:** 1. „აბო ზღაზვნით წამოიშრატა“ (წულეისკირი, 1990, გვ.298). 2. „გიხაროდეთ!“ (წულეისკირი, 1990, გვ.305). 3. „შუაღამისას ჩამოვიდნენ ტფილისში“ (წულეისკირი, 1990, გვ.305).

**შერწყმული წინადადება:** „ესენი იყვნენ: ამირა, ვაზირი, შურტთმთავარი, ყადი“ (წულეისკირი, 1990, გვ. 171).

**რთული წინადადებები:** 1. „ულდაგულ მოამზადა აბომ შემასმენელნი, ათასი დავალება მისცა თითოეულ მათგანს და ამირასთან შევიდა მოთხოვნით, ერისმთავრის თანდასწრებით განესაჯა აბო“ (წულეისკირი, 1990, გვ. 299). 2. „აბო მონასტერშია, ქართლის მბრძანებელი, ერთი ავადმყოფი ყმაწვილია, შიში ნუ გაქვთ, გარეთ არ გამოდის...“ (წულეისკირი, 1990, გვ. 299). 3. „მოლაშქრე სარკინოზნი შურტებს ახელებდნენ, რა პირი დაგილიათ, ცხვირმოუხოცავმა ღლაპმა ლამის მთელი ხალიფატი მოაქრისტიანოს“ (წულეისკირი, 1990, გვ.298). 4. „ადრე აბოს გამოჩენა საყდარში მორწმუნეთა მითქმა- მოთქმას იწვევდა, ზოგს არ მოსწონდა ეს ამბავი, სად გაგონილა ურჯულოთა გაქრისტიანებაო, ურწმუნოდ შესცქეროდა ჭეშმარიტ მორწმუნეს, ზოგი აბოს თავისი სჯულისა და ქვეყნის მოღალატედაც კი რაცხდა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 298). 5. „აბომ ერთხელაც მოავლო საწყალობელი თვალები თავისი პატრონის გავერანებულ სამყოფლს, ჯვარი გადაწერა ადგილ-მამულს და თვალეზადმოკარკლულ შურტას ფეხათრეული გაეცალა“ (წულეისკირი, 1990, გვ.298). 5. „ვიდრე მოწამე სულ მთლად არ მიეფარა თვალს იდგნენ მცხეთელები მტკვრის სანახებში, პირჯვარს იწერდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ“ (წულეისკირი, 1990, გვ.305).

როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებებშიც გვხვდება წინადადების სხვადასხვა ტიპი. „აბოს წამებაში“ შეიძლება ითქვას, რომ გაბატონებულია რთული ქვეწყობილი წინადადება, რომელიც აზრობრივად საოცრად გამართულია, იმის მიუხედავად, რომ რთული წინადადების აგება რთულია, როგორც სინტაქსურად, ასევე ლექსიკურადაც. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იოანე საბანისძე მაღალი დონის სასულიერო მწერალია, რომელსაც არ ახასითებს მოკლე და მშრალი წინადადებები. იგი მზად არის, აღწეროს ის, რაც მოწამის სულიერ სიმტკიცეს გადმოსცემს, ამისათვის კი, ძირითადად, იყენებს რთულ წინადადებებს. ცხადია, გვხვდება, ასევე მარტივი წინადადებებიც. რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის

ნაწარმოებს, მასში თითქმის თანაბრად ვხვდებით, როგორც მარტივ, ასევე რთულ წინადადებებსაც. ავტორი უპირატესობას ანიჭებს რთულ თანწყობილ წინადადებას.

## თავი IV. ლექსიკური პარალელები

ლექსიკა ფართო ცნებაა: იგი მოიცავს სხვადასხვა სოციალური და ფენების, ყოველდღიური მეტყველების, დიალექტური ნაირსახეობის, ე. წ. „პროფესიული ენების“ და სალიტერატურო ენის (ლიტერატურისა და ხელოვნების, პოლიტიკის, სამეცნიერო მწერლობის, ტექნიკური ტერმინოლოგიის) სიტყვობრივ მარაგს (ძიძიგური, 1988, გვ. 30).

### 4.1 სინონიმები

როგორც ვიცით, სინონიმები მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია. ჩვენ განვიხილეთ იოანე საბანისძის „აბოს წამება“, რომ გვენახა, თუ რომელი სინონიმებია გამოყენებული:

1) „ჯერ -არს ჩემდაცა დაკვრევად ჩემ თანა, რამეთუ, რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, **ზედამდგომელთა** ამათ ჩუენთა, **მფლობელთა** ამის ჟამისათა, განდგომილთა ქრისტესაგან, მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებასა ქრისტეს სახარებისასა შეეცოდნეს“ (საბანისძე, 2009, გვ.73). **ზედამდგომელნი**- მბრძანებლები, უფროსად დაყენებული ადამიანები, რომლებც ხელისუფლებას წარმოადგენდნენ საქართველოში არაბობის დროს (როდონაია, გიგინეიშვილი, გრიგალაშვილი, 2009, გვ. 73). **მფლობელნი** ამის ჟამისანი- ამ დროის ხელისუფალნი. იგულისხმება, არაბობის დროს, საქართველოში მყოფი მმართველი წრე (როდონაია, გიგინეიშვილი, გრიგალაშვილი, 2009, გვ.73). „ზედამდგომელნი“ და „მფლობელნი ამის ჟამისანი“ სინონიმური ფორმებია.

2) „და სხვანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და **ნაკლულევანებითა** და **სიგლახაკითა** შეკრულ-ნი, ძვრ-ძვრად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“ (საბანისძე, 2009, გვ.73).

**ნაკლულევანება**- გაჭირვებული ცხოვრება, ხელმოკლეობა (როდონაია, გიგინეიშვილი, გრიგალაშვილი, 2009, გვ. 73). **სიგლახაკე**-სიღატაკე, ხელმოკლეობა.

„ნაკლულევანება“ და „სილატაკე“ არის სინონიმური წყვილი, რომელიც იოანე საბანისძემ, მორწმუნეთა ცხოვრების აღსაწერად გამოიყენა.

3) „ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრ-ძვრად ზღვეულნი“ (საბანისძე,

2009, გვ.73). გუემულნი- შეწუხებულები, დატანჯულები. ქენჯნილნი- შეჭირვებული, შეწუხებული. 4) „უცხოჲ უცხოჲთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა შეემეცნა“ (საბანისძე, 2009, გვ.73). 5) „და თვისითა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა და ზრახვისა ესნილა, მაშინ იწყო ზედამიწევნად და სწავლად“ (საბანისძე, 2009, გვ. 76).

შემეცნება- აცნობა, შესწავლა, ათვისება. ზედამიწევნა- შეცნობა, შესწავლა.

6) „მაშინ უდებ-ჰყო შჯული იგი მაჰდესი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისაჲ დაუტევა და შეიყუარა ქრისტჳ ყოვლითა გულითა“ (საბანისძე, 2009, გვ.76). უდებ-ჰყო - მიატოვა, უგულვებელყო. დაუტევა- მიატოვა, დატოვა, განუდგა.

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, გვხვდებით შემდეგ სინონიმურ ფორმებს: 1. „მხოლოდ ერთ ღამეს, ნათლისღების ღამეს ამანთებინონ კერეონები და წესისამებრ მალოცვინონ“ (წულეისკირი, 1990, გვ. 363). 2. „ნათლისღება ახლოვდება... ქრისტიანმა ნათლისღების დღესასწაულს მახოვარს სანთელი ვით არ ავუნთო?“ (წულეისკირი, 1990, გვ. 363).

კერეონი- სანთელი( დიდი ზომის). სანთელი - კერეონი. 3) „ამგვარი წყვდიადი აბოს არც გაეგონა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 369). 4) „მოლოდინის შიში: რას უმზადებენ ამ შავეთში?“ (წულეისკირი, 1990, გვ. 369). წყვდიადი - ადგილი, სადაც ბნელა. შავეთი - ადგილი, სადაც ბნელა.

ჩვენ მიერ განხილული მაგალითების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინონიმური ფორმები გვხვდება, როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც. იოანე საბანისძე იყენებს შემდეგ სინონიმებს : „ზედამდგომელნი“- „მფლობელნი ამის ჟამისანი“, „ნაკლულევანება“- სიგლაზაკე“, „გუემულნი“- „ქენჯნილნი“, „შემეცნა“- „ზედამიწევიანა“, „უდებ-ჰყო“- „დაუტევა“. იოანე საბანისძე არ იყენებს აბსოლუტურ სინონიმებს, თუმცა საკმაოდ აქტიურად მოიხმარს სინონიმურ წყვილებს ტექსტში, სათქმელის ნათელსაყოფად.

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, გვაქვს მხოლოდ შემდეგი სინონიმები: „წყვდიადი“- „შავეთი“; „კერეონი“- „სანთელი“.

## 1.2 ანტონიმები

საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები ანტონიმებია. ერთი მნიშვნელობის სიტყვას გასჩენია საპირისპირო ცალი. მთა იმიტომ გვაქვს, რომ არის მისი საპირისპირო ბარი; დიდი იმიტომაა, რომ მას პატარა, მცირე უპირისპირდება. საპირისპირო მნიშვნელობათა გაჩენა ენის ლექსიკის განვითარების კანონზომიერი პროცესია, რომელიც ახლაც მოქმედებს (ღლონტი, 1971, გვ.57).

ქართული ენა მდიდარია ამგვარი სიტყვებით. თუმცა ჩვენ გვაინტერესებს არა მხოლოდ დღევანდელი ვითარება ენის მრავალფეროვნების თვალსაზრისით, არამედ წარსულიც. ამიტომ, ჩვენ განვიხილეთ იოანე საბანისძის „აბოს წამება“ და დავაკვირდით, თუ რომელ ანტონიმებს იყენებს ავტორი. მაგ.: „ქრისტეს მბრძოლთა მათ ესრფთ ყვეს“( საბანისძე, 2009, გვ.86). 2. „ქრისტეს მოყუარენი ჰნატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას მოღუაწებასა“ (საბანისძე, 2009, გვ.89). მბრძოლნი (მტრები) - მოყვარენი

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით შემდეგ ანტონიმებს: 1. „რა ეთქვა ახლა აბოს, სიმართლე?- არ ივარგებდა“( წულეისკირი, 1990, გვ. 366). 2. „ამ კითხვას კიდევ სხვა კითხვა მოჰყვებოდა, ვინ გითხრა ეს ამბავიო, როდის, რომელ დღეს გაიგეო, ვერ იტყოდა სიმართლეს, სიცრუე ეთქვა?“ (წულეისკირი, 1990, გვ. 366). სიმართლე - სიცრუე

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებებში ვნახეთ შემდეგი ანტონიმები: „მბრძოლნი“ - „მოყუარენი“ (აბოს წამება), „სიმართლე“ - „სიცრუე“ (ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“). აღნიშნული ანტონიმური წყვილები არ გვხვდება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში.

## 4.3 ხმარებიდან გასული სიტყვები

ქართულ ენაში გვაქვს სიტყვები, რომლებიც ერთ დროს საკმაოდ აქტიურად გამოიყენებოდნენ, შემდეგში კი ეს სიტყვები თანდათან გამოეთიშნენ ხმარების პროცესს, რაკი ახალმა სიტყვებმა დაიკავეს მათი ადგილი. ეს ენის განვითარების



ბუნებრივი პროცესია, თუმცა ამ პროცესის შედეგი არის ის, რომ ენას მოეპოვება ე.წ ხმარებიდან გასული სიტყვები. ძველი ქართული ენა რომ შევადაროთ ახალ ქართულ ენას, აღმოვაჩენთ, რომ რამდენიმე სიტყვა საკმაოდ უცხოა ჩვენთვის, ეს სწორედ ის სიტყვებია, რომლებიც ძველ ქართულ ენაში აქტიურად გამოიყენებოდნენ, დღეს კი ისინი სხვა სიტყვებმა ჩაანაცვლეს. როგორც ვიცით, ხშირად მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებსაც აქვთ იმის მცდელობა, რომ ენაში ესა თუ ის სიტყვა ახალი სიტყვით ჩაანაცვლონ და ამისათვის ისინი „ახალ“ სიტყვას საკუთარ გამოსვლებსა და წერილებში იყენებენ, თუმცა საზოგადოება ამ პროცესს ძალიან ფაქიზად ეკიდება და ე.წ საზოგადოებრივ ლიცენზიასაც იშვიათ სიტყვას აძლევენ ხოლმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენაში სიტყვათა ჩანაცვლების პროცესი არც თუ ისე მარტივია.

ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორის, წინაშე იმთავითვე მწვავედ დაისვა ქართული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის პრობლემა. ახალი ქართული სამწერლო ენის დამკვიდრება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა ლექსიკონის გადახალისებას და იმ დრომოჭმული სიტყვობრივი მასალის უკუგდებას, რომელიც სათავეს არქაულ ლექსიკაში პოულობდა (ძიძიგური, 1971, გვ. 79).

სწორედ ამგვარი მიზეზები განაპირობებდა იმას, რომ ლექსიკა მუდმივად ცვალებადი ნაწილია ცოცხალი ენისა.

**იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით შემდეგ ხმარებიდან გასულ სიტყვებს:**

1) „ჭემმარიტებასა ქრისტჳს სახარებისასა შეეცოდნეს( შესცოდეს)“ (წულეისკირი, 1990, გვ.73). 2) „მიერთგან (იმ დროიდან) ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნნეს (გადაიბირეს, გული შეუცვალეს)“ (საბანისძე, 2009, გვ.73). 3) „ღმერთმან მოამშვიდა (დააწყნარა) პირი მეფისა მის ჩრდლომსაჲ და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა“ (საბანისძე, 2009, გვ.77). 4) „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჯვმირსა (მარცვლეულის სათავსო წისქვილში), არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რადთა ჰნათობდეს ყოველთა“ (საბანისძე, 2009, გვ.78). 5) „ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი( გაწირავ) ქრისტიანეს“(საბანისძე, 2009, გვ. 82). 6) „ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცავნ და უღარღილოდ (გონებით, უხმოდ) ფსალმუნებნ გონებითა თვსითა“ (საბანისძე, 2009, გვ. 82). 7) „წარსცა (გაუგზავნა, გაატანა) ყოველთა



მათ ეკლესიათა ქალაქისათა, რადთა აღანთონ ღამესა მას წმიდისა მის დღესასწაულისასა“ (საბანისძე, 2009, გვ.83). 8) „**მიიხუნა**( ხელში აიღო) ორნი სანთელნი დიდნი ჯელთა თვსთა და დაადგა იგი შორის საპყრობილესა“ (საბანისძე, 2009, გვ. 83).

1) „და გამოიღეს წმიდაჲ იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა **საგოდებელ** (სასაფლაო) ეწოდების“ (საბანისძე, 2009, გვ. 85). 10) „სიხარულითა მრავლითა **განვახუენით** ( გავხსენით) საუნჯენი გულთა და გონებათა ჩუენთანი“ (საბანისძე, 2009, გვ. 88). 11) „რამეთუ შენ უკანადსკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ მეთერთმეტისა ჟამისაჲ **მდღევართა** (დღიურად დაქირავებული მუშაკი) მათ თანა **აღმსთობილთა** (ადრე ამდგარი) **მიეწიფე** (გაუთანასწორდი) და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი“ (საბანისძე, 2009, გვ.89).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით შემდეგ ხარებიდან გასულ სიტყვებს:

1. „მონასტრის ბერებს **ხვასტაგი** (**პირუტყვი**) გაშვებული ჰყავდათ, თოკით პირუტყვს არავინ აძოვებდა“ (წულეისკირი, 1990, გვ.352). 2. „**შურტებს** ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ“ (წულეისკირი, 1990, გვ.401). 3. „**შურტებმა** (**მცველი**) არ იცოდნენ რა ეღონათ, ძალა ეხმარათ თუ არა“ (წულეისკირი, 1990, გვ.401). 4. „მხოლოდ მაშინღა მიუხვდნენ განზრახვას, როცა **გულაგი** (დიდი ტომარა) მოიტანეს“ (წულეისკირი, 1990, გვ. 402). 5. „თავაკრული **გულაგი** ურემზე დადეს და საგოდებლისკენ გაუდგნენ გზას“ (წულეისკირი, 1990, გვ.402).

როგორც ვნახეთ, ხმარებიდან გასული სიტყვები მრავლად გვხვდება, როგორც იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“.

### 1.3 სიტყვის მნიშვნელობის ცვლა

ცოცხალი ენა ის ფენომენია, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებას. ზოგირთი ლექსიკური ერთეული აკლდება, ზოგი კი ემატება მას. ხშირია შემთხვევები, როდესაც სიტყვა კარგავს პირვანდელ მნიშვნელობას და იძენს ახალ, განსხვავებულ შინაარსს. ეს მოვლენა ხშირად ახასიათებთ მრავალსაუკუნოვან ენებს. ქართულ ენაშიც გვაქვს სიტყვები, რომლებსაც ძველად სხვა მნიშვნელობა გააჩნდათ, მოგვიანებით კი სხვა მნიშვნელობა შეიძინეს. იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით შემდეგ

სიტყვებს, რომლებმაც მნიშვნელობები შეიცვალეს: 1. „რამეთუ რომელნი ესე ვართ ყურესა (კიდე, განაპირა მხარე) ამას ქუეყანისასა, ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა“( საბანისძე, 2009, გვ.73). 2. „მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულ-ნი, ვითარცა რკინითა (ბორკილი)“ (საბანისძე, 2009, გვ. 73). 3. „ხოლო შესმენითა (დაბეზღება) ბოროტ კაცთადათა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსე, ერისთავი ქუეყანისა ამის ქართლისაჲ“(საბანისძე, 2009, გვ.75). 4. „და დაუტევა მამაჲ, და დედაჲ, და ძმანი, და დანი, და ნათესავები და მონაები და აგარაკები (მიწის ნაკვეთი ყანისთვის ან ვენახისთვის )“ (საბანისძე, 2009, გვ. 76). 5. „მაშინ იწყო ზედამიწევნად (შეცნობა, სწავლა) და სწავლად წმიდათა საღმრთო წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა“ (საბანისძე, 2009, გვ. 76). 6. „და იყო დღეთა მათ შინა კუალად განრისხებაჲ ჯელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა და ივლტოდა (გაიქცა) იგი“ (საბანისძე, 2009, გვ. 77). 7. „ღმერთმან მოამშვიდა (დააწყნარა) პირი მეფისა მის ჩრდლომსაჲ და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა (საჩუქარი)“ (საბანისძე, 2009, გვ.77). 8. „და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს და იქცეოდა( დადიოდა, ცხოვრობდა) განცხადებულად ქრისტიანედ“(საბანისძე, 2009, გვ.79). 9. „არს ამასა შინა ჭაბუკი ერთი, რომელი იყო ბუნებით (წარმოშობით) სარკინოზ“ (საბანისძე, 2009, გვ.81). 10. „განსწავლულ ვიყავ შჯულითა მაჰმედისითა და ვცხოვრობდე (ვცხოვრობდი) მას შინა, ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ“ (საბანისძე, 2009, გვ.81). 11. „დაუტევე სიცოფისა (უგუნურების) ეგე განზრახვაჲ“ (საბანისძე, 2009, გვ.81). 12. „რომელნი ჰხედვიდეს მას ქრისტიანენი და მეცნიერნი(ნაცნობები) მისნი, ცრემლეოდეს მისთვის“ (საბანისძე, 2009, გვ. 84). 12. „ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი, რამეთუ გონებაჲ (ფიქრი, აზრი) ჩემი ქრისტეს თანა არს ზეცას!“ (საბანისძე, 2009, გვ. 85). 13. „ხოლო მსახურთა მათ გამოიყუანეს გარეშეკართა, ეზოსა მას ტაძრისასა (სასახლე) “ (საბანისძე, 2009, გვ. 85).

იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ მრავლად ვხვდებით ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, როლებსაც ძველად სხვა მნიშვნელობა ჰქონდათ, დღეს კი ამ სიტყვებმა სხვა მნიშვნელობები შეიძინეს. ცხადია, ეს ძალიან საინტერესო ენობრივი პროცესი განაპირობა იმან, რომ ძველ ქართულში არსებული ლექსიკა დღეს სახეშეცვლილია. სხვადასხვა სფეროს, საზოგადოების თუ კულტურის განვითარებას თან ახლდა

ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის ცვლა, რაც ბუნებრივი პროცესია ცოცხალი ენისათვის. ის ფაქტი კი, რომ ერთ ნაწარმოებში სულ მცირე თხუთმეტი ლექსიკური ერთეული მოგვეპოვება ისეთი, რომელმაც მნიშვნელობა შეიცვალა, მეტყველებს იმაზე, რომ ქართული ენა ძალზედ მრავალფეროვანია. რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, რომელიც „აბოს წამებასთან“ შედარებით საკმაოდ ვრცელია, არ მოგვეპოვება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ადრე სხვა მნიშვნელობა ჰქონდათ, დღეს კი სხვა მნიშვნელობა შეიძინეს. ეს ფაქტი კი, აიხსნება იმდენად, რამდენადაც ნაწარმოების ენა ახალქართულია და მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში დაესესხება ხოლმე ავტორი ძველი ქართული ენის ფორმებს, ისიც იმისთვის, რომ მკითხველი არ მოსწყვიტოს მერვე საუკუნის საქართველოს.

#### 4.5. პროფესიისა და წოდების აღმნიშვნელი ლექსიკა

ზოგიერთი სიტყვა უკავშირდება ადამიანის მოღვაწეობას, პროფესიას და შესაბამისად, გადმოსცემს, თუ რა პროფესიისაა ადამიანი. ქართულ ლიტერატურაში პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები დასტურდება პირველ ლიტერატურულ ძეგლში („შუშანიკის წამება“), გარდა ამისა, პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები გვაქვს ასევე უძველეს წერილობით ძეგლშიც, „აბოს წამება“. მაგ.: 1. „რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲს, სახელით ნერსე, ძჳ ადარნესე კურა პალატისა და ერისმთავრისა, მოწოდებულ იქმნა ამირა მუმნისა აბდდილაჲსაგან.“ (საბანისძე, 2009, გვ.74). 2. „მაშინ უბრძანა მსაჯულმან მან კელით და ფერკით შეკრვაჲ მისი ბორკილითა რკინისაჲთა და ეგრჳთ შთააგდეს იგი საპყრობილესა“ (საბანისძე, 2009, გვ.82). 3. **მსაჯული** ამირაჲ შემოსულ იყო ქალაქსა ტფილისს“ (საბანისძე, 2009, გვ.80). 4. „და იყო იგი კელოვან, **კეთილად შემზავებელ სულნელთა** მათ საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთაჲთა“ (საბანისძე, 2009, გვ. 76).

როგორც ვნახეთ, იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ გვხვდება რამდენიმე ლექსიკური ერთეული, რომელიც ადამიანის საქმიანობის სფეროს გვამცნობს. „ერისთავი“- საკმაოდ ხშირად გვხვდება ნაწარმოებში, ვინაიდან აბო უშუალოს სცნობს და ურთიერთობს ქართლის ერისთავთან. ნერსე მისი უახლოესი პიროვნებაა და შესაბამისად ნაწარმოების ავტორი რამდენჯერმე ახსენებს მას თავისი წოდებითურთ. „**მსაჯული**“ - ცხადია, ამ სიტყვის არსებობა ტექსტში მოსალოდნელია, რაკი, ვიცით, რომ

აბო სწორედ მსაჯულებმა შეიპყრეს და მიჰგვარეს ამირას, რის შემდეგაც მათვე მოაკვდინეს. როგორც ვიცით, აბო პროფესიით საცხებელთა შემზავებელია და საკმაოდ გაწაფული საკუთარ საქმეში. მის მოღვაწეობას გაცილებით ფართოდ აღწერს ნოდარ წულეისკირი, თუმცა არც ოანე საბანისძეს დაუტოვებია ყურადღების მიღმა არაბი ქრისტიანის საქმიანობა და წერს, რომ იგი არის - „სულნელთა კეთილად შემზავებელი“.

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში კი ვხვდებით შემდეგი სახის პროფესიულ ლექსიკას: 1. „სულ შეუსწავლია ქართული წიგნები, - ნეტავ, მოძღვარი ვინ არის?“ - გაუელვა თავში სტეფანოზს“ (წულეისკირი, 1990, გვ. 161). 2. „მოძღვარი? - დაფიქრდა მოყმე- მოძღვარი საქართველო!“ (წულეისკირი, 1990, გვ. 161). 3. „თქვენ მკითხეთ, მოძღვარი ვინ არისო- ერისთავთ-ერისთავო, მიუგო აბომ სტეფანოზს“ (წულეისკირი, 1990, გვ. 162). 4. „აბო, ამცნე ერსმთავარს თუ რამე გსურს“ (წულეისკირი, 1990, გვ. 163). 4. „ტფილისში ეს ბასრის დანამასტაქის ფოთოლი შირაზელ ვაჭრებს ჩამოჰქონდათ, თურმე“ (წულეისკირი, 1990, გვ. 164). 5. „მოლაშქრეები კი არ დაგიდევენ ხალხის წიაქს და ყაყანს, მოურიდებლად, აშკარად ზარცვავენ ვაჭრებსა და ხელოსნებს“ (წულეისკირი, 1990, გვ. 165). 6. „მოიწევენ ხმაურითა და აყალმაყალით, ცაუარეს ქულბაქებსა და დუქნებს, მეხამლეებსა და მეთუნეებს“ (წულეისკირი, 1990, გვ. 165). 7. „მელვინეთა რიგში კაცის სიმაღლე რუმბებთან შეჩერდნენ, თითქოს შეთქმულებას აპირებენო“ (წულეისკირი, 1990, გვ. 165). 8. „თაფლით მოვაჭრე ჭანს ერთი კასრი თაფლი წაართვეს, იმ კასრს შემოეხვივნენ ბუზებივით“ (წულეისკირი, 1990, გვ. 165). 9. „კახეთ-კუხეთის ქორეპისკოპოსი, ჰერეთისა და გუგარეთის ერისთავებიც ფეხზე დგომის უფლებით უნდა დასწრებოდნენ ჯამაათის თავყრილობას“ (წულეისკირი, 1990, გვ. 171). 10. „ქართლის კათალიკოსმა როცა შეიტყო, რომ ის ყადის უკან უნდა ატუზულიყო, აღშფოთდა“ (წულეისკირი, 1990, გვ. 171).

ამრიგად, პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები გვხვდება, როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში დასტურდება ის პროფესიის აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც გვხვდებოდა იოანე საბანისძესთან და გვაქვს ასევე დამატებით რამდენიმე ლექსიკური ერთეული, რომელიც იმ პროფესიებს და წოდებებს უკავშირდება, რომლებიც მერვე

საუკუნეში იყო ქართლში (თაფლით მოვაჭრე, ვაჭარი, ქორეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, მოძღვარი, ერისთავი, მეხამლე, მეთუნე, მეღვინე, მოლაშქრე, ხელოსანი და ა.შ.).

#### 4.6. ნასესხები ლექსიკა

უძველესი დროიდან ქართველ ხალხს ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ხალხთან თუ ეთნიკურ ჯგუფთან. ეს კონტაქტები შეპირობებული იყო გეოგრაფიული მდებარეობით ანდა კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობით. ეთნოკულტურული კონტაქტები მკვეთრად არის აღბეჭდილი ქართული ენის სტრუქტურასა და ლექსიკაში. უცხოური ენობრივი ფენების გამოვლენა მჭერმეტყველურად აშუქებს ქართველების ისტორიული განვითარების გზას და მათ სოციალურ ურთიერთობებს სხვადასხვა წარმოშობის ხალხებთან (მიძიგური, 1974, გვ.283).

„აბოს წამებაში“ არ გვაქვს არაბული ლექსიკა, ვინაიდან ავტორი აშკარად უპირისპირდება დამპყრობელთა ძალადობრივ პოლიტიკას და ცდილობს, რომ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული მოწამეობრივი ტექსტი შეექმნას, მარტოოდენ ქართულ ლექსიკაზე დაყრდნობით. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში კი, გვაქვს არაბულიდან შემოსული სიტყვები, რომლებიც გვეხმარებიან იმაში, რომ ბოლომდე გავიაზროთ რა საფრთხის წინაშე იდგა ქვეყანა არაბობისას. არაბული ლექსიკა ქართულ ტექსტში, ვფიქრობთ, ცხადად გვიჩვენებს, რომ საფრთხე ემუქრებოდა არა მხოლოდ სარწმუნოებას, არამედ ენას და ქართველთა თვითმყოფადობასაც. მაგ.:

1. „**ჯამათის** ნამდვილი წევრები კი ისხდნენ, მათ სიტყვას მეტი ძალა ჰქონდა, კენჭისყრის უფლებაც მათთვის ებოძათ“ (წულეისკირი, 1990, გვ. 171). 2. „ესენი იყვნენ: **ამირა**, **ვაზირი**, **შურტათმთავარი**, **ყადი** და **ერისმთავარი**“ (წულეისკირი, 1990, გვ.171). 3. „ერისთავები, **ბარიდები**, **ამიდები**, **მუჰთასიბები** და საამიროს სხვა მოხელენი **ჯამათს** ესწრებოდნენ“ (წულეისკირი, 1990, გვ.171). 4. „ქართლში ბოლოსა და ბოლოს მშვიდობა და წესრიგი დაამყარა : **ხარაჯასა** და **ჯიზისას** გადახდა დროზე შეძლო“ (წულეისკირი, 1990, გვ.154).

ამრიგად, ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში გვხვდება უცხო ენიდან შემოსული შემდეგი სიტყვები: **ჯამათი**, **ამირა**, **ყადი**, **ბარიდები**, **ამიდები**, **მუჰთასიბები**, **ხარაჯა**, **ჯიზია**. „აბოს წამებაში“ კი: „ამირა“, „სარკინოზი“.

## დასკვნა

1. იოანე საბანისძის „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბოისი“ და ნოდარ წულეისკირის „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ ენობრივი პარალელების კვლევა ამ მიმართულებით არ ჩატარებულა. დიაქრონიული ანალიზით შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ ამ ორი ნაწარმოების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური პარალელები ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით. ნაშრომი დაეხმარება იოანე საბანისძისა და ნოდარ წულეისკირის შემოქმედებით დაინტერესებულ პირებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა საინტერესო დასკვნები.

2. **უმარცვლო უ დასტურდება:** სიტყვის ბოლოს, თანხმოვნების შემდეგ, თანხმოვნების შემდეგ და ხმოვნის წინ, თანხმოვნებს შორის. აღნიშნული მოვლენა დავაფიქსირეთ, როგორც იოანე საბანისძის ნაწარმოებში, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში. ჩვენ მიერ მოძიებული ფორმები კი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უმარცვლო უ ძველი ქართული ენის მოვლენა იყო.

3. **ი (იოტი) გვხვდება** იოანე საბანისძის ნაწარმოებში შემდეგ პოზიციებში: ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელებთან, საზოგადო სახელებთან, რომლებიც არ იკვეცებიან, ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან, სხვადასხვა ბრუნვაში და ნანათესაობითარ სახელებთან სახელობით ბრუნვაში. ამ კუთხითვე შევისწავლეთ ნოდარ წულეისკირის ნაწარმოები „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, სადაც ი (იოტი) არ დასტურდება. აღნიშნული ფაქტი ჩვენთვის საინტერესოა, ვინაიდან ნაწარმოების ენა ძველი და ახალი ქართულია ერთობლივად.

4. იოანე საბანისძის ნაწარმოებში **ჴ (მერვე)** შეგვხვდა შემდეგ პოზიციებში: ხმოვანზე ფუძედაბოლოებულნი საზოგადო სახელებთან, ე ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან (სახელობითსა და ნათესაობითში), ჴმნიზედებში: ეგრჴთ და ესრჴთ და უფროობითი ხარისხის ფორმის საწარმოებლად (უმეტჴს-ღა), ე.ი ყველა იმ პოზიციაში, სადაც ძველ ქართულ ენაში გვხვდებოდა. ნოდარ წულეისკირის ტექსტშიც დასტურდებ არქაული ფორმები, თუმცა **ჴ (ემერვე)** არ დასტურდება.

5. **ვინმა (ჳ) მე-11 საუკუნიდან** არსებობა შეწყვიტა. თუმცა საკმაოდ აქტუალურად



გამოიყენებოდა მანამდე არსებულ წერილობით ძეგლებში და საკმაოდ ხშირად გვხვდება ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებშიც, რომელიც მერვე საუკუნისაა და შესაბამისად, გასაკვირი არ არის მისი პოვნიერება შემდეგ პოზიციებში: ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელებთან, სახელობითში და ნათესაობითსა და მოქმედებითში -უა, უე-ზე დაბოლოებულ სახელებთან. ვინის გამოყენების შემთხვევები არ გვხვდება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში.

6. ჯარი გვხვდება იოანე საბანისძის ნაწარმოებში, როგორც სიტყვის თავში, ასევე შუაშიც და გადაწყვება ნაწარმოებ სიტყვებსაც. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორი მას საკმაოდ ხშირად იყენებს ხ -ს პარალელურად. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში კი არ გვხვდება ხარის გამოყენების შემთხვევები. ავტორი მხოლოდ დღევანდელ ქართულში არსებულ და მიღებულ ასო-ნიშანს, ხ-ს იყენებს.

7. იოანე საბანისძის ნაწარმოებში მრავლად არის უმარცვლო უ-ს ხმარების შემთხვევები, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ მერვე საუკუნეში, მაშინ, როდესაც ავტორი ქმნიდა თავის გენიალურ ტექსტს, ჯერ კიდევ არ არის დიფთონგის რღვევა აქტუალური მოვლენა. სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას ის, რომ მთლიან ტექსტში გაბნეულია ისეთი სიტყვა-გამოთქმები, რომლებშიც გვხვდება უმარცვლო უ. რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, აქაც გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, სადაც ავტორს უმარცვლო უ აქვს გამოყენებული. იოანე საბანისძის ნაწარმოები მერვე საუკუნეს განეკუთვნება და არ არის გასაკვირი დიფთონგის არსებობა ტექსტში, ნ. წულეისკირის ნაწარმოები კი მეოცე საუკუნეშია შექმნილი და როგორც წესი, ავტორი თავს უნდა არიდებდეს არქაულ ფორმებს, რადგან ძირითადი ტექსტის მასაზრდოებელი სწორედ რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენაა.

8. გვხვდება ასიმილაციის შემთხვევები, როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც. გვაქვს იდენტურ ბგერათა ასიმილაციური გამჟღერების მაგალითი ორივე ნაწარმოებში.

9. დისიმილაციის (ტფილისს, ტფილისში, ტფილისსა, ტფილის-ქალაქს, ტფილისელთა) მაგალითები დასტურდება, როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც. პროგრესული დისიმილაცია ძველ ქართულში იშვიათია:

პროგრესული კონტაქტური განმსგავსების ერთ-ერთი ძალზე საყურადღებო სახეობაა დისიმილაციური გამჟღერება.

10.მეტათეზისის შემთხვევები გვაქვს, როგორც იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც. ცხადია, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში მეტი შესაძლებლობაა მეტათეზისის არსებობისა, რადგან ბევრი სიტყვა შეიცვალა ფონეტიკური პროცესების ზეგავლენით, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეტათეზისურ ფორმებს არ ერიდება ნოდარ წულეისკირი, მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნეში არქაულ ფორმათა გამოყენება არ არის დამახასიათებელი ისეთი თანამედროვე ლექსიკის მქონე მწერლისთვის, როგორც ნოდარ წულეისკირია.

11.ბგერის კარგვის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ორივე ნაწარმოები. აღმოჩნდა, რომ ბგერა იკარგვის, როგორც ძველ ჰაგიოგრაფიულ ტექსტში („აბოს წამება“), ასევე, მე-20 საუკუნის ნაწარმოებშიც. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბგერის დაკარგვის გაცილებით ნაკლები შემთხვევა გვაქვს ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში, იოანე საბანისძის ნაწარმოებთან შედარებით.

12.ბგერის განვითარების შემთხვევები გვაქვს, როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც. ბგერის განვითარებას ვხვდებით, როგორც ფუძეში, ასევე ბოლოკიდურ პოზიციაშიც. ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ განვითარებულია, როგორც თანხმოვანი, ასევე ხმოვანი ბგერებიც.

13.სუბსტიტუცია გვხვდება „აბოს წამებაში“, ასევე. ცხადია, იოანე საბანისძის ნაწარმოებშიც მრავლად დასტურდება სუბსტიტუციის შემთხვევები, რაკი ძველ ქართულში გაცილებით მეტი ფორმა გვაქვს, რომელშიც ბგერათა ჩანაცვლება გვხვდება, დღეს რამდენიმე ფორმა სალიტერატურო ენაში შეცვლილი ვარიანტით დამკვიდრდა (ხვარბალი-ხორბალი).

10.არსებითი სახელის რიცხვის თვალსაზრისით საინტერესოა, როგორც ნარიანი (მოძღუარნი, შემასმენელნი, მოყუარენი და სხვ.) , ასევე თანიანი (დღეთა, კელმწიფეთა, ისმაიტელთაჲსა, ფერჯთა, მბრძოლთა და სხვ.). მრავლობითის ფორმები, არ მოგვეპოვება ებ-იანი მრავლობითის ფორმა, ძველი ქართულის სპეციფიკიდან გამომდინარე. რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს- „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, რიცხვის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებში მრავლობითის

გამოსახატავად გაბატონებულია ებ-იანი მრავლობითის ფორმა (მხლებლები, ობლები, ნაკვერცხლები, ბავშვები და სხვ.).

11. ჩვენ მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ **თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება** ძველი ქართულისებურია. გვაქვს ბრუნვათა ფორმები, რომლებიც ძველ ქართულში გვქონდა, ახალმა ქართულმა კი აღარ იმეძკვიდრა. რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევაში თანხმოვანფუძიანი სახელი იბრუნვის ისე, როგორც თანამედროვე სალიტერატურო ენაშია მიღებული.

12. იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით საკუთარ სახელთა ბრუნების სხვადასხვა შემთხვევებს. ტექსტში საკუთარი სახელების ბრუნვათა ფორმა ძველი ქართულისებურია. გამონაკლისს წარმოადგენს ა და ი მავრცობი ხმოვნების გამოყენება (ნერსისი, მუმნისა) ადამიანთა საკუთარ სახელებთან. რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს აქ ვხვდებით საკუთარ სახელთა ბრუნების არა ძველქართულისებურ, არამედ თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ბრუნების მაგალითებს. მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე პერსონაჟებზეც აქვთ საუბარი ნოდარ წულეისკირს და იოანე საბანისძეს, სახელთა ბრუნების თვალსაზრისით მათი სამწერლობო მანერა განსხვავებულია.

13. იოანე საბანისძის ნაწარმოებში გეოგრაფიული სახელები იბრუნვიან ძველი ქართულისებრი ფორმით. „აბოს წამებაში“ გეოგრაფიული სახელები დაირთავენ სავრცობსაც (ქართლისასა, ქართლისაჲ). დასტურდება სავრცობი ხმოვნების გამოყენების პარარელული შემთხვევები. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში გეოგრაფიული სახელები თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით არის წარმოდგენილი.

14. ჩვენ მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ გაცილებით მეტი მაგალითი გვხვდება, რომელშიც ავტორი სავრცობს (ა, ი) იყენებს (შეჭედილითა, ქედსა ,მისსა, ქუეყანისათა, ჯუარცმულსა, ქუეყანისასა, კელითა, რკინითა, ადგილსა...). გაცილებით ნაკლები მაგალითი გვხვდება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში, თუმცა, მაგალითები აქაც

მოგვეპოვება (მწუხარებასა, ამირასა, კარიჭისძისა). სავრცობი გაცილებით ხშირად გვხვდება, ორივე ნაწარმოებში, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.

15. იოანე საბანისძის ნაწარმოებში გაცილებით აქტუალურია **ზედსართავის** სახელობითი ბრუნვის ფორმით გამოყენება (ვარსკულავი მოტყინარჲ, საწადელი მარტვილობაჲ...). იოანე საბანისძეს დაცული აქვს მსაზღვრელ-საზღვრულის ძველი ქართულისებური წესი. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოების შემთხვევაში მსაზღვრელ საზღვრულის პოზიცია ახალქართულისებურიცაა (გაფართოებული თვალებით, დაეჭვებული მელო, გულისპირგასისხლიანებული ჭაბუკი...) და გვხვდება ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი პოზიცია ( ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი).

18. იოანე საბანისძე იყენებს რაოდენობით რიცხვით სახელს (მეათერთმეტი, ხუთასი), რიცხვით რიცხვით სახელს (პირველი), ნარიანი მრავლობითით გადმოცემულ რიცხვით სახელს (ორნი). იოანე საბანისძისაგან განსხვავებით, ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში რიცხვითი სახელის წარმოება ახალქართულისებურია და გვხვდება, როგორც მარტივი ფუძით, ასევე რთული ფუძით გადმოცემული რიცხვითი სახელები.

19. ჩვენ მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე საბანისძის ნაწარმოებში ნაცვალსახელის წარმოება ძველქართულისებურია. ამასთანავე, საინტერესოა, რომ გვხვდება შემდეგი სახის ნაცვალსახელები: პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, მიმართებითი, კითხვითი, უარყოფითი და განუსაზღვრელობითი. აქედან გამომდინარე კი, გამოგვაქვს დასკვნა, რომ იოანე საბანისძის ტექსტი ნაცვალსახელის გამოყენების თვალსაზრისით, საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც ავტორის შემოქმედებითი უნარის დამსახურებაა. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ვხვდებით: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, უარყოფითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, მიმართებითი ნაცვალსახელებს.

20. როგორც „აბოს წამებაში“, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც ვხვდებით სხვადასხვა სახის **თანდებულს**, იმის მიხედვით, თუ როგორი შინაარსისა და სტილის წინადადების აგება სურდა ავტორს. „აბოს წამებაში“ გამოყენებულია ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი ფორმებით, ხოლო ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

21. იოანე საბანისძის ნაწარმოებში ვხვდებით სხვადასხვა სახის **კავშირის** ფორმას.

ნათლად ჩანს, რომ ავტორი არ არის შეზღუდული კავშირთა გამოყენების თვალსაზრისით. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება „და“ კავშირი, თუმცა მის პარალელურად გვხვდება სხვა კავშირებიც. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც ძირითადად ვხვდებით კავშირიან წინადადებებს. შესაბამისად, შედარებით იშვიათია უკავშირო წინადადებები. აქაც ყველაზე ხშირად გამოყენებული არის „და“ კავშირი.

22. ნაწილაკთა გამოყენების თვალსაზრისით მწირი მასალა გვაქვს „აბოს წამებაში“. ავტორი ძირითადად იყენებს **უარყოფით** ნაწილაკებს. რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, ავტორი ძალიან ხშირად მიმართავს ნაწილაკიან ფორმებს და შესაბამისად, ნაწარმოები საკმაო მრავალფეროვნებას ამჟღავნებს ნაწილაკთა პოვნირების თვალსაზრისით.

23. როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც ვხვდებით ზმნიზედები. აღსანიშნავია, რომ ორივე მწერალი, ძირითადად იყენებს **ვითარების** ზმნიზედას.

24. იოანე საბანისძე იყენებს ზმნებს: **ჰმადლობდა, იხილა, მოიღო, ეშინოდა, იყო, მოვიდა, შეემეცნა, იყვნეს, მოიქცე და სხვა**. გვაქვს, როგორც ერთპირიანი (იყო, მოიქცე), ორპირიანი (შემემეცნა) და სამპირიანი (მოუწოდა) ზმნებიც. შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე საბანისძის ნაწარმოებში მრავლად ვხვდებით ზმნებს, რომელთა წარმოებაც ძველი ქართულისებურია. რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, აქაც უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ზმნათა წარმოება, ძირითადად, ახალი ქართული ენის ნორმებს ექვემდებარება, თუმცა გვაქვს „გეძიებენ“(გეძებენ) ტიპის ფორმები, რომლებიც თანამედროვე ქართულში ნაკლებად გამოიყენება.

25. იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით მხოლოდ ერთ **შორისებულს** (აჰა), ხოლო ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში კი სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა დატვირთვის შორისდებულები გვხვდება.

26. ჩვენ მიერ განხილული მაგალითების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ **სინონიმური** ფორმები გვხვდება, როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც. იოანე საბანისძე არ იყენებს აბსოლუტურ სინონიმებს, თუმცა საკმაოდ აქტიურად მოიხმარს სინონიმურ წყვილებს ტექსტში, სათქმელის

ნათელსაყოფად. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ასევე არ გვხვდება აბსოლუტური სინონიმები.

27. ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებებში გვხვდება სხვადასხვა ანტონიმური წყვილი. თუმცა ეს ანტონიმები სხვადასხვაა ორვე ნაწარმოებში. სათქმელის გადმოსაცემად ავტორები სხვადასხვა ანტონიმებს იყენებენ.

28. როგორც ვნახეთ, ხმარებიდან გასული სიტყვები მრავლად შეგვხვდება, როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში. მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის ტექსტში ახალი ქართულისთვის დამახასიათებელი ფორმებია ძირითადად, ავტორმა მაინც გამოიყენა სიტყვები, რომლებიც აღარ იყო თავისი ეპოქისთვის დამახასიათებელი.

29. იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვხვდებით სიტყვებს, რომლებმაც მნიშვნელობა შეიცვალეს. ცხადია, ეს ძალიან საინტერესო ენობრივი პროცესი განაპირობა იმან, რომ ძველ ქართულში არსებული ლექსიკა დღეს სახემეცვლილია. რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, მასში არ მოგვეპოვება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ადრე სხვა მნიშვნელობა ჰქონდათ, დღეს კი სხვა მნიშვნელობა შეიძინეს.

30. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში გაცლებით მრავლად ვხვდებით სიტყვებს, რომლებიც უცხო ენიდან არიან შემოსულები. ამის მიზეზი არის ის, რომ ავტორმა აღწერა არაბობის პერიოდი საქართველოში და სიცხადისათვის გამოიყენა უცხო ენიდან შემოსული სიტყვები. იოანე საბანისძე კი, შედარებით იშვიათად, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იყენებს აღნიშნულ ლექსკურ ერთეულებს.

32. პროფესიის და წოდების აღმნიშვნელი სიტყვები გვხვდება, როგორც იოანე საბანისძის, ასევე ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებშიც. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში დასტურდება ის პროფესიის აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც გვხვდებოდა იოანე საბანისძესთან და გვაქვს ასევე დამატებით რამდენიმე ლექსიკური ერთეული, რომელიც იმ პროფესიებს და წოდებებს უკავშირდება, რომლებიც მერვე საუკუნეში იყო ქართლში (თაფლით მოვაჭრე, ვაჭარი, ქორეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, მოძღვარი, ერისთავი, მეხამლე, მეთუნე, მეღვინე, მოლაშქრე, ხელოსანი ...).

32)ორივე ნაწარმოებში გვხვდება წინადადების სხვადასხვა ტიპი. „აბოს წამებაში“



შეიძლება ითქვას, რომ გაბატონებულია რთული ქვეწყობილი წინადადება, რაც შეეხება ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებს, მასში თითქმის თანაბრად ვხვდებით, როგორც მარტივ, ასევე რთულ წინადადებებსაც. ავტორი უპირატესობას ანიჭებს რთულ თანწყობილ წინადადებას.

**33.** იოანე საბანისძე „აზოს წამებაში“ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით არის წარმოდგენილი მსაზღვრელ-საზღვრული. გვაქვს წესიდან გადახვევის შემთხვევებიც. ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში დასტურდება მსაზღვრელ - საზღვრულის, როგორც ძველი პოზიცია, ასევე ახალი სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი წყობაც.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი, 1999 - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1999.
2. ბარამიძე, 2013 - ლ. ბარამიძე, ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის თავისებურებანი ქართულში, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2013.
3. ბარამიძე, 2008 - ლ. ბარამიძე, ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები. თბილისი, 2008.
4. ბარამიძე, ჯაკობია, 1986 - გრ. ბარამიძე, გ. ჯაკობია, ძველი ქართული ლიტერატურა, „განათლება“, თბილისი, 1986.
5. გაფრინდაშვილი, თვალთვაძე, 2015 - ნ. გაფრინდაშვილი, დ. თვალთვაძე, ქართული ენა, ლიტერატურის თეორია, ქართ.ული ლიტერატურის ისტორია , „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2015.
6. გოგოლაშვილი, 2013 - გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა (ნარკვევები), თბილისი, 2013.
7. დანელია, სარჯველაძე, 1997 - კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, „ნეკერი“, თბილისი, 1997.
8. ზვიადაძე, 2009 - თ. ზვიადაძე, მწერლის ენის საკითხები, თბილისი, 2009.
9. თვალთვაძე, გაფრინდაშვილი, 2013 -- დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები“, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2013.

10. იმნაიშვილი, 1957 - ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1957.
11. იმნაიშვილი, იმნაიშვილი, II, 1996 - ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. II, „მაინის ფრანკფურტი“, 1996.
12. კობერიძე, 2013 - მ. კობერიძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ზოგი საკითხისათვის მეთავე საუკუნის სასულიერო პოეზიაში: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“, ქუთაისი, 2013.
13. კობერიძე, 2013 (1) - მ. კობერიძე, ემფატიკური ხმოვანი „ჭილ-ეტრატის იადგარში“: ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადეული, V, 2013.
14. კობერიძე, 2013 (2) - მ. კობერიძე, ემფატიკური ხმოვანი მეთავე საუკუნის სასულიერო პოეზიაში: სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, #5, გორი, 2013.
15. კობერიძე, 2014 - მ. კობერიძე, ზოგი კავშირის ფუნქციისათვის მეთავე საუკუნის სასულიერო პოეზიაში: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომების კრებული, # 6, გორი, 2014.
16. კვაჭაძე, 1977 - ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, „განათლება“, თბილისი, 1977.
17. ლემონჯავა, 1981 - ნ. ლემონჯავა, კონსტანტინე გამსახურდიას ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1981.
18. მრევლიშვილი, 2016 - ნ. მრევლიშვილი, სივრცის ონტოლოგიური კატეგორია და აგიოგრაფიული ტექსტი იოანე საბანისძის „აბოს წამების“ მიხედვით: ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი, თბილისი, 2016.
19. როდონაია, გიგინეიშვილი, გრიგოლაშვილი, 2009 -- ვ. როდონაია, მ. გიგინეიშვილი, ლ. გრიგოლაშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა, „სწავლანი“, თბილისი, 2009.

20. საბანისძე, 1997 - ი. საბანისძე, აბოს წამება: ვ. როდონაია, მ. გიგინეიშვილი, ლ. გრიგოლაშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა , „სწავლანი“, თბილისი, 2009.
21. სარჯველძე, 1997 - ზ. სარჯველძე, ძველი ქართული ენა, თბილისი, 1997.
22. სარჯველძე, 1984 - ზ. სარჯველძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984
23. სალინაძე, 2008 - რ. სალინაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი, 2008.
24. უთურგაძე, 2013 - თ. უთურგაძე, ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები , თბილისი, 2013.
25. ფეიქრიშვილი, 1996 - ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, თბილისი, 1996.
26. ღლონტი, 1971 - ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, „განათლება“, თბილისი 1971.
27. შანიძე, 1976 - ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. თბილისი 1976.
28. შანიძე, 1980 - ა. შანიძე, თხზულებანი III, თბილისი 1980.
- 29 . ძიძიგური, 1971 - შ. ძიძიგური, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1971.
30. ძიძიგური, 1971 - შ. ძიძიგური, ლიტერატურულ- ენათმეცნიერული ნარკვევები, „მერანი“, თბილისი, 1974.
31. ძიძიგური, 1988 -შ. ძიძიგური, სიტყვის ცხოვრება, „მერანი“, თბილისი, 1988.
32. წულეისკირი, 2090 - ნ. წულეისკირი, დავით აღმაშენებლის ქვა, „ნაკადული“, თბილისი, 1990.
33. წულეისკირი, 2011 -ნ. წულეისკირი, ქართული პროზის საგანძური, თბილისი, 2011.
34. ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბილისი, 1989.